

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობა

ანგარიში

2009-2012 წწ.

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მადლობას უხდის:

თანამშრომლობისთვის
პროფესორებს ჯემალ გამახარიასა და ზურაბ პაპასქირს;

ფინანსური მხარდაჭერისთვის
ბანკ „კონსტანტას“.

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

უაკ (UDC) 908(479.224)

ა-932

ISBN 978-9941-10-667-5

შესავალი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში ვ. არძინბას მოსლის შემდეგ სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერების პარალელურად ამ ხელისუფლების რღვევის პირველმა ნიშნებმაც იჩინეს თავი. ალტერნატიული სახელისუფლებო სტრუქტურების ჩამოყალიბება ფაქტობრივად დაიწყო მაშინ, როდესაც 1992 წლის მაისის დასაწყისში ქართულმა დეპუტაციამ პროტესტის ნიშანად დატოვა საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის კონსტიტუციური ჩარჩოებიდან ამოვარდნილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. ხელისუფლების რღვევის პროცესი კიდევ უფრო გააღრმავეს სეპარატისტთა ისეთმა ანტიკონსტიტუციურმა ქმედებებმა, როგორიცაა: დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავლესობით მთავრობის წევრების დამტკიცება (აფხაზეთის კონსტიტუციის მიხედვით, ამისათვის საჭირო იყო ხმათა ორი მეტადი); უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გამოყენებით, 1992 წლის 24 ივნისს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქართველი ხელმძღვანელობის გადაყენება (რამაც ავტონომიურ რესპუბლიკაში სტაბილურობის ამ ერთადერთი გარანტი უწყების ორ ნაწილად გათიშვა და დესტაბილიზაციის წყაროდ მისი ტრანსფორმირება გამოიწვია); იმავე წლის 23 ივლისს უმაღლესი საბჭოს არაკვალიფიციური უმრავლესობის გადაწყვეტილებით აფხაზეთის მოქმედი კონსტიტუციის გაუქმება (რითაც ვ. არძინბას რეუიმმა ლეგიტიმურობა დაკარგა) და 1925 წლის ფსევდოკონსტიტუციის (რომელიც არასოდეს ყოფილა ძალაში შესული) ვითომ აღდგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ძმათამკვლელი შეიარაღებული დაპირისპირება განაპირობა. ამის შედეგად, რეგიონში განხორციელდა, ძირითადად, ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი რეზოლუციით (ეუთოს – 1994 წ. ბუდაპეშტის, 1996 წ. ლისაბონის, 1998 წ. სტამბულის რეზოლუციები) იქნა აღიარებული. ყოველივე ამის შედეგად აფხაზეთის მთავრობამ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სამ მეოთხედთან ერთად ოკუპირებული რეგიონი იძულებით დატოვა და თავისი საქმიანობა საქართველოს დედაქალაქ თბილისში გააგრძელა. საქართველოს პარლამენტის 1994 წ. 10 მარტის დადგენილებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიენიჭა დროებით ევაკუირებული ორგანოს სტატუსი. შესაბამისად, აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციები და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი არჩევნების ჩატარებამდე საკანონმდებლო აქტების მიღების უფლება.

2004 წ. 25 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტის საფუძველზე მიიღო კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ“. აქედან გამომდინარე

აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს ეწოდა აფხაზეთის ა/რ მთავრობა, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენს; ის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას; ხელს აწერს და აქვეყნებს აფხაზეთის კანონს ან შენიშვნებით უბრუნებს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ხელმძღვანლებს. მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინაშე, მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრების უფლებამოსილების შეწყვეტას.

კანონით არის განსაზღვრული აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ნუსხა. ეს დაწესებულებებია: განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დევნილთა საქმეების დეპარტამენტი, იუსტიციის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი. გარდა ამისა, აფხაზეთის მთავრობა უფლებამოსილია, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანების შესასრულებლად, საკუთარი დადგენილებით შემოიღოს აფხაზეთის მინისტრის თანამდებობა (თანამდებობები).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტები და ამოცანები სხვადასხვა პერიოდში, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, განსხვავებული იყო. ცხადია, პირველ ეტაპზე პრიორიტეტული იყო აფხაზეთში თავსმოხვეულ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკურ-დიპლომატიური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ მთავრობა შეუდგა მასობრივი ეთნოწმენდისა და გენოციდის პირობებში გადარჩენილი მოსახლეობის ევაკუაციას. 1993 წ. სექტემბერ-ოქტომბერში აფხაზეთის მთელი მოსახლეობის (535 ათასი ადამიანი) თითქმის სამი მეოთხედი (72,7 %) დევნილად იქცა. ეს ტრაგედია მეტ-ნაკლებად ყველა ეთნიკურ ჯგუფს შეეხო, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ქართული მოსახლეობა დაზარალდა, რომლის რაოდენობა ეთნოწმენდის შემდეგ აფხაზეთში 82,2 პროცენტით შემცირდა. დევნილად ქცეული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი – 300 ათასამდე ადამიანი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განთავსდა და აფხაზეთის მთავრობის უმთავრესი ამოცანა მათი მოვლა-პატრონობა გახდა. გარდა ამისა, მთავრობამ მოახერხა სახელისუფლებო, სამეურნეო, სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული და სხვა დაწესებულებების დევნილობაში აღდგენა და მათში ათასობით დევნილის დასაქმება.

პრიორიტეტული იყო აგრეთვე, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, ზემო აფხაზეთის აღორძინება, იქ თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ.

2008 წ. აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად კონფლიქტურ რეგიონებში სამართლებრივი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ომამდელი ფიქტიური სამშვიდობო ოპერაცია (რეალურად შენიღბული რუსული ოკუპაცია) შეწყდა, რუსეთმა მოახდინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ღია ოკუპაცია, რომელიც ამჯერად მათი ფსევდო დამოუკიდებლობის აღიარებით შეინიღბა. 2008 წ. 23 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ორივე რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად იქნა აღიარებული.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისათვის და კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფისათვის, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც სამხედრო ოკუპაციის განმახორციელებელ სახელმწიფოს. ამავე კანონის თანახმად, არალეგიტიმურია ნებისმიერი ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც შექმნილი (დანიშნული ან არჩეული) არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაქტობრივად ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ფუნქციებს, ან სხვა საქმიანობას, რაც საქართველოს სახელმწიფო, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციებს მიეკუთვნება.

აფხაზეთის ა/რ ლეგიტიმური მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტიბია პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებები. პოლიტიკური მიმართულების უმთავრესი ამოცანაა რეგიონის დეოკუპაციის პროცესის ხელშეწყობა, სახალხო დიპლომატიის გააქტიურება და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ნდობის აღდგენა. სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებას წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიასა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

მთავრობის საქმიანობის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამკიდებული აპარატის გამართულ მუშაობაზე, მისი თანამშრომლების კომპეტენტურობაზე. „აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მიხედვით, მთავრობის აპარატი შეიქმნა აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე, მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის მიზნით. 2012 წ. 4 იანვრიდან მისი სტრუქტურული ერთეულები შემდეგნაირად გამოიყურება:

- ა) საერთაშორისო ურთიერთობათა და პროტოკოლის დეპარტამენტი;
- ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- გ) იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი;
- დ) საორგანიზაციო და საქმის წარმოების დეპარტამენტი;
- ე) მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური დეპარტამენტი;
- ვ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახური;
- ზ) შიდა აუდიტის სამსახური.

მთავრობის აპარატის დეპულებით მკაფიოდაა განსაზღვრული როგორც მთლიანად აპარატის, ისე მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირებისა და თანამშრომლების ფუნქციები.

წინამდებარე ანგარიში პირველ ნაწილში წარმოდგენილია მოკლე ცნობა აფხაზეთის ისტორიის შესახებ თანდართული რამდენიმე უცხოური (რუსული და ევროპული) რეკუითა და ქართული კულტურის იმ ძეგლთა სურათებით, რომლებიც უკვე არიან, ან, შესაძლოა, მომავალში გახდნენ საოკუპაციო რეჟიმის მიერ წარმოებული კულტურული გენოციდის მსხვერპლი; მეორე ნაწილი შეიცავს ანგარიშს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამწლიანი მუშაობის ძირითადი შედეგების შესახებ;

ანგარიშს ელექტრონული ვერსიის სახით თან ერთვის მოვლენათა ქრონიკის ამსახველი მასალა და ძირითადი საკანონმდებლო და სამთავრობო აქტები, რომელიც აფხაზეთის მთავრობის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს და მისი საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს განსაზღვრავს.

იმედს გამოვთქვამ, რომ მთავრობის ანგარიში საინტერესო იქნება საზოგადოების ფართო სპექტრისთვის და რეალურ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ი.გ.პ.-თა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამემამულეთა წინაშე არსებული ყოველდღიური პრობლემების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოკრძალებული შესაძლებლობების პირობებში განხორციელებული საქმიანობა მიზნად ისახავდა ქართველებსა და აფხაზებს შორის წდობის აღდგენას, შერიგებას და ერთიან, ძლიერ სახელმწიფოში მშვიდობიან თანაცხოვრებას.

მინდა თითოეულ აფხაზეთელს გადავუხადო ულრმესი მადლობა მოთმინებისთვის, თანადგომისთვის და იმ ღრმა რწმენისთვის რომელიც აუცილებლად დაგვაპრუნებს აფხაზეთში.

გიორგი ბარამია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ნაწილი I

მოკლე ცნობა აფხაზეთის/საქართველო

პოლიტიკური ისტორიის შესახებ

აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული. მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდ. ენგურსა და ფსოუს შორის. ფართობი - 8,7 ათასი კვ. კმ, აფხაზეთის მავი ზღვის მონაკვეთის ზოლის სიგრძე 195 კმ, ადმინისტრაციული ცენტრი – სოხუმი, სახელმწიფო ენები - ქართული, აფხაზური.

* * *

ქართული სახელმწიფო ეპრია, სულ ცოტა, 35 საუკუნოვან ისტორიას ითვლის. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან არსებული ლეგენდა-რული კოლხეთის სამეფო მოიცავდა საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის მეტ ნაწილს, მათ შორის ენგურ-ფსოუს მონაკვეთს, რომელსაც შემდგომში აფხაზეთი ეწოდა.

გვიანანტიკური ხანიდან იმუამინდელი მწერლებისთვის კარგად ცნობილი აფხაზები „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი არიან არა უცხო ხალხად, არამედ დასავლელ ქართველთა ორგანულ ნაწილად. ზუსტად იგივე შეხედულება ჰქონდა უკლებლივ ყველა რომაელ თუ ბიზანტიელ ავტორს, ვინც მსოფლიოს ხალხთა გენეალოგიაზე წერდა. ისინი იცნობდნენ I-II საუკუნეებიდან მოყოლებულ წყაროებში მოხსენიებულ აფშილებსა და აბაზგებს (რომელთაც ზოგიერთი ავტორი თანამედროვე აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევს), მაგრამ მსოფლიოს ხალხთა ჩამონათვალში მათ ნაცვლად კოლხებს//ლაზებს//ეგრებს ანუ დასავლელ ქართველებს უთითებდნენ. დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ჩათვლით, არქეოლოგები ერთიან ქართულ (კოლხურ) კულტურას აფიქსირებენ. აფხაზეთში ავტოქტონური ქართული მოსახლეობის მკვიდრობის შესახებ მეტყველებს ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკისა და ეთნოლოგიის მონაცემები.

სწორედ დასავლელმა ქართველებმა შექმნეს აფხაზეთის სამეფო, რომლის დედაქალაქიც იყო ქუთაისში (VIIIს. დასასრული – XIს.). ამ სამეფოს მთელი პოლიტიკური და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ჩვენამდე მოღწეული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა არის მხოლოდ ქართული. აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში, კერძოდ, ბიჭვინთაში იმყოფებოდა მცხეთას დაქვემდებარებული დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსო კათედრა. ისტორიაში კარგად არის ცნობილი აფხაზეთის კათოლიკოსების ვინაობა – ყველა მათგანი ქართველი იყო. უფრო მეტიც, ცნობილია აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრები აფხაზეთის საკათოლიკოსო კათედრას დაქვემდებარებული გლეხების (XVI-XVIIსს.) ასობით სახელი და გვარი, რომელიც, ასევე, მთლიანად ქართულია.

აფხაზეთის სამეფო წარმოადგენდა იმ ძირითად ბირთვს, რომელმაც კვლავ გააერთიანა საქართველო. ერთიანი სახელმწიფოს სათავეში იდგნენ აფხაზური (დასავლურქართული) სამეფო დინასტიის წარმომადგენლები. XI ს. დასაწყისში ქართულ ენაზე შედგენილი უნიკალური ისტო-

რიული წყაროს „აფხაზ მეფეთა დივანის” მონაცემები ადასტურებენ ამ მეფეთა ეროვნულ კუთვნილებას, მათ ქართველობას. იმავეს ამტკიცებს აფხაზეთის მეფეთა ან მათი სახელით შესრულებული მრავალრიცხოვანი ქართული ეპიგრაფიკული მასალა (არ არსებობს თანამედროვე-აფხაზთა (აფხსუათა) ენაზე შესრულებული რამე წარწერა). გაერთიანებული საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი XIV ს. შუახანებამდე ნიკოფისიამდე აღნევდა, რომელსაც (V საუკუნემდე ძველი ლაზიკა ერქვა) და რუსეთის ფედერაციის თანამედროვე ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის ამჟამინდელ ტერიტორიაზე განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ქართულმა კულტურამ. ამავე დროს ამ რეგიონში არაქართული მოსახლეობის, მათ შორის დღევანდელ აფხაზთა წინაპრების, პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის კვალი არ შეინიშნება. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ XIIIს. მეორე წარმომადან მონლოლთა შემოსევების შედეგად აფხსუები (II საუკუნეში პლიიუს უფროსი ამ ხალხს ასტრახანის ჩრდილოეთით მცხოვრებლებად აფიქსირებს აბზოას სახელით) იძულებული გახდნენ დაძრულიყვნენ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, დასახლებულიყვნენ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში, მაგრამ არა აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე.

მონლოლთა ასწლოვანი ბატონობის პერიოდში (XIII ს. შუახანებამდე) იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დეზინტეგრაციის პროცესი. ჯერ წარმომადან იმერეთის სამეფო (აფხაზეთის სამეფოს სამართალმექანიზრე), რომლის შიგნით დაიწყეს გამოცალკევება სამეგრელოსა და გურიის სამთავროებმა. სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთის საერისთავო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ანაკოფიიდან მდ. ბზიფამდე (დაახლოებით თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორია). საქართველოს სახელგანთქმულმა მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1313-1346წ.). ქვეყანა მონლოლთა უღლისაგან გაათავისუფლა და სრულიად საქართველო ნიკოფისიამდე კვლავ გააერთიანა. აფხაზეთის საერისთავო, როგორც სამეგრელოს სამთავროს ნაწილი, ამჯერადაც ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. გიორგი V ბრწყინვალეს მემკვიდრეებმა, განსაკუთრებით ალექსანდრე I-მა (1412-1443წ.), ქვეყნის ერთიანობა შეინარჩუნეს და განამტკიცეს. მის ფარგლებში იყო მოქცეული აფხაზეთის საერისთავოც- დღევანდელი გუდაუთის რაიონი. ანაკოფია, ქ. ცხუმი და მათი სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ენგურამდე მდებარე მიწები სამეგრელოს სამთავროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, რასაც მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური, მათ შორის რუსული წერილობითი თუ კარტოგრაფიული წყაროებიც მოწმობენ. ამ წყაროებიდან შეიძლება გამოვყოთ მასალები ცხუმში//სოხუმში გენუელთა სავაჭრო ფაქტორის საქმიანობის შესახებ (1354-1475წ.). ისინი ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებენ, რომ გენუელებს ცხუმში ურთიერთობა ჰქონდათ მხოლოდ სამეგრელოს (ქვემო ივერიის)

მთავრებთან (რომლებიც ქართველები იყვნენ) და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან.

XV ს. ბოლოსთვის საქართველოს სახელმწიფო დე-ფაქტო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაიშალა. აფხაზეთის საერისთავო რჩებოდა სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში. საერისთავოში დაიწყო თურქეთის წახალისებით წარმართი (წანილობრივ მაჰმადიანი) მთიელების ჩამოსახლება, რამაც მთლიანად შეცვალა აფხაზეთის საერისთავოს – ანაკოფიდან მდ. ბზიფამდე მდებარე ტერიტორიის – მოსახლეობის ეთნიკური სურათი. შექმნილ ვითარებაში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსი იძულებული გახდა აფხაზეთის საერისთავო დაეტოვებინა და საკათოლიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაეტანა. ფუნქციონირება შეწყვიტეს საერისთავოს ტერიტორიაზე მოქმედმა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ეკლესიებმა და მონასტრებმა. აფხაზეთის საერისთავოზე სრული კონტროლის აღდგენა სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657წნ.) მოახერხა. მანვე საერისთავოს ახალი მოსახლეობა (40 ათას კაცამდე) ქრისტიანულად მონათლა და მათ ეპისკოპოსიც დაუნიშნა.

XVI-XVII საუკუნეებში ქართული სამეფო-სამთავროები, რომლებიც 1555 წლიდან ირანმა და თურქეთმა გადაინანილეს, ერთმორწმუნე რუსეთან მეგობრული, სამფარველი ურთიერთობების დამყარებას ამაოდ ცდილობდნენ. 1638წ. 12 დეკემბერს რუსეთის მეფემ მიხეილ თევდორეს ძემ მოსკოვში სამეგრელოს სამთავროს ელჩი მიიღო, 1639 წ. ნოემბრიდან 1640 წ. მაისამდე კი სამეგრელოში რუსი ელჩები სტუმრობდნენ. ამ უკანასკნელთა მიერ შედგენილი ანგარიშები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული ეთნოპოლიტიკური სიტუაციის მკაფიო სურათს გვიხატავენ. ისინი დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ XVIIIს. შუახანებისთვის სამეგრელოს სამთავროს ეთნიკური საზღვარი, კელასურამდე მაინც აღნევდა. დადიანების პოლიტიკური ძალაუფლება კი თანამედროვე აფხაზეთის მთელ დანარჩენ ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა (მოსკოვში მყოფი სამეგრელოს ელჩის ინფორმაციით, სამეგრელოსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი, რომელსაც ლევან II დადიანი ნიშნავდა, ბიჭვინთაში იჯდა). ელჩების მასალებში არაფერია ნათქვამი აფხაზუა-აფხაზებზე, თუმცა რუსმა ელჩებმა მოიარეს მთელი სამეგრელო, მათ შორის ამჟამად უკვე აფხაზეთის შემადგენლობაში შემავალი გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონები. რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თევდორეს ძე 1639 წ. 30 მაისის სიგელში ლევან II დადიანისადმი, სამეგრელოს, რომელიც მაშინ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიასაც მოიცავდა, ივერიის ქვეყანას უწოდებდა. საპასუხო სიგელში (1640წ. 15 მაისი) ლევან II დადიანი რუსეთის ხელმწიფეს აცნობებდა, რომ ის „ივერიის ქვეყნის სამეგრელოს მხარეში“ იმყოფებოდა. ამრიგად, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია რუსეთმა პირველად ოფიციალურად გაიცნო, როგორც ივერიის ქვეყნის ნაწილი.

XVII ს. 70-იანი წლების დასაწყისამდე ცხუმთან ახლოს ფუნქციონირებდა სამეგრელოს მთავრების მიერ აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობა – ე.წ. კელასურის კედელი. ის აღნიშნულია XVII ს. პირველ ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების არქ. ლამბერტისა და ქრისტ. კასტელის მიერ შედგენილ რუკებზე შემდეგი წარწერით: „60 ათასი ნაბიჯის კედელი აბაზთა თავდასხმების შესაჩერებლად“.

თურქეთმა, ცდილობდა რა სამეგრელოს იზოლირებას რუსეთისაგან, მასზე თავისი მოკავშირე მთიელების თავდასხმები გააქტიურა. XVII ს. 80-იანი წლების დასაწყისში სამეგრელოს სამთავრო ტახტისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩართულმა აფხაზეთის თავადმა სავარეხ (სორექ) შარვაშიძემ სწორედ მთიელთა დახმარებით მიაღწია წარმატებას - მდ. ენგურამდე ტერიტორიას დაუუფლა და მას სამეგრელოს მთავრის ტიტულით მართავდა. ვინაიდან მან ვერ შეძლო დანარჩენი სამეგრელოს დაკავება, მდ. ენგურამდე მდებარე მიწები მალე აფხაზეთის ნაწილად გამოცხადდა. დაცყრობილი ტერიტორიის ახლადმოვლენილმა მფლობელებმა, უპირველესად ქართული თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლები გაანადგურეს, სასტიკად გაუსწორდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის დიდი ნაწილი მონებად და დევნილებად აქციეს ან ტყვედ გაყიდეს; დაკავებულ ტერიტორიაზე აბაზები, ყაბარდოლები და სხვა მთიელები ჩამოასახლეს; დაანგრიეს ან ფუნქციონირება შეწყვიტეს საუკუნეების განმავლობაში მოქმედმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა, მათ შორის ზოგადქართული მნიშვნელობის რელიგიურმა და კულტურულმა ცენტრებმა – ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საკათედრო ტაძარმა, დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსო კათედრებმა, აგრეთვე, ქართული წარწერებით შემკულმა ლიხნის, ანუხვის, ანაკოფიის, წებელის, ქიაჩის, ჭალას (ჭლოუ), თილითისა და სხვა ეკლესიებმა; ჯერ გაძარცვეს და მერე საერთოდ მოშალეს ბიჭვინთის საკათოლიკოსოს კუთვნილი მეურნეობები. მხოლოდ მდინარეების ენგურ-ლალიძეების მონაკვეთზე, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში კვლავ დადიანების გამგებლობაში დაბრუნდა, მოხერხდა ბედიისა და ილორის მოქმედი ტაძრების შენარჩუნება.

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე კავკასიელი მთიელების გვიან ჩამოასახლების ფაქტი, სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მტკიცების საპირისპიროდ, დაფიქსირებულია XVIII-XIX საუკუნეებისა და უფრო გვიანდელი პერიოდის ქართველ (ვახუშტი ბაგრატიონი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი და სხვ.), რუს (ვ.ნ. ტატიშჩევი, ა.ნ. დიაჩიკვა-ტარასოვი და სხვ.) და ევროპელ (პ. ს. პალასი, ი. კლაპროტი, ფრ. დიუბუა დე მონპერე, ე. სპენსერი და სხვა) ავტორთა შრომებში. ამ მოვლენის (ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მთიელთა ჩამოასახლების) თითქმის თანამედროვე, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ.ნ. ტატიშჩევი (1686-1750წ.), რომლის შრომებს რუსული ისტორიოგრაფია წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს, წერდა, რომ აფხაზეთი (ავხეთი) არის „სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც თურქები და ყაბარდოლები

ავხაზოს ეძახდნენ, ჩვენი წინაპრები კი ობეზებს უწოდებდნენ. ამჯამად მისი უმეტესი ნაწილი ყუბანელებითაა დასახლებული.“ ვ.ნ. ტატიშჩევის განმარტებით, ობეზები ჩრდილოეთ სამეგრელოს (აფხაზეთის) უძველესი მაცხოვრებლები ანუ ქართველები არიან. „ივერიელი – იგივე ობეზია“, - ამბობს რუსული მატიანე. ყუბანელები კი, რომლებიც აფხაზეთში გვიან შეუძლია საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, რუსული მატიანეების მიხედვით, ჩერქეზულ-ადილური ტომების წარმომადგენლები არიან. ისინი წამდვილად ცხოვრობდნენ ყუბანისპირეთში. ჯერ კიდევ XVI საუკუნის I მეოთხედში ს. გერბერშტეინი თავის სახელგანთქმულ „ჩანაწერებში მოსკოვის შესახებ“ წერდა, რომ „აზოვის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ყუბანის გასწვრივ, რომელიც ჭაობს (აზოვის ზღვას – ავტ.) ერთვის, ცხოვრობს აფგაზი ხალხი“. იმავე წარმომში ვკითხულობთ, რომ „მდ. ყუბანს იქით სამეგრელო მდებარეობს“. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი 1905 წელს წერდა: „აფხაზები ყოველთვის როდი მოსახლეობდნენ აქ. მათი გადმოცემები, წეს-ჩვეულებები და მრავალი ისტორიული მონაცემი ადასტურებს, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და შეავინწოდეს ქართული ტომები, სანამ ენგურთან არ შეჩერდნენ“. აფსუა-აფხაზების ჩადილოეთიდან ჩამოსახლების შესახებ ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი 1903 წელსაც წერდა (აგრეთვე, 1909-1910 წლებშიც), თანაც აღნიშნავდა, რომ ეს ჩამოსახლება „მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, შესაძლოა, XVI-XVII საუკუნეებში“. სავსებით სწორი მოსაზრებაა.

ბევრად უფრო ადრე ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა აკადემიკოსი ფრ. დიუბუა დე მონპერე, რომელიც 1833 წ. აფხაზეთში იმყოფებოდა. ის წერდა იმის შესახებ, თუ როგორ ვრცელდებოდა დადიანების სამფლობელო „ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაახლოებით ჯიქეთამდე (ზიხიამდე-ავტ.), როგორ ანამებდნენ მას (სამეგრელოს – ავტ.) მტერთა მუდმივი თავდასხმები და ამ მშვენიერი სანაპიროების გასწვრივ, ერთი მხრივ, ჩერქეზთა, მეორე მხრივ, თურქთა სისხლიანი ხელი დასეირნობდა. მთავრებმა დადიანებმა, რომლებიც ორი საუკუნის წინ იძულებული გახდნენ თავიანთი საზღვრები ანაკონფიაში გადაეტანათ, ახლა მდინარე ღალიძგამდე დაიხიეს და აფხაზეთი, ეს ბედკრული ქვეყანა, ისეთივე ველური გახდა, როგორც ამერიკის ტყეები: ყველაფერი ნანგრევებად იქცა, ყველა ეკლესია ჩამოიქცა, ცივილიზაციის ყველა კვალი წაიშალა“. ფრ. დიუბუა დე მონპერეს დასკვნა ადასტურებს იმ უცილობელ ფაქტს, რომ აფსუა-აფხაზები, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, არ არიან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ცივილიზაციის შემოქმედნი თუ თანაშემოქმედნი. აფსუა-აფხაზები ამ ქრისტიანული ცივილიზაციის შემქმნელები რომ არ არიან, ეს ნათლად მტკიცდება მათ ენაში ქრისტიანული ტერმინოლოგის (მათ შორის ისეთი ძირითადი ტერმინების, როგორებიცაა: ქრისტე, ქრისტიანი, ეკლესია, მლვდელი, ჯვარი, ძობა, აღდგომა, ნათლობა და ა.შ.) არარსებობითაც. აფხაზურ ენაში მთელი ქრისტიანული ტერმინოლოგია ლიტერატურული

ქართულიდან ან მისი მეგრული დიალექტიდანაა ნასესხები. ქართული ენა, ისევე როგორც მთელ საქართველოში, აფხაზეთშიც საქმის წარმოებისა და ლვისამსახურების ერთადერთ ენას წარმოადგენდა.

ინგლისელი ედმუნდ სპენსერი, რომელიც აფხაზებს რუსეთის შეურიგებელ მტრებს უწოდებდა, 1851 წელს აღნიშნავდა: „ისინი ნანილობრივ ყირიმისა (ყაბარდოს – ავტ.) და ყუბანის ხანებისა და სულთნების ჩამომავალები არიან, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში“. ამრიგად, გვიან შუა საუკუნეებში მდ. ენგურსა და ფსოუს შორის მდებარე ქართულ ტერიტორიაზე კავკასიელი მთიელების ჩამოსახლების ფართოდ აღიარებული ფაქტი იმდენად აშკარაა, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს.

იმერეთის მეფები აფხაზეთს მუდამ თავიანთ პროვინციად მიიჩნევდნენ. ქუთაისში შედგენილი და მეფე ალექსანდრე V-ს მიერ 1738 წ. პეტერბურგში გაგზავნილი იმერეთის სამეფოს რუკის (გადაეცა იმპერატრიცა ანა იოანეს ასულს) მიხედვით, აფხაზეთი არის ამ სამეფოს შემადგენელი ნანილი. იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784წწ) აფხაზ-იმერთა მეფის ტიტულს ატარებდა. 1776 წლის 26 აპრილით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში საკუთარ თავს იგი „აფხაზთა, იმერთა, გურიელთა და მთელი ქვემო ივერიის მფლობელად“ მოიხსენიებს. როგორც ცნობილია, „ქვემო ივერია“ დასავლეთ საქართველოს, მათ შორის ქალაქ ცხუმსა და მთელ აფხაზეთს მოიცავდა.

სამეგრელოს (ოდიშის) მთავრებს, რომლებმაც, ასევე, დაკარგეს რეალური კონტროლი აფხაზეთზე, არასოდეს უთქვამთ უარი სამთავროში შემაგალი მიწების დაბრუნებაზე. ისინი „ოდიშის – ლეჩეუმის – სვანებისა და აფხაზების მპყრობელად“ იწოდებოდნენ. ასეთ ტიტულს ატარებდნენ, მაგალითად, კაცია II დადიანი (1758-1788წწ.), გრიგოლ დადიანი (1788-1804წწ.) და სხვები. XVIII ს. დასაწყისიდან სამეგრელოს შემადგენლობამი დაბრუნდა მდ. ენგურსა და ლალიძგას შორის მდებარე ტერიტორია, რომელსაც მალე მისი ერთ-ერთი მფლობელის - მურზაყან შარვაშიძის საპატივცემლოდ, სამურზაყანო ეწოდა.

XVIII-XIX სს. მიჯნაზე ქართული პოლიტიკური ერთეულების მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, რაც დაკავშირებულია 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გეორგიევსკის „სამფარველო“ ტრაქტატის გაფორმებასთან. ტრაქტატი, მართალია, რამდენადმე ზღუდავდა საქართველოს სუვერენიტეტს, მაგრამ ქვეყანა დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად რჩებოდა. უფრო მეტიც, ტრაქტატის მეოთხე საიდუმლო არტიკულის მიხედვით, რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოსთვის საქართველოს სხვა ისტორიული ტერიტორიების შემოერთებისა და ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლაში ხელშეწყობის ვალდებულებას იღებდა. შესაბამისად, ტრაქტატი უშუალოდ აფხაზეთსაც ეხებოდა, რომელსაც რუსეთში კვლავ სამეგრელოს სამთავროდ და ამდენად, სრულიად საქართველოს ნანილად აღიარებდნენ.

„რუსეთის იმპერიის ისტორიული რუკის“ (1793წ.) თანახმად, ახლად მოპოვებულ ტერიტორიად მიჩნეული საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვამდე აღწევდა. რუკაზე აღნიშნულია დასავლურ-ქართული პროვინციებიც - იმერეთი და სამეგრელო. აფხაზეთი, რომელიც რუკაზე საერთოდ არ არის აღნიშნული, სამეგრელოს შემადგენლობაში იგულისხმება. გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე საიდუმლო არტიკული საქართველოს სამეფოს აღდგენას სწორედ „რუსეთის იმპერიის ისტორიულ რუკაზე“ მითითებულ საზღვრებში ითვალისწინებდა, მაგრამ რუსეთმა არა მხოლოდ არ შეასრულა „მფარველობასა“ და ერთიანი სამეფოს აღდგენასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები, არამედ 1801წ. ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და იქ პირდაპირი რუსული მმართველობა შემოიღო. ამასთანავე, რუსეთმა დროებით უარი თქვა საგუბერნიო მართვის ფორმაზე და 1802 წელს „საქართველოს მმართველობა“ დააფუძნა. მის სათავეში იდგნენ კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სარდლები, რომლებსაც საქართველოს მთავარმართებლებსაც უნდღებდნენ. მმართველობის ეს ფორმა – საქართველოს „შენარჩუნება“ - რუსეთს „კანონიერ“ უფლებას აძლევდა დაეპყრო თურქეთის უღლის ქვეშ მყოფი სხვა ქართული რეგიონები და „აღედგინა“ ერთიანი საქართველო, მაგრამ არა 1783წ. ტრაქტატით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით, არამედ როგორც რუსეთის პროვინცია.

რუსეთმა როგორც კი ფეხქვეშ გათელა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და აღმოსავლეთ საქართველოს ანქასია მოახდინა, მაშინვე გაააქტიურა მოქმედებები დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ხელში ჩასაგდებად. 1803 წლის დეკემბერში გრიგოლ დადიანმა, „ოდიშის, ლეჩეუმის, სვანეთის, აფხაზეთის და ოდითგანვე ჩემი წინაპრების კუთვნილი მიწების“ მპყრობელის ტიტულით იძულებით ხელი მოაწერა თხოვნას „ყველა ჩემი სამფლობელოთი“, როგორც ზემოთ დასახელებულით, ისე სხვადასხვა მიზეზით მისგან გამოყოფილით, რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ. სამეგრელოს მთავარს აშკარად მხედველობაში ჰქონდა ჯიქეთი და აზოვის ზღვამდე მდებარე სხვა ისტორიული ქართული მიწები (იხ. რუსეთის 1793წ. რუკა). ეჭვგარეშეა, თხოვნა, თვით მისგან გამოყოფილი მიწებითაც კი, რუსეთის მფარველობის ქვეშ სამეგრელოს მიღების შესახებ დაიწერა პეტერბურგში ან პეტერბურგიდან კარნახით და 1783წ. ტრაქტატის IV არტიკულის გათვალისწინებით. აღნიშნული არტიკულისა და გრიგოლ დადიანის თხოვნის საფუძველზე რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შემოერთებისათვის ბრძოლის „კანონიერი“ უფლება მოიპოვა.

აფხაზეთი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თურქეთის მხარდაჭერითა და მისი მფლობელის ქელებ-ბების ძალისხმევით საკმად ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. 1803 წლიდან ქელებ-ბები რუსეთის ქვეშევრდომობის სურვილს ფარულად გამოთქვამდა და სამეგრელოს მთავრის მეშვეობით საქართველოს მთავარმართებელ პ. ციციანოვთან

კავშირის დამყარებას ცდილობდა. 1803წ. 27 ოქტომბერს პ. ციციანოვი სახელმწიფო კანცლერს გრაფ ა. ვორონცოვს ატყობინებდა: „ამასთანავე, ჩემს მოვალეობად ვრაცხ, შევეხო ქელეშ-ბეისა და მისი სამფლობელოს ისტორიას. XV საუკუნეში, კერძოდ, ქრისტეშობიდან 1414 წლამდე, როცა ივერია დაქუცმაცებული არ იყო, ის, ქელეშ-ბეი, შარვაშიძის სახელით იყო ცნობილი, მისი სამფლობელო ივერიის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა“. ისტორიას იშველიებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბუდბერგი, როდესაც 1806 წელს საქართველოს ახალ მთავარმართებელს გენერალ ი. გუდოვიჩს აუწყებდა იმპერატორის წებას აფხაზეთის შემოერთების თაობაზე და გონიოს, ბათუმის, ფოთის, ანაკლის, ისგაურის (ტამიშთან), სოხუმისა და ანაპის ციხეების დაკავების სურვილს გამოთქვამდა. „ეს ციხეები - წერდა ა. ბუდბერგი 1806 წლის 25 სექტემბერს, - უძველესი დროიდან საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა, ამიტომ არ შეიძლება, არ გვსურდეს ყველა ამ ადგილის რუსეთთან შეერთება“. ეს ყოველივე კი რუსეთს აფხაზეთისა და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწების შემოერთების „კანონიერ“ უფლებას აძლევდა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, ისევე, როგორც სხვა ქართული პროვინციები, იძულებით ნაწილ-ნაწილ შევიდა რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ. 1805წ. 9 ივლისს სოფ. ბანძაში (მარტვილის რაიონი) სამურზაყანოს მმართველებმა ხელი მოაწერეს ფიცს რუსეთის ხელმწიფისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულებაზე. ფიცის ტექსტში სამურზაყანო ალიარებულია სამეგრელოს ისტორიულ ტერიტორიად. მასში ნათქვამია: „როგორც რომ ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფისა ყმა ვიყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ძველიდგან ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელი თავადი დადიანისა“.

საკუთრივ აფხაზეთის მიღება რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ, საგარეო-პოლიტიკური ვითარების გამო, რამდენადმე გაჭიანურდა. 1808 წ. ქელეშ-ბეის მკვლელობისა და აფხაზეთში პროთურქული ძალების გაძლიერების შემდეგ ეს პროცესი დაჩქარდა. პროთურქულ ძალებს აფხაზეთში სათავეში ედგა ქელეშ-ბეის შვილი, მამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ასლან-ბეი, რომელიც, მოსახლეობის უმეტესობის მხარდაჭერით, სამთავრო ტახტს დაეუფლა. აფხაზეთის მთავრად თავისი თავი გამოაცხადა, ასევე, ქელეშ-ბეის ქრისტიანად მონათლულმა შვილმა საფარ-ბეიმ (ნათლობის სახელი – გიორგი), რომელიც სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის სიძე (დის ქმარი) იყო. გიორგი შარვაშიძემ იმი გამოუცხადა ძმას - ასლან-ბეის და დახმარებისათვის საქართველოს რუსულ ადმინისტრაციას და სამეგრელოს დროებით მმართველს ნინო დადიანს (გრიგოლის მეუღლეს) მიმართა. გიორგი შარვაშიძე ნინო დადიანისა და სამთავრო ტახტის მცირენლოვან მემკვიდრე ლევან V დადიანისადმი (1804-1840წე.) მიმართვაში ვალდებულებას იღებდა, რომ თავის ერთგულ ქვეშევრდომებთან ერთად საქართველოს მთავარმართებლის ბრძანებებს დაემორ-

ჩილებიდა. აფხაზეთის მთავარმა იცოდა, რომ რუსეთის „მფარველობაში“ შესვლის შემდეგ მისი სამფლობელო კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებოდა, თუმცა მას უკვე არა ქართველი მეფეები, არამედ რუსი გენერლები მართავდნენ. „რადგანაც იმპერატორის ერთგულებაზე თქვენ დამაფიცეთ, მიშუამდგომლეთ მის წინაშე რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე“, - წერდა გიორგი შარვაშიძე ზემოხსენებულ წერილში სამეგრელოს მმართველებისადმი და დასძენდა: „მაშასადამე, თქვენდამი დამოკიდებულ არს, თუ ვითარ იგი იღი იღწვით ჩემთვის ანუ ვითარ იგი განმიღებთ კარსა უთვითმჷყრობელისასა ხელმნიფისა ჩვენისასა“. მართლაც, აფხაზეთის ბედის გადაწყვეტა ბევრად იყო დამოკიდებული სამეგრელოზე, რომლის მმართველები მუდმივად შეახსენებდნენ რუს ხელისუფალთ, რომ აფხაზეთი ისტორიულად მათი სამფლობელოს ნაწილს წარმოადგენდა. 1808წ. 8 ივნისს ნინო დადიანი თავის წერილში იმპერატორისადმი, ითხოვდა რა აფხაზეთის მიღებას რუსეთის მფარველობის ქვეშ, არაორაზოვნად მიანიშნებდა: „თუმცალა ჟამმან ცვლილებისამან და მეზობლის უთანხმობანამ განხადა მფლობელობისაგან სამთავროისა ჩვენისა ესე აფხაზეთი, გარნა უნინარეს იყო მკვიდრი ტახტი ნიკოპოლისა, დადიანისა ლევანისა და წინაპართა მათთა და გარდაცვალებული კაცია დადიანი (1758-1788წწ. – ავტ.), მამა ახალგარდაცვალებულისა გრიგოლ დადიანისა, ახდევინებდა ხარკსა და არს უკვე წევრი სამეგრელოისა“. ამიტომ, ნინოს აზრით, ეს იყო კარგი წინაპირობა და ხელსაყრელი დრო რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მისაღებად. ამრიგად, რუსეთის მფარველობაში აფხაზეთი უნდა შესულიყო როგორც „ივერიის პროვინცია“, როგორც „წევრი სამეგრელოისა“.

ნინო დადიანის ძალისხმევით აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა დაჩქარდა. 1808წ. 12 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ და მისმა ერთგულმა თავადაზნაურობამ ხელი მოაწერეს ქართულ ენაზე შედგენილ „სათხოვარ პუნქტებს“ რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მიღების თაობაზე. აფხაზეთის მთავარი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ იქნებოდა „მორჩილ საქართველოსა უპირატეს მმართველისა ერთგულთა და სარწმუნო მონათა და ყმათა ჩემთათანა“. 1810წ. 17 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I აფხაზეთის მთავრის „სათხოვარი პუნქტები“ დაამტკიცა. ალინიშნული მასალები ნათლად გვიჩვენებენ, რომ რუსეთის „ქვეშევრდომბის“ ქვეშ აფხაზეთი შევიდა როგორც საქართველოს ისტორიული პროვინცია, როგორც „წევრი სამეგრელოისა“. ამაში გადამწყვეტი როლი მიუძღვის სამეგრელოს დროებით მმართველს, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ს ქალიშვილს ნინო დადიანს, რომელსაც აფხაზეთის საკუთარი სამთავროს შემადგენლობაში, რუსეთის დახმარებით, დაბრუნების სურვილი ამოძრავებდა. საქართველოს მთავარმართებელი ა.ნ. ტორმასოვი 1810წ. 11 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ წ.პ. რუმიანცევს წერდა, რომ სწორედ ნინოს „მონდომებას უნდა ვუმადლოდეთ საფარ-ბეის გადმობირებას, რათა ის მთელი თავისი

სამფლობელოთი რუსეთის სამუდამო მფარველობაში და ქვეშევრდო-მობაში შემოსულიყო". ყოველივე ამის შემდეგ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს დღევანდელი რუსეთის მესვეურთა ხმამაღალი განცხადებები, რომლებშიც ისინი თავიანთ უკანონო გადაწყვეტილებებს აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარების შესახებ, ამართლებენ ცრუისტორიით, რომ თითქოს აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსაგან ცალკე შევიდა. სინამდვილეში კი აფხაზეთი რუსეთის „მფარველობაში“ მოექცა, როგორც ისტორიული საქართველოს პროვინცია და ის საქართველოს მთავარმართებლებს დაექვემდებარა.

დანარჩენი აფხაზეთისაგან ცალკე მოაწერეს ხელი ქართულ ენაზე შედგენილ ფიცს წებელდის მფლობელმა მარშანიებმა, რომლებიც ლევან V დადიანის მიწვევით 1815წ. 29 ნოემბერს ოქუმში ჩამოვიდნენ. ხელ-მოწერილ დოკუმენტში ნათქვამია: „ჩვენ ქვემო ხელის მომწერელი წე-ბელის თემის ბატონები, თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს თქვენს უგანათლებულესობას მთავარს დადიანს ლეონს, ასე რომ ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ერთგულები ვიყა-ვით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შფოთებმა დაშორებულ ვიქმე-ნით ერთმანეთისაგან, და ანი გინებებიათ ჩვენი თქვენდა მახლობლობა და პირველისამებრ სიყვარული და წყალობა განვიახლეთ, და ჩვენ რწ-მუნებულ ვართ ამ თქვენის ჭეშმარიტის სიტყვით ჩვენდა დაჯერებას და ჩვენც ვფიცავთ ამას წმინდა ალყურანსა ზედა ესრეთ, რომელ პირველ ყოველთასა ვიყვნეთ არა რაისამე შინა წინააღმდგომ მისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა და მისგან დაწესებულთა ამა მხარეთა მმართებელთა საშუალობითა თქვენითა. და თქვენისაცა ბრძანებისა ჩვენგან შესაძლებელსა მორჩილ და შეძლები-სამებრ მტერთა რუსეთისა და თქვენის უგანათლებულესობისათა წი-ნააღმდგომ ყოვლითა გზითა...“ ინტერესმოკლებული არ იქნება იმის ალნიშვნა, რომ წებელდის გამაჰმადიანებულმა მფლობელებმა ყურანზე დაიფიცეს ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირების - ცაიშის მიტროპოლიტ გრიგოლის (ჩიქოვანი), არქიმანდრიტ გიორგისა (კუხალაშ-ვილი) და დეკანოზ იოანე იოსელიანის წინაშე. მოტანილი დოკუმენტიდან, რომელიც მიტროპოლიტ გრიგოლის ბეჭდითაა დამოწმებული, კარგად ჩანს, რომ წებელის თემი, მის მფლობელთა აღიარებით (და სხვა მრავა-ლი წყაროს მიხედვითაც), ისტორიულად (XVII საუკუნემდე) სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა. ამიტომაც დაიფიცეს მათ, როგორც რუსე-თის, ისე ლევან V დადიანის ერთგულებაზეც.

მიუხედავად „სათხოვარი პუნქტებისა“ და „ფიცის“ ტექსტების ხელ-მოწერისა, აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობას XIX ს. 70-იანი წლების ბოლომდე არ შეუწყვეტია უთანასწორო ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. 1864წ. 27 მარტს კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი, ასაბუთებ-და რა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების აუცილებლობასა და მიზანშე-წონილობას, წერდა, რომ „რუსეთმა აფხაზეთში, მადლიერი მოკავშირის

ნაცვლად, მიიღო ურჩი და ვერაგი მონა, რომელიც მზადაა მეტად გულთბილად დახვდეს მის ნაპირებთან გამოჩენილ ჩვენს ნებისმიერ მტერს. ასე მოიქცა იგი გასულ ომში (1853-1856წწ. – ავტ.)... ამჟამადაც ვერც ერთი ჯარისკაცი ვერ გაძედავს სოხუმიდან ორ კილომეტრში გასვლას ისე, რომ მისი სიცოცხლე საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს, ვერც ერთი უფროსი ვერ გაძედავს ამ მხარეში მოგზაურობას დაცვის ძლიერი რაზმის თანხლების გარეშე...

მხარის ამგვარ მდგომარეობაში ყოფნის გამო არის თუ არა რუსეთის მომგებიანი და შეესაბამება კი სამართლიანობისა და კაცომიუვარეობის გრძნობას რეგიონის მისი ამჟამინდელი მმართველი მთავრის ხელში დატოვება.

ეს, პოლიტიკური თვალსაზრისით, სრულიად საზიანო იქნებოდა. ამ მდგომარეობაში მყოფი აფხაზეთი ყოველთვის იქნება გამზადებული პლაცდარმი და საფუძველი მტრის მიერ ზღვის მხრიდან ამიერკავკასიის წინააღმდეგ მოქმედებისთვის". მეფისნაცვალი აყენებდა სამთავროს გაუქმების, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაქვემდებარებული სამხედრო ოკრუგის შექმნის, ზღვის მთელ სანაპიროზე, ენგურის შესართავამდე, კაზაკური დასახლებების დაფუძნების წინადადებას. 1864წ. აპრილში იმპერატორმა მეფისნაცვლის წინადადებები მოიწონა. ამით 1810 წ. 17 თებერვლის მანიფესტმა რუსეთის მთარველობაში აფხაზეთის მიღების შესახებ იურიდიული ძალა დაკარგა.

რუსეთ-კავკასიის ომის დასრულების (1864წ. 21 მაისი) შემდეგ დადგა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების ჟამი. 1864 წლის ივნისში აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე თანამდებობიდან გადააყენეს და რეგიონში რუსული მმართველობა შემოიღეს. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, 1883 წლიდან – სოხუმის ოკრუგი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. 1903 წლიდან ოკრუგი, რომელსაც მომდევნო წელს გაგრა ჩამოაჭრეს (შავი ზღვის გუბერნიას მიუერთეს), უშუალოდ მეფისნაცვლის კანცელარიას ექვემდებარებოდა, თუმცა ადმინისტრაციული (საპოლიციო, სამობილიზაციო) და სასამართლო საკითხები კვლავაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გამგებლობაში რჩებოდა.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამ და რუსული მმართველობის შემოღებამ მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც 1866 წლის აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო აჯანყება და 1867 წელს 20 ათასზე მეტი აფხაზი იძულებით თურქეთში გადაასახლა (მუჰაჯირობა). მასობრივი მუჰაჯირობის მორიგი ტალღა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს უკავშირდება. სახელმწიფო ღალატში დადანაშაულებული თითქმის 32 ათასი აფხაზი გადაასახლეს თურქეთში.

რუსეთის მთავრობამ, „არასაიმედო“ აფხაზების კიდევ უფრო შევიწროების მიზნით, სხვა მკაცრი ზომებიც მიიღო. იმპერატორის 1880წ. 31 მაისის ბრძანებულებით ისინი „დამნაშავე ერად“ გამოცხადდნენ, რამაც

ხალხის დისკრიმინაცია, სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებში მთელი აფხაზური მოსახლეობის შეზღუდვები გამოიწვია.

კავკასიაში ომის დამთავრების შემდეგ რუსეთმა საქართველოში კოლონიური პოლიტიკა გაამკაცრა. ეს პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებით რეგიონის რუსებით, სომხებით, ბერძნებითა და იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი სხვა ხალხებით დაჩქარებულ კოლონიზაციაში (იმ პერიოდში აფხაზეთის შიდა რაიონებში ბრუნდებოდნენ XVIII). ბოლოს იქიდან გამოდევნილი ქართველების შთამომავლებიც), სკოლისა და ეკლესიის რუსიფიკაციაში, ქართული მოსახლეობის შევიწროებაში, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან ქართული ენის განდევნაში, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების ხელოვნურად პროვოცირებასა და გამწვავებაში გამოიხატებოდა. მუჰა-ჯირობის შედეგად აფხაზები იმდენად დასუსტდნენ, რომ ისინი რეალურ პოლიტიკურ ძალას და იმპერიისთვის საფრთხეს (მით უფრო ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ) უკვე აღარ წარმოადგენდნენ. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა მათი უკმაყოფილების მიმართვას რეგიონში დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდის - ქართველების წინააღმდეგ. „გათიშე და იბატონეს“ იმპერიულმა პოლიტიკამ პირველი რეალური შედეგები რუსეთის 1905-1907 წლების დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში გამოილო. ყველასაგან მოულოდნელად აფხაზებმა მაშინ არა რევოლუციას, არამედ თვითმშერობელობას დაუჭირეს მხარი. ამ მოვლენის მიზეზები უნდა ვეძებოთ ცარიზმის მიზანმიმართულ ანტიქართულ პოლიტიკაში, პოლიტიკურად დასუსტებული აფხაზების მნიშვნელოვანნილად რუსიფიკაციაში. 1907წ. 27 აპრილს ნიკოლოზ II-მ, გაითვალისწინა რა აფხაზთა „დამსახურებები“ რევოლუციის წლებში, დაამტკიცა მთავრობის მიერ წარდგენილი დებულება „სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის მიწათმფლობელობის უფლებებში გათანაბრების შესახებ“. ამით აფხაზი ხალხი „დამნაშავე ერის“ წოდებისაგან გათავისუფლდა.

ცარისტული მთავრობა, როგორც 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, ისე განსაკუთრებით მისი დამარცხების შემდეგ დაწყებული რეაქციის პირობებში, ქართველთა და აფხაზთა შორის უფსკრულის გაღრმავებას ცდილობდა. XXI. დასაწყისიდან უკვე იყო საქართველოს საეგზარქოსან აფხაზეთის გამოყოფის წარუმატებელი მცდელობა. აკადემიურ წრეებში მუშავდებოდა იდეოლოგია „აფხაზეთი საქართველო არ არის“, რომელიც აქტიურად ინერგებოდა აფხაზთა ცნობიერებაში. ცარიზმის ყველა მცდელობის, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების რამდენადმე გამწვავების მიუხედავად, 1916-1917 წლებში მათ ერთობლივად დაიცვეს საქართველოს საეგზარქოსანა და სოხუმის ეპარქიის ერთიანობა, ჩაშალეს რა საეგზარქოსანგან სოხუმის ეპარქიის, ამ უკანასკნელის გან კი სამურზაყანოს სამრევლოების გამოყოფის სინოდისეული გეგმის განხორციელება.

1917 წ. თებერვლის რევოლუციისა და ცარიზმის დამხობის შემდეგ ვითარება მთელ იმპერიაში, მათ შორის კავკასიასა და თვით აფხაზეთშიც, შეიცვალა. ახალ პირობებში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდნენ რუსეთში - დროებითი მთავრობა, ამიერკავკასიაში - განსაკუთრებული კომიტეტი (რომლის სათავეში სამურზაყანოელი აკ. ჩხერიმელი იდგა), სოხუმის ოკრუგში - საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი (შეიქმნა 1917წ. 10 მარტს ალ. შარვაშიძის თავმჯდომარეობით). სოხუმის ქალაქის თავის თანამდებობა ბ. ჩხერიმელის ეკავა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აფხაზ-აფხაზები, მათი ეთნიკური კუთვნილებიდან გამომდინარე, თანაუგრძნობდნენ ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა გამაერთიანებელ მოძრაობას. 1917 წლის მაისში შეიქმნა მთიელთა ცენტრალური კომიტეტი (მთავრობა), რომელმაც აფხაზეთში თავისი წარმომადგენელი მიავლინა. აფხაზთა ყრილობამ (1917წ. 7-8 ნოემბერი) მთიელთა კავშირში განევრიანების გადაწყვეტილება მიიღო, აფხაზთა სახალხო საბჭოს დეკლარაცია და კონსტიტუცია დაამტკიცა, სახალხო საბჭოს შემადგენლობა (თავმჯდომარე ს. ბასარია) აირჩია. საბჭო მხოლოდ აფხაზი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა, მის ინტერესებს იცავდა და რეგიონის მთავრობის უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს როლზე პრეტენზიას არ აცხადებდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, მის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლას სულაც არ ნიშნავდა. სოხუმის ოკრუგი ადმინისტრაციულად ამიერკავკასიის ნაწილად რჩებოდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე პრეტენზიას არც მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობა აცხადებდა. აფხაზთა სახალხო საბჭოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აფხაზეთის სახელმწიფოებრივი გაერთიანების გადაწყვეტილება არასოდეს მიუღია. უფრო მეტიც, სოხუმის ოკრუგის გლეხთა II ყრილობამ (1918 წ. 4-9 მარტი) გადაწყვიტა, რომ აფხაზეთი შედის „ამიერკავკასიის ხალხების საერთო შემადგენლობაში, როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი, რათა მან თავისი უკეთესი მომავალი დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჭედოს“.

1918 წ. ზამთარსა და გაზაფხულზე რუსმა ბოლშევიკებმა ორჯერ სცადეს აფხაზეთის დაპყრობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მაგრამ ქართულმა ეროვნულმა გვარდიამ 1918 წ. 17 მაისს, ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, სოხუმი გაათავისუფლა. 20 მაისს აფხაზთა სახალხო საბჭომ დაადასტურა საკუთარი და ასევე, ოკრუგის გლეხთა II ყრილობის გადაწყვეტილები აფხაზეთის ამიერკავკასიის ხალხების საერთო ოჯახში ყოფნის შესახებ. ამკარა ფაქტების საპირისპიროდ, სეპარატისტული ისტორიოგრაფია მთიელთა რესპუბლიკის გამოცხადების დღეს – 1918წ. 11 მაისს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღედ მიიჩნევს. გაუგებარია როგორ აღადგინა ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალმა აფხაზეთმა სახელმწიფოებრიობა რეგიონის ბოლშევიკური ოკუპაციის, სახალხო საბჭოს დათხოვნისა

და მისი წევრების დაპატიმრების პირობებში, მაშინ, როცა ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკები რეგიონს არა აფხაზეთს, არამედ სოხუმის ოკრუგს უწოდებდნენ. ცხადია, მითი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ სეპარატისტების მიერაა გამოგონილ.

ამიერკავკასიის სახელმწიფო მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე არსებულმა უთანხმოებამ 1918 წ. მაისში დაშლამდე მიიყვანა. 1918 წ. 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის მოლაპარაკების შედეგად 1918 წლის 11 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის წილში აფხაზეთის დაპრუნების საფუძველი გახდა.

შოვინისტებსა და სეპარატისტებს მშვიდობა და თანხმობა აფხაზეთში ხელს არ აძლევდათ. 1918წ. ივნისის შუახანებში რუსმა ბოლშევიკებმა სოჭიდან მორიგი შეტევა განახორციელეს და შეძლეს დაეკავებინათ ტერიტორიები ახალ ათონამდე. საქართველოს მთავრობამ, აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრების თხოვნით, აფხაზეთში გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით სამხედრო რაზმი გაგზავნა. 19 ივნისს გენერალი სოხუმში ჩავიდა. აფხაზთა 300-კაციანი ესკადრონით გაძლიერებულმა ქართულმა რაზმმა 27 ივნისს განახორციელა შეტევა, რომლის შედეგადაც არა მხოლოდ აფხაზეთი გათავისუფლდა, არამედ ერთ თვეში (1918წ. 26 ივლის) ტუაფსეს აღებაც მოხერხდა. 1918 წ. აგვისტოს ქართულმა ჯარებმა სოჭისაენ დაიხიეს.

სეპარატისტულმა ძალებმა შექმნილი ვითარება გამოიყენეს და 1918 წ. 27 ივნისს, როდესაც აფხაზეთში შექრილი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, კოდორის (ოჩამჩირის) უბანში თურქული დესანტი გადასხეს. ქართულმა ჯარებმა, ბოლშევიკურ ტერორს გამოქცეული და საქართველოში გადმოხვენილი რუსი კაზაკების დახმარებით, დესანტი გაანადგურეს. დაკარგეს რა წარმატების ყოველგვარი იმედი, შოვინისტებმა და სეპარატისტებმა ატეხეს ხმაური გენერალ გ. მაზნიაშვილის მიერ „აფხაზეთის ოკუპაციის“ გამო და რეგიონიდან ქართული ჯარების გაყვანა მოითხოვეს. მოგვიანებით თევზისი „ოკუპაციის“ შესახებ სეპარატისტულმა ისტორიოგრაფიამაც აიტაცა, რათა 1918-1921 წლებში აფხაზეთის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნის „უკანონობა“ დაემტკიცებინა. ე.წ. ოკუპაციის საკითხი არაერთხელ განიხილა აფხაზთა სახალხო საბჭომაც. 1918წ. 17 ივლისს განიხილებოდა გ. მაზნიაშვილის შტაბისადმი ნდობის საკითხი. სახალხო საბჭომ თითქმის ერთხმად გადაწყვიტა, „ხელახლა დადასტურდეს არაერთი ჩვენი გადაწყვეტილება და ითქვას საქართველოს ნაწილების აქ ყოფნის აუცილებლობის შესახებ.“ 1918 წ. 18-19 ივლისს აფხაზთა სახალხო საბჭომ მხარი არ დაუჭირა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის ი. რამიშვილის წინადადებას ქართული ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ. აღნიშნული ფაქტები აშკარად უარყოფენ მტკიცებას „ოკუპაცი-

ის“ თაობაზე. სინამდვილეში ხომ ქართული ჯარები აფხაზეთში 1918 წ. 11 ივნისის ხელშეკრულებისა და აფხაზთა სახალხო საბჭოს დაუინებული თხოვნის საფუძველზე იმყოფებოდნენ.

სეპარატისტებმა, ბოლშევიკური ავანტიურის ჩაშლის შემდეგ, გეზი გენერლების მ. ალექსეევისა და ა. დენიკინის ხელმძღვანელობით მოქმედ ანტიბოლშევიკურ ძალაზე - თეთრგვარდიელებზე აიღეს. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა (საგარეო საქმეთა მინისტრი უ. გეგეჭკორი, გენერალი გ. მაზნიაშვილი) და ზემოხსენებულ თეთრგვარდიელ გენერლებს შორის 1918 წ. 25-26 სექტემბრის უშედეგო მოლაპარაკებებმა, რომელიც ძირითადად სოჭის კუთვნილების საკითხს შეეხებოდა, ცხადყო, რომ მონინააღმდეგე აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებზე სერიოზულ იმედებს ამყარებდა.

თეთრგვარდიელთა მიერ წაეზებულმა სეპარატისტებმა 1918 წ. 9 ოქტომბერს სცადეს პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა, აფხაზთა სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობის, მათ შორის მისი თავმჯდომარის ვ. შარვაშიძის გადაყენება. მცდელობა ჩაიშალა. სახალხო საბჭოს თავმჯდომარისა და ცალკეული წევრების წინადადებით საქართველოს მთავრობამ სახალხო საბჭო დაითხოვა, შეთქმულები დააპატიმრა და ამის შემდეგ წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები დანიშნა. საქართველოს, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, სოჭიდან შემოქრილი თეთრგვარდიელების მოგერიება მოუხდა. მონინააღმდეგემ გაგრა დაიკავა და მდ. ბზიფზე გამაგრდა. მიუხედავად ამისა, 1919 წ. 13 თებერვალს აფხაზეთის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ორგანიზებულად ჩატარდა. 1919 წ. 20 მარტს აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველი პუნქტით გაცხადდა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული.“ 1919 წ. მაისში აფხაზთა სახალხო საბჭომ, ასევე, მიიღო გადაწყვეტილება კომისარიატის (მთავრობის) შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეში არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი ჩაუდგა. მაშინვე სოხუმის ოკრუგს აფხაზეთი, ხოლო აფხაზთა სახალხო საბჭოს აფხაზეთის სახალხო საბჭო ეწოდა და მისი თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე გახდა.

1919-1921 წლები აფხაზეთის ავტონომიის ცხოვრებაში სახელისუფლებო სტრუქტურების განმტკიცების, გაგრიდან თეთრგვარდიელთა განძევნის (1919წ. აპრილი), აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პერიოდი იყო. ამასთანავე, ხელისუფლებას მკვეთრად უპირისპირდებოდნენ სახალხო საბჭოში მყოფი ბოლშევიკები და მათი მხარდამჭერები, რომლებიც აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობდნენ. 1920 წ. იანვარში საქართველოს საერთაშორისო აღიარებამ, აგრეთვე, იმავე წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმებამ და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ რამდენადმე გააუმჯობესა ქვეყ-

ნის მდგომარეობა, შეიქმნა სამართლებრივი გარანტიები ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის. კერძოდ, 1920წ. 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების III მუხლის I პუნქტი მკაფიოდ განსაზღვრავდა ორ ქვეყანას შორის სახელმწიფო საზღვარს „შავი ზღვიდან მდ. ფსოუს გაყოლებით ახახჩას მთამდე...“ რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა, „აღიაროს როგორც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობამი უდავოდ შემავალი, გარდა ამ ხელშეკრულების III მუხლის I პუნქტის ძალით საქართველოსთვის მიკუთვნებული შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა (გაგრის ზონა – ავტ.), ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვემოჩამოთვლილი გუბერნიები და ოლქები - თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თავიანთი მაზრებითა და ოკრუგებით, რომლებიც აღნიშნულ გუბერნიებს და ოლქებს შეადგენენ, აგრეთვე, ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები“.

დაარღვია რა 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება, საბჭოთა რუსეთმა 1921 წ. თებერვალ-მარტში მოახდინა საქართველოს ოკუპაცია მისი შემდგომი ანექსით. იმავე წლის 28 მარტს საოკუპაციო სტრუქტურების – რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენლებმა ბათუმში გამართულ თათბირზე გადაწყვიტეს, რომ აფხაზეთი დროებითი, წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოების ყრილობის) არჩევამდე და მოწვევამდე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადებულიყო. ამ შუალედში აფხაზეთის მთელი „დამოუკიდებლობა“ იმაში გამოიხატებოდა, რომ მას მართავდნენ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობის, არამედ გ. ორჯონივიძის თავმჯდომარეობით თბილისში მოქმედი რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (კავბიუროს) მიერ დანიშნული პირები. რუსეთის ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოების არც ერთ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტში, მისი უმაღლესი ხელმძღვანელების, მათ შორის ვ. ლენინის გამოსვლებში, კავკასიის „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკებს შორის აფხაზეთი არ მოიხსენიება; მისი დაფინანსება ხდებოდა არა მოსკოვიდან, არამედ საქართველოს მთავრობის მიერ; საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და შინაგან საქმეთა კომისარიატი (სამინისტრო) სოხუმში აგზავნიდნენ თავიანთ განკარგულებებს „ცნობად და სახელმძღვანელოდ“, „სისწორით შესასრულებლად“ და ა.შ. 1921 წ. 5 ივლისს კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, განეულიყო პარტიული მუშაობა „იმ მიმართულებით, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში“. 1921 წ. 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირმა, ნ. ლაკობას მოხსენების საფუძველზე, მიიღო დადგენილება „ეთნოგრაფიული, ისტორიული და ყოფითი პირობების გამო საბჭოთა აფხაზეთის საბჭოთა საქართველოსთან ფედერირების შესახებ.“ ამიერკავკასიის ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკებისაგან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხ-

ეთი) განსხვავებით, აფხაზეთს არ ჰყავდა წარმომადგენლობა მოსკოვში. ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი (მინისტრი) ი. სტალინი 1921 წლის 1 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (საბჭოების ყრილობებს შორის პერიოდში უმაღლესი საკანონ-მდებლო ორგანო) აცნობებდა, რომ „აფხაზეთი არის დამოუკიდებელი საქართველოს ავტონომიური ნაწილი, ამის გამო დამოუკიდებელი წარმომადგენლობები რუსეთში არ ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს. ამიტომ კრედიტის მიღება რსფსრ-დან მას არ შეუძლია.“ ასეთ კრედიტებს 1921 წ. აფხაზეთი მხოლოდ საქართველოს მთავრობისაგან იღებდა, ვინაიდან მოსკოვში მას საქართველოს ნაწილად მიიჩნევდნენ.

1921 წ. 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთს შორის, „ლრმა საერთოეროვნული კავშირებიდან გამომდინარე“, გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო, პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური კავშირის დამყარების თაობაზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, ასევე, „ყველა სამხარეო გაერთიანებაში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში აფხაზეთის შესვლას საქართველოს მეშვეობით“ და არა უშუალოდ. აქედანაც კარგად ჩანს, რომ 1921 წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულებით ორი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკის გაერთიანება კი არ მოხდა, არამედ აფხაზეთი რესპუბლიკის სტატუსით შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. შემდგომ წლებში, როცა „არჩევითა“ საბჭოთა ორგანოები ჩამოყალიბდა, ეს ურთიერთობა კონსტიტუციურადაც გაფორმდა.

XX ს. 20-იან წლებში ფაქტობრივად და იურიდიულად აფხაზეთი წარმოადგენდა საქართველოს ფარგლებში მყოფ ავტონომიურ რესპუბლიკას. ამიტომ ის არ იყო ამიერკავკასიის ფედერაციის, მით უმეტეს, 1922 წლის დეკემბერში შექმნილი საბჭოთა კავშირის სუბიექტი. თვით საბჭოთა იმპერიის ძირითადი კანონის – სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის (1924–1936 წწ.) მიხედვით აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა.

ვინაიდან აფხაზეთის საბჭოების III ყრილობის მიერ 1925 წ. 1 აპრილს ყოველგვარი განხილვის გარეშე მიღებული კონსტიტუცია, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციებთან, არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, ძალაში არ შესულა. უფრო მეტიც, „აფხაზეთის საბჭოების III ყრილობის ბიულეტენში“ (სოხუმი, 1925) გამოქვეყნებული ინფორმაციით, ყრილობამ დაადგინა, დასრულდეს მუშაობა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე, იგი მოყვანილ იქნეს საქართველოს კონსტიტუციისთან შესაბამისობაში. რას წარმოადგენდა 1925 წლის კონსტიტუციია თუ კონსტიტუციის პროექტი? ის, ძირითადად, იმეორებდა საქართველოს კონსტიტუციის და აფხაზეთს სუვერენულ სახელმწიფოდ აცხადებდა. II თავის V პუნქტში ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთი, როგორც სუვერენული სახელმწიფო, თითქოს ინარჩუნებდა საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას. რადგანაც აფხაზეთი სინამდვილეში არ იყო სუვერენული სახელმწიფო, უშუალოდ არ შედიოდა

სასრ კავშირის შემადგენლობაში, არამედ იყო საქართველოს სასრ ავტონომიური რესპუბლიკა, მას არანაირად არ შეეძლო მისი შემადგელობიდან გასვლა. ეს იყო კონსტიტუციური სისულელე (ნ. ლაკობა).

აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის გადამუშავება 1926 წელს დასრულდა. საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებში შევიდა საერთო თავი, რომელიც არეგულირებდა ურთიერთობებს საქართველოსა და აფხაზეთს შორის. ორივე კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ „აფხაზეთი განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით ამიერკავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში“.

სასრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, 1931 წლის 11 თებერვალს აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ აფხაზეთის სსრ-ს სახელი გადაარქვა და აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (აფხაზეთის ასარ) უწოდდა. როგორც 1931 წლამდე, ისე სახელის გადარქმევის შემდეგაც, აფხაზეთი იყო და დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, თანაც 1926 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებები უცვლელი დარჩა. ამიტომ ყოველგვარი საუბრები ი. სტალინის მიერ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში გადაცემის შესახებ საფუძველს მოკლებულია. ეს ყველაფერი ისტორიის ფალიფიკატორთა მორიგი მონაგონია.

XX ს. 30-იან წლებში საბჭოთა იმპერიაში მართვის ცენტრალიზაციისა და უნიტარიზაციის პროცესი მიმდინარეობდა. ამ პროცესის ფარგლებში 1935წ. 7 იანვარს, აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობის გადაწყვეტილებით, დამტკიცდა აფხაზეთის კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომლის მიხედვითაც ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კომისარიატი საქართველოს შესაბამის კომისარიატებს დაექვემდებარა (მუხლი 42). საბჭოთა კავშირის უნიტარიზაციისა და მართვის ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 1936წ. 5 დეკემბერს ე.ნ. სტალინური კონსტიტუციის მიღებით დასრულდა, რომელსაც მოჰყვა უნიფიცირებული კონსტიტუციების მიღება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოსა (1937წ. 13 თებერვალი) და აფხაზეთში (1937წ. 2 აგვისტო). ამ კონსტიტუციების მიხედვით, სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უშუალო გამგებლობაში არ რჩებოდა.

საბჭოთა სოციალისტური სისტემის გენეზისი და აფხაზეთში სოციალიზმის მშენებლობის პროცესი (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია) საერთოიმპერიული კანონზომიერებისა და საერთო-საკავშირო გენერალური მიმართულებების ფარგლებში კრემლის მიერ იმართებოდა და ადგილებზე ზედმეტი „თვითშემოქმედების“ გარეშე მიმდინარეობდა. ამ თვალთახედვით უნდა შეფასდეს XX ს. 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები აფხაზეთში, 1938 წელს დასრულებული აფხაზური დამნერლობის რეფორმა (ლათინური გრაფიკის ქართული

გრაფიკით შეცვლა), 1945-46 სასწავლო წლიდან განხორციელებული სასკოლო რეფორმა („აფხაზურ სკოლებში“ სწავლების რუსული ენიდან ქართულზე გადაყვანა აფხაზური ენის სწავლების შენარჩუნებით), მიწისძვრით დაზარალებული მეზობელი რაიონებიდან მოსახლეობის ნაწილის აფხაზეთში ჩამოსახლება და სხვა. პოლიტიკური რეპრესიები, როგორც ცნობილია, საერთო-საკავშირო „ლონისძიებას“ წარმოადგენდა. ავტონომიებში დამწერლობისა და სწავლების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკების გრაფიკასა და სახელმწიფო ენაზე, ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების დირექტივების შესაბამისად, მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა. ამიტომ უფრო სამართლიანი და სასარგებლო იქნება თუ სეპარატისტები თავიანთ პრეტენზიებს წაუყენებენ არა ვითომ აფხაზთა გადაგვარების მზაკვრული გეგმის მქონე ქართველებს, არამედ იმპერიას, რომელიც დღესაც წარმატებით აგრძელებს აფსუა ხალხის ასიმილაციას. მეზობელი რაიონებიდან ჩამოსახლება ადამიანებისა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებაში, ასევე, მოსკოვის დირექტივებით ხორციელდებოდა.

პოსტსტალინისტური პერიოდი საქართველოსთვისაც მტკიცნეული აღმოჩნდა. სტალინის პიროვნების კულტის ანტიქართული გამოხდომების თანხლებით მიმდინარე კრიტიკას ქ. თბილისში მოჰყვა საპროტესტო მშვიდობიანი ახალგაზრდული მანიფესტაციები, რომელიც რუსმა ჯარისკაცებმა მასობრივად დახვრიტეს. მანიფესტაციაზე დროდადრო გაისმოდა მოწოდებები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებაც. კრემლმა გააძლიერა ზემოქმედება თბილისზე, დაადანაშაულა რა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია შოვინიზმის გამოვლინებაში, აფხაზების, ოსებისა და სომხების ასიმილაციის მცდელობაში (იხ. სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1956წ. 10 ივლისის დადგენილება). ეს ბრალდება გახდა თავისებური ნიშანი სეპარატისტებისთვის. ეჭვგარეშეა, რომ აფხაზეთში სწორედ კრემლმა მოახდინა 1957, 1967 და 1977 წლების ანტიქართული გამოსვლების პროვოცირება, თუმცა საბაბად პირველ ორ შემთხვევაში გამოიყენეს სეპარატისტებისთვის მიუღებელი ისტორიული შრომების გამოცემა თბილისში, მესამე შემთხვევაში – საქართველოსა და აფხაზეთის ახალი კონსტიტუციების მიღება; კრემლი თუ ერთი ხელით ანტიქართული გამოსვლების პროვოცირებას ახდენდა, მეორე ხელით ცდილობდა კონფლიქტების ისეთნაირად „მოგვარებას“ (სეპარატისტთა სასარგებლო საკადრო გადაადგილებების განხორციელებით), რომ უფრო ხელსაყრელი ნიადაგი შეექმნა უფრო მასშტაბური გამოსვლებისთვის.

ალსანიშნავია, რომ ცარისტული რუსეთის მიერ დაწყებული „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა წარმატებით განაგრძო ბოლშევკური რუსეთის მესვეურებმა, რომლებიც კავკასიაში (მათ შორის საქართველოში) არსებულ ეთნიკურ ჯგუფებს ერთმანეთზე ზენოლის ბერკეტად იყენებდა, რითაც ცდილობდა იმპერიული პოლიტიკური მიზნები განეხორციელებინა

და ყოველგვარი თავისუფლებისადმი სწრაფვა ამ ხალხებისა საფუძველ-შივე აღეკვეთა. XX ს. 80-იანი წლების ბოლოს, როცა ეროვნულ-განმათა-ავისუფლებელმა მოძრაობებმა საბჭოთა იმპერია ძირფესვიანად შეარყია, თავისუფლებისთვის ბრძოლის ავანგარდში, სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველოც გამოდიოდა. დემორალიზებული და დეზორგანიზებული კრემლი შეეცადა 1989 წ. 9 აპრილს თბილისში მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტა თავისთვის სასარგებლო მიზნის მისაღწევად (ხალხის დასაშინებლად) გამოეყენებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. შედეგი სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა. მოხდა მთელი ერის კონსოლიდაცია და შიშის ფაქტორი პრაქტიკულად აღარ მოქმედებდა. მოსკოვმა სხვა ბერკეტები აამოქმედა, თუმცა ანტიქართულმა გამოსვლებმა აფხაზეთში 1989 წ. ივლისში იმპერიულ ცენტრს ბევრი ვერაფერი მისცა. კრემლის ხრიკების მიუხედავად, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიინვდა დამოუკიდებლობისაკენ. 1990 წ. 28 ოქტომბერს გამართულ მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიმარჯვა, რასაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია მოჰყვა. საქართველოს რესპუბლიკამ არ მიიღო მონაწილეობა სსრ კავშირის შენარჩუნების თაობაზე 1991 წლის 17 მარტს გამართულ საკავშირო რეფერენდუმში, რომელიც კრემლის მცდელობით, აფხაზეთში მაინც ჩატარდა, მაგრამ სერიოზული დარღვევებით. მოსკოვის მითითებით, სასურველი შედეგის მისაღებად, გალის მთლიანად ქართული რაიონი, სადაც აფხაზეთის მოსახლეობის 20% ცხოვრობდა, საარჩევნო უბნების ვითომ „მოუმზადებლობის“ საბაბით, არჩევნებიდან მოხსნეს. გარდა ამისა, აფხაზურ საარჩევნო უბნებში სსრ კავშირის შენარჩუნების მომხრეთა ხმების რაოდენობამ კურიოზული მაჩვენებელი – ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 120%(!) შეადგინა. სეპარატისტებმა ამ გზით მთელ აფხაზეთში ძლივს დააფიქსირეს ხმათა 50 პროცენტზე ოდნავ მეტი, მაგრამ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სსრ კავშირის შენარჩუნებისადმი მიძღვნილი რეფერენდუმი ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაიშალა. იმავდროულად, 1991 წ. 31 მარტს აფხაზეთში დიდი წარმატებით ჩატარდა რეფერენდუმი „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“. აფხაზეთის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, ვ. არძინბას მეთაურობით, გადაწყვიტა თვითონ არ მიეღო მონაწილეობა რეფერენდუმში, მაგრამ ავტონომიურ რესპუბლიკაში მისი ჩატარებისთვის ხელი არ შეეშალა. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბლოკი „სოიუზი“ (სსრ კავშირის შენარჩუნების მომხრეები) რეფერენდუმში არ მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (347175 კაცი) 61,27% ჩატარა, ანუ იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე მთლიანად აფხაზეთში ქართული მოსახლეობა (45%)იყო. რეფერენდუმში მონაწილეთა 97,73% (ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის თითქმის 60%) ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას (დამოუკიდებლობის

ალდგენა 1991 წ. 9 აპრილს გამოცხადდა). ანალოგიურ ვითარებაში ჩატარდა და დაახლოებით იმავე მაჩვენებლებით დასრულდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის არჩევნები აფხაზეთის ტერიტორიაზე (1991წ. 26 მაისი).

საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის საგანგებოდ ფრთხილი, მშვიდობიანი და კომპრომისული პოლიტიკის დემონსტრირება აფხაზეთან მიმართებით კიდევ ერთხელ 1991 წ. ზაფხულში მოხდა, როდესაც ქართული და აფხაზური მხარეების ერთობლივი ძალისხმევით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი შემუშავდა და ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა. უმაღლესი საბჭოს 65 მანდატი ეთნიკური პრინციპით ჩამოყალიბებულ ერთმანდატიან ოლქებში გადანაწილდა. აფხაზებს 28 მანდატი ერგოთ, ქართველებს – 26, სხვა ეროვნებებს – 11. მანდატები ისეთნაირად გადანაწილდა, რომ არც ერთ მხარეს არ შეეძლო კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება და ცალმხრივად კონსტიტუციური, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. ქართველთა და აფხაზთა შეთანხმების გარეშე შეუძლებელი იყო არა მხოლოდ სტატუსის საკითხის ლეგიტიმური გადაწყვეტა, არამედ მთავრობის დანიშვნაც კი, ვინაიდან მინისტრის დამტკიცებას, ასევე, კვალიფიციური უმრავლესობა სჭირდებოდა.

ეთნიკური ნიშნის მიხედვით გადანაწილდა როგორც მანდატები უმაღლეს საბჭოში, ისე ძირითადი თანამდებობებიც. კერძოდ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აფხაზი უნდა არჩეულიყო, მის პირველ მოადგილედ - ქართველი; აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ქართველი ინიშნებოდა, პირველ მოადგილედ - აფხაზი. განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებებიც. მაგალითად, აფხაზეთის კონსტიტუციაში ტერმინი „საქართველოს სსრ“ შეიცვალა ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“. ამ ცვლილებით აფხაზეთი კონსტიტუციურად ადასტურებდა, რომ ის ადრე თუ საქართველოს სსრ ნაწილი იყო, ამიერიდან დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. იმისათვის, რათა სათანადოდ შეფასდეს ამ კონსტიტუციური ცვლილების მნიშვნელობა, საჭიროა გავიხსენოთ სეპარატისტთა მიერ ლობირებული კრემლის ინსტრუქცია იმის თაობაზე, რომ კონსტიტუციურად აფხაზეთი სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს სსრ ნაწილს წარმოადგენდა და არა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკისას. განხორცილებული ცვლილებით მსგავს ინსინუაციებს ბოლო მოედო. აფხაზეთის კონსტიტუციაში შევიდა, ასევე, დამატება, რომ კანონი აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ ძალაში შედიოდა საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების მიერ მისი დამტკიცების შემდეგ (მუხლი 98).

კრემლმა, ძლიერ იყო რა შეშფოთებული დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს დამაჯერებელი სვლით, 1991 წლის 17 და 31 მარტის რეფ-

ერენდუმების, 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით, მოსკოვის „მედიატორული“ როლის გარეშე თბილისის მიერ აფხაზეთთან ურთიერთობის დარეგულირებით, გადაწყვიტა, რომ ამ პროცესის შესაჩერებლად საქართველოს პირველი პრეზიდენტის ძალადობის გზით დამხობა და აფხაზეთში ომის გაჩაღება იყო საჭირო. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ხელმძღვანელობამ, რომელიც მანამდე საკავშირო ცენტრთან ძალაუფლებისათვის ბრძოლით იყო დაკავებული, მთელი ძალისხმევა მიმართა საქართველოსკენ, რომელიც უარს ამბობდა ახლადდაფუძნებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) განვითარებაზე. ახალ ვითარებაში, როდესაც 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა, რის შედეგადაც ე. შევარდნაძის მეთაურობით სახელმწიფო საბჭოს სახით დროებითი არალეგიტიმური ხელისუფლება ჩამოყალიბდა და რუსეთის მიერ ინსპირირებული, სამოქალაქო დაპირისპირებად წოდებული, არსებითად კი რუსეთ-საქართველოს ომი გაჩაღდა, აფხაზეთის სეპარატისტული ძალები მეტისმეტად გააქტიურდნენ. მოსკოვის წაქეზებითა და საკუთარი კონსტიტუციის დარღვევით აფხაზეთის ხელმძღვანელობა ცალმხრივ გადაწყვეტილებებს იღებდა და საომარ რიტორიკას მიმართავდა. 1992 წ. 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ კვალიფიციური უმრავლესობის გარეშე ანუ უკანონოდ მიიღო გადაწყვეტილება მოქმედი კონსტიტუციის გაუქმებისა და 1925 წლის მკვდრადშობილი კონსტიტუციის (რომლის შესახებ ზემოთ იყო საუბარი) აღდგენის შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ ვითარება უმართავი გახადა, რაც საომარ მოქმედებებში გადაიზარდა. დღეს ეჭვგარეშეა, რომ ომი აფხაზეთში ქართული სახელმწიფოს დასუსტების, მისი დანაწევრებისა და რუსეთის იმპერიის წილში ახალი ფორმით დაბრუნების კრემლისეული გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა აფხაზეთის მოსახლეობისთვის, მთლიანად სახელმწიფოსთვის. ორივე მხრიდან ათეულ ათასობით დაღუპულის გარდა, ავტონომიური რესპუბლიკა დატოვა მისი კანონიერი მოსახლეობის სამმა მეოთხედმა. დევნილად იქცა თითქმის 300 ათასი ქართველი, 40 ათასამდე აფხაზი, ათასობით ბერძენი, ესტონელი, უკრაინელი, ებრაელი, რუსების ნაწილი და ა.შ. 1997 წლისთვის აფხაზეთში ომამდელი 535 ათასი მოსახლიდან (1992 წლის იანვრის აღრიცხვის მონაცემებით) 145 986 ადამიანი დარჩა (შემდგომში ეს ციფრი საგრძნობლად არ შეცვლილა, თუმცა სეპარატისტების ოფიციალური სტატისტიკა ასახელებს აშკარად არარეალურ ციფრს - 240 705 კაცს, რომელთაგან 122 690 ვითომ აფხაზი იყო); ამრიგად, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 388 075 კაცით - 72,7 პროცენტით, ანუ 3,7 ჯერ შემცირდა. ამ ომის შედეგად სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე მეტად ქართული მოსახლეობა დაზარალდა. აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის რაოდენობა იქ დარჩენილებს 3,5-ჯერ აღემატება. ამიტომ ეუთომ, რუსეთის მონაწილეობით, თავის რეზოლუციებში სამჯერ აღიარა და დაგმო აფხაზეთში ჩატარე-

ბული, უპირატესად, ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთ-ნომენდა (1994 წლის 6 დეკემბერს ბუდაპეშტში, 1996 წლის 3 დეკემბერს ლისაბონში და 1999 წლის 17-18 ნოემბერს სტამბულში).

რაც შეეხება აფხაზებს, ისინი არ გამხდარან და ვერც გახდებოდნენ ქართველთა მიერ ვითომ განხორციელებული გენოციდისა და ეთ-ნიკური წმენდის მსხვერპლი, თუნდაც იმიტომ, რომ მათ კომპაქტურ დასახლებებში ქართული სამხედრო შენაერთები არ შესულან. საოკუ-პაციო ძალებმა კი ამ დროს მთლიანად მინასთან გაასწორეს ასობით ქართული დასახლებული პუნქტი, დახოცეს ან განდევნეს ადგილობრივი მოსახლეობა, დაიტაცეს (და დღემდე უკანონოდ ფლობენ) ან მოსპეს მათი კუთვნილი აურაცხელი ქონება ქალაქად და სოფლად. ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდა ქართველებს, წარმოადგენს აფხაზეთის ხელში ჩაგდების, საქართველოსგან მისი მოწყვეტის ხანგრძლივი მიზანმიმართული და გეგმაზომიერი კრემლისეული პოლიტიკის უშუალო შედეგს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიტიკა ხორციელდებოდა და ხორციელდება სეპარატისტთა სახელით და მათი ფორმალური მონაწილეობითაც, მთავარი პასუხისმგებლობა მომხდარზე რუსეთის ფედერაციას ეკისრება. სწორედ მან შეამზადა და მოახდინა ომის პროვოკირება აფხაზეთში; ის აიარალებდა სეპარატისტებს (დღემდე აიარალებს), რუსეთიდან შემოგზავნილ სამხედრო და ბანდიტურ ფორმირებებს; იცავდა და იცავს პასუხისმგებლობისაგან ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედებების უშუალო შემსრულებლებს.

ეთნიკური წმენდის შედეგების დაკანონებას ყველანაირად ხელს უწყობდა რუსული „სამშვიდობი“ მისია, რომელიც აფხაზეთში 1994 წლიდან ხორციელდებოდა. რუსეთმა უკვე განახორციელა თავისი ე.ნ. სამშვიდობო მისიის ნამდვილი მიზნების რეალიზაცია, როდესაც 2008წ. აგვისტოში საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო და, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა (2008წ. 26 აგვისტო). რუსეთის სამხედრო აგრესის საბოლოო მიზანს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციის შეჩერება წარმოადგენდა. მაგრამ მიზანი ვერ იქნა მიღწეული, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საკუთარ სახლებში დევნილთა დაბრუნებას მხარს უჭერენ წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერო, ნატო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, ეუთო, ერთი სიტყვით, მთელი ცივილიზაციული სამყარო. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით თბილისის ოფიციალური პოზიცია გაზიარებულია ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, როგორებიცაა: გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე მიღებული რეზოლუციები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ (2009წ. 9 სექტემბერი, 2010წ. 7 სექტემბერი, 2011წ. 29 ივნისი, 2012 წლის 3 ივლისი); ევროკავშირის სახელმწიფო მეთაურთა საგანგებო საბჭოს სხ-

დომის დასკვნა (2008წ. 1 სექტემბერი); ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს დასკვნები (2008წ. 15-16 სექტემბერი); ევროპარლამენტის რეზოლუციები საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ (2008წ. 3 სექტემბერი); „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკის შესახებ“ (2011წ. 20 იანვარი); რეკომენდაციები საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე (2011წ. 17 ნოემბერი); ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1633 (2008), 1647 (2009), 1683(2009) რეზოლუციები; ანგარიშები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ (შჩ/INჭ (2009)7, შჩ/INჭ (2009) 9, შჩ/INჭ (2009) 15); ჩრდილოატლანტიკური საბჭოს განცხადება რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების აღიარების შესახებ (2008წ. 27 აგვისტო); ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის შესახებ (2008წ. 18 ნოემბერი); საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ბრიტუსელის შეხვედრის საბოლოო კომუნიკე (2008წ. 4 დეკემბერი); ნატოს საპარლამენტო ასამბლეის №382 რეზოლუცია საქართველოში არსებული ვითარების შესახებ (2010წ. 16 ნოემბერი); ნატოს ლისაბონის სამიტის კომუნიკე და დეკლარაცია (2010წ. 19-20 ნოემბერი); ნატოს ჩიკაგოს სამიტის დეკლარაცია (2012 წლის 20-21 მაისი); ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის მოხსენება საქართველოში კონფლიქტის შედეგად გამოწვეული ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების შესახებ (2008წ. 27 ნოემბერი); ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია მეზობელ და მოსაზღვრე ტერიტორიებზე ეროვნული შეიარაღებული ძალების გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე (2010წ. 6-10 ივლისი); 2012 წლის 9 ივლისს მონაკოში ეუთოს საპარლამენტო სესიაზე მიღებული რეზოლუცია და ა.შ. საერთაშორისო აქტებში რუსული აგრესია შეფასებულია როგორც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. ისინი შეიცავენ დაუინებულ მოწოდებებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების გაუქმების, საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ.

რუსეთი საქართველოსთან მიმართებით კვლავაც აგრძელებს რეაქციულ პოლიტიკას. მან საგრძნობლად გაზარდა სამხედრო კომპონენტები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათი ფაქტობრივი ანექსიის გზას დაადგა. 2009 წ. 30 აპრილს, სეპარატისტებთან გაფორმებული „ხელშეკრულების“ საფუძველზე, კრემლი ახორციელებს აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის „დემარკაციას“, მთელ პერიმეტრზე სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მშენებლობას და უშიშროების ფედერალური სამსახურის სპეცდანაყოფების დისლოკაციას. 2009 წლის 15 ივნისს რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში, ვეტოს უფლების გამოყენებით, აფხაზეთში გაეროს სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა შეაჩერა. ყოვე-

ლივე ამით სერიოზული საფრთხე შეუქმნა მშვიდობასა და სტაბილურობას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში.

ქართული სახელმწიფოს მიზანია ოკუპირებულ ზონაში მცხოვრებ საკუთარ მოქალაქეებთან ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირების შენარჩუნება და თანდათანობითი გაფართოება; მათთვის ხელმისაწვდომობა ყველა იმ სიკეთისა და სოციალური შეღავათისა, რითაც სარგებლობენ ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრები მოქალაქეები (განსაკუთრებით ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ყოველდღიურად ათობით ოკუპირებული ტერიტორიების მკვიდრნი გადმოდიან, რათა ისარგებლონ ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკისა თუ სოციალურ სფეროებში არსებული სახელმწიფო პროგრამებით, რომლებითაც, სამწუხაროდ, ვერ სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ვინაიდან მათ ამის საშუალებას არ აძლევს არც რუსეთის საოკუპაციო ჯარები და არც დე-ფაქტო მთავრობა.

სეპარატისტებისა და რუსი აგრესორების მთავარ იარაღად რჩება ფიზიკური ძალადობა ეთნოწმენდის თანხლებით, უხეში სიცრუე ფალსი-ფიცირებული ისტორიის სახით, რაც, ასევე, სულიერი და იდეოლოგიური ძალადობის, კულტურული გენოციდის ერთ-ერთი ფორმაა. ვინაიდან საკუთარ პროპაგანდისტულ არსენალში კრემლს არ გააჩნია რამდენადმე დამაჯერებელი სამართლებრივი არგუმენტები ჩადენილი დანაშაულისა, მათ შორის აფხაზეთის „აღიარების“ გასამართლებლად, ის ცდილობს თავს მოახვიოს მსოფლიოს მის მიერვე შეთხზული ყალბი ისტორიული სტერეოტიპები და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენისთვის მებრძოლის მანტიამოსხმული წარსდგეს.

საქართველოს სამშვიდობო ინიციატივის რეალიზაციისთვის, არსებული ფეთქებადსაშიში მდგომარეობიდან გამოსვლისა და ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილებისთვის საჭიროა აფხაზეთი-დან საოკუპაციო ძალების გაყვანა, უსაფრთხოების ახალი მექანიზმის შემუშავება(მაგ:საპოლიციო მანდატით აღჭურვილი საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განთავსება ოკუპირებულ ტერიტორიებზე), დევნილები-სა და იძულებით გადაადგილებული პირების სახლებში დაბრუნება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი და სამართლიანი მოგვარება, მათ შორის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის, საქართველოს კონსტიტუციის, ისტორიისა და არსებული რეალიების გათვალისწინებით.

ეს მოკლე ცნობა, რომელიც საკუთარ ძირძველ ტერიტორიაზე – აფხაზეთზე საქართველოს ისტორიულ უფლებას ადასტურებს, ცალსახად გვიჩვენებს, თუ რაოდენ უსაფუძვლოა საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე რუსული აგრესის გასამართლებლად მოტანილი „ისტორიული

არგუმენტები“, რომლებსაც უშუალოდ კრემლის მესვეურები და სეპა-რატისტული იდეებით შეპყრობილი აფხაზი ისტორიკოსები ახმოვანებენ. მაგრამ ნამდვილი და არა მოგონილი ისტორია, რეალურად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარესაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ანჩაბაძე. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები. თბ., 2006.
2. ჯამბულ ანჩაბაძე. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 2006.
3. ლია ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო, I. თბ., 2005.
4. სალომე ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები. თბ., 2010.
5. ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990.
6. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი: ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები. თბ., 2000.
7. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005.
8. ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიიდან. თბ., 1991.
9. გერონტი გასვიანი. აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998.
10. მერი ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები. – მაცნე ისტორიის... სერია, №1-2, 1992.
11. ნოდარ ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998.
12. მარიამ ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 1990.
13. გიორგი მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
14. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე. თბ., 2007.
15. თეიმურაზ მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989.
16. ზურაბ პაპასქირი. აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998.
17. ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ., 2004.
18. ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II. 1917-1993. თბ., 2007.
19. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ., 1973.
20. ბეჟან ხორავა. აფხაზთა მუჭაჯირობა. თბ., 2004.
21. ბეჟან ხორავა. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება. თბ., 2011.
22. ბეჟან ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIIIსს. თბ., 1996.
23. ოთარ ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.
24. Абхазия и абхазы средневековых грузинских повествовательных источников. Грузинские тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г. А. Амичба. Тб., 1988.

-
25. Г. А. Амичба, Т. Г. Папуашвили. Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей (VI-VIII вв.). Тб., 1985.
26. И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. Сухуми, 1951.
27. З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959.
28. З. В. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. М., 1964.
29. З. В. Анчабадзе. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976.
30. З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария. Дружба извечная, нерушимая. Сухуми, 1972.
31. З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа. История Абхазии. Учебное пособие. Сухуми, 1986.
32. Г. Гасвиани. Абхазия. Древние и новые абхазы. Тб., 2000.
33. Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997.
34. С. Н. Джанашия. Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование „Абхазского царства“. – მაცხე, ისტორიის... სერია, №2, 1991.
35. С. Н. Джанашия. О времени и условиях возникновения „Абхазского царства“. – გმომები, გ. II, თბ., 1959.
36. Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982.
37. Г. А. Дзидзария. Очерки истории Абхазии 1910-1921 гг., Тб., 1963.
38. Г. А. Дзидзария. Формирование дореволюционной абхазской интелигенции. Сухуми, 1979.
39. Г. А. Дзидзария, Ю. М. Кацарава. Из истории совместной борьбы грузинского и абхазского народов. XIX – начало XXв., Тб., 1982.
40. Г. Жоржолиани. Исторические и политico-правовые аспекты конфликта в Абхазии. Тб., 1995.
41. Г. Жоржолиани, С. Лекишвили, Л. Тойдзе, Э. Хоштария-Броссе. Исторические и политические корни конфликта в Абхазии/Грузия. Тб., 2000.
42. Ш. Инал-ипа. Абхазы. Сухуми, 1965.
43. История Абхазии. Гл. ред. С. З. Лакоба. Сухуми, 1991.
44. История Абхазской АССР. Сухуми, 1983.
45. С. З. Лакоба. Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990.
46. Г. П. Лежава. Между Грузией и Россией. М., 1997.
47. Н. Ю. Ломоури. Абхазия в античную и раннесредневековую эпохи. Тб., 1997.
48. Л. В. Маршания. Трагедия в Абхазии. Тб., 1995.
49. А. М. Ментешашвили. Из истории взаимоотношений грузинского,

- абхазского и осетинского народов (1918-1921гг.). Тб., 1996.
50. **А. М. Ментешашвили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998.
51. Очерки из истории Грузии. Абхазия. С древнейших времен до наших дней. Тб., 2009.
52. Очерки истории Абхазской АССР, т. I. Сухуми, 1960, т. II. Сухуми, 1964.
53. Очерки истории Грузии, т. II. Тб., 1988.
54. **З. В. Папаскири.** Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010. <https://sites.google.com/site/zrapaskiri/publications-russian>
55. **З. В. Папаскири.** О национально-государственном облике Абхазии/Грузия. Тб., 2003, elektron. versia: <http://abkhazeti.info/history/1180373860.php>
56. **З. В. Папаскири.** Так не пишется история. Некоторые замечания по поводу т.н. «учебника» «Истории Абхазии» О. Х. Бгажба и С. З. Лакоба. _ Кавказ и мир. Международный научный журнал. №8, Тб., 2010, с. 69-90. <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia-ru/>
57. По поводу искажения грузино-абхазских взаимоотношений. Тб., 1991.
58. Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб., 1999.
59. Статус автономных регионов Абхазии и Юго-Осетии в составе Грузии (1917-1988). Сборник политico-правовых актов / Сост. и главный редактор сборника **Т. Диасамидзе**. Тб., 2004.
60. **Д. Г. Стурна.** Сепаратистские движения в Абхазии в шестидесятые годы нашего столетия. Тб., 1995.
61. **Л. К. Тойндзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии. Страницы истории. 1921-1931гг., Тб., 1996.
62. **Э. В. Хоштария-Броссе.** Межнациональные отношения в Грузии. Причины конфликтов и пути их решения, Тб., 1993.
63. **Э. В. Хоштария-Броссе.** История и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте, Тб., 1996.
64. **С. М. Червонная.** Абхазия _ 1992: посткоммунистическая Вандея, М., 1993.
65. **Г. В. Цуляя.** Абхазия и Абхазы в контексте истории Грузии. Домонгольский период, М., 1995.
66. **S. Chervonnaya.** Conflict in the Caucasus. Georgia, Abkhazeti and the Russian Shadow. "Gothic Image Publications". L., 1994.
67. Assays from the History of Georgia: Abkhazia from ancient times till the present days. Editorial Board: Jemal Gamakharia (Chief editor); Tamaz Beradze; Teimuraz Gvantseladze. Tbilisi 2011.
68. **M. Lordkipanidze.** Essays on Georgian History. Tbilisi, 1994.
69. **A. Menteshashvili.** Trouble in the Caucasus. New York, 1995.
70. **A. Menteshashvili.** Some National and Ethnic Problems in Georgia. Tbilisi,

1992.

71. **E. Khoshtaria-Brosset.** The Abkhazian Problem in the Light of Conflict Studies. Tbilisi, 1997.
72. **Z. Papaskiri,** Abkhazia and the Abkhazians in the common Georgian ethno-cultural, political, and state expanse. Part I. _ The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 2, 2008, CA&CC Press®. Sveden, eleqtron. versia: http://www.ca-c.org/c-g-online/2008/journal_eng/c-g-2/k-gE-02-2008.pdf
73. **Z. Papaskiri,** Abkhazia and the Abkhazians in the common Georgian ethno-cultural, political, and state expanse. Part II. _ The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 4, 2008, CA&CC Press®. Sveden.
74. **S. Papaskiri.** Zur Frage der nationalstaatlichen Mentalität des Herrscherhauses Scharwaschidse in Abchasien. _ Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. 31 Jahrgang 2008. SHAKER VERLAG. Aachen. eleqtronuli versia: <http://iberiana.wordpress.com/afxa-zeti/scharwaschidse/>).
75. Regional conflicts in Georgia. The Autonomous Oblast of South Ossetia, the Autonomous Republic of Abkhazia (1989-2002). The collection of political legal acts. Author: **Tamaz Diasamidze**, Tbilisi, 2003
76. **Zhorzholiani G., Lekishvili S., Toidze L., Khoshtaria-Brosset E.** Historic, Political and Legal Aspects of the Conflict in Abkhazia. Tbilisi, 1995.



საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის (978-1014 წწ.) ერთადერთი ფრესკა ბეჭისის (ოჩამჩირის რაიონი) ტაძარში ქართული წარწერით. ქართული კვალისწამლის მიზნით, ჩამოყენებით „რესტავრატორების“ მიერ 2010-2011 წლებში ჩატარებული სამუშაოების დროს.



ოჩამჩირის რაიონის სოფ. ილორის წმინდა გიორგის ტაძარი. ქართული კვალის წაშლის მიზნით, ოკუპანტი „რესტავრატორების“ მიერ შეთეთრებულია ტაძარზე არსებული XI საუკუნის ქართული წარწერა (კვადრატი მარჯვენა კუთხეში).



გიორგი ბასილისძის XI საუკუნის
ქართული წარწერა სოფელ ანუხვის
(გუდაუთის რაიონი) ტაძარზე.





ფრაგმენტი მოქვის (ოჩამჩირის რაიონი) ქართული ოთხთავიდან (1300 წელი).



ლიხნის (გუდაუთის რაიონი) XI საუკუნის ტაძარი, წმ. სამების ფრესკა ქართული წარწერით (XIV ს.).

იტალიელი კარტოგრაფის
ანჯელინო დიულჩერტის
1339 წლის რუკის
ფრაგმენტი. ქალაქ სოხუმის
(მაუასტოპოლი) თავზე
ხუთჯვრიანი ქართული
დროშაა აღმართული.





პორტუგალიელი სამეფო კარტოგრაფის დიეგო ომემის მიერ 1959 წელს შედგენილი რუკის ფრაგმენტი. რუსეთის თანამედროვე ქალაქ გელენჯიკითან ახლოს ფრიალებს დროშა წითელი ფერის ჯვრის გამოსახულებით და ნარჩერით Mengrelia. ომემის რუკაზე აფხაზეთი ცალკე ნაჩვენები არ არის და ის სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში მოიაზრება.

ფრანგი სამეფო კარტოგრაფის გ. სამსონის მიერ 1674 წელს შედგენილი რუკის ფრაგმენტი, რომელზეც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვასთან ახლოს გადის. ტერიტორიული ერთეული აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაშია მოქცეული.






„რუსეთის იმპერიის ახალი რუკის“ ფრაგმენტი, შედგენილია პოლანდიაში
პეტრე I-ის დაკვეთით 1721-1726 წწ. ითანე კოვენსისა და კორნელიუს მორტიეს
მიერ ევერარდონ ისპრანტი იდესის დახმარებით. რუკაზე აღნიშნულია
რუსეთის მეზობელი საქართველო, რომლის ჩრდილო-დასავლეთი
საზღვარი აზოვის ზღვასთან გადის.
ტერიტორიული ერთეული აფხაზეთი მოქცეულია
საქართველოს შემადგენლობაში.



1633-1649 წლებში სამეგრელოში (თანამედროვე გალის რაიონში) მოღვაწე იტალიელი მისიონერის არქანჯელო შედგენილი სამეგრელოს რუკის ფრაგმენტი. რუკაზე აღნიშნულია დადიანების მიერ აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობა – კელასურის (სოხუმთან) კედელი წარწერით: „სამოციათასი ნაბიჯის (სიგრძის) კედელი აბაზგთა თავდასხმების შესაჩერებლად.

რუსეთის იმპერიის ისტორიული რუკის (1793 წ.) ფრაგმენტი. საქართველოს ჩრდილო-დასავალეთის საზღვარი დაფიქსირებულია აზოვის ზღვასთან. რუკაზე აღნიშნულია საქართველოს პროვინციები – კახეთი, იმერეთი და სამეგრელო. აფხაზეთი არ არის ცალკე აღნიშნული და საქართველოს შემადგენლობაში იგულისხმება.



II ნაწილი

**აფხაზეთის მთავრობის ანგარიში 2009 წლის
15 ივნისიდან 2012 წლის 18 ივლისამდე განეული
მუშაობის შესახებ**

2.1 პოლიტიკური მიმართულება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაციისა და მისი მკვიდრი მოსახლეობის სამი მეოთხედის ეთნომერნიდის შედეგად საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნის პირობებში აფხაზეთის მთავრობა თავის საქმიანობას წარმართავს ორი ძირითადი მიმართულებით – პოლიტიკური და სოციალური-ეკონომიკური. ამ მიმართულებებით წარმატების მიღწევა წარმოადგენს აფხაზეთის დეოკუპაციის, დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში ლირსეული დაბრუნების, საბოლოო ჯამში კი აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისა და ქართული სახელმწიფოს წიაღში მისი ძირძველი ტერიტორიის მშვიდობიანი მეთოდებით რეინტეგრაციის გარანტის.

აფხაზეთის ა/რ მთავრობა მისი ჩამოყალიბებისა და ლეგიტიმაციის მინიჭების დღიდან (1992 წ. 26 ნოემბერი), ისევე, როგორც 1993 წლის ოქტომბრიდან, დევნილობაში ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში, აქტიურად იყო ჩართული კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესში.

2008 წ. აგვისტოდან, როდესაც რუსეთმა აფხაზეთის ღია ოკუპაცია მოახდინა და მისი ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა, ამ პროცესში გარკვეული კორექტირება განიცადა. 2008 წ. 12 აგვისტოს, ცნობილი ექვსპუნქტიანი შეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტი მოლაპარაკებათა ახალი საერთაშორისო ფორმატი, რომელიც „უნივერსიტეტის“ სახელწოდებითაა ცნობილი. დღემდე ჩატარებულია მოლაპარაკებათა ოცდაერთი რაუნდი, რომელთაც თანათავმჯდომარეობენ ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლები. მოლაპარაკებებში მონაწილეობენ საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. მეექვსე რაუნდიდან, რომელიც 2009 წ. 1 ივლისს ჩატარდა, მათში რეგულარულად მონაწილეობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. აღნიშნულ ფორმატში იწვევენ, ასევე, სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმების წარმომადგენლებს.

უნივერსიტეტის მოლაპარაკებათა ფარგლებში ორი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა იმართება. პირველი სამუშაო ჯგუფი იხილავს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან, ხოლო მეორე – დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების თავიანთ სახლებში უსაფრთხო და ლირსეული დაბრუნების პრინციპებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.

უნივერსიტეტის განხილვის ორბიტაში მოქცეულ პრობლემატიკათა შორის აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

- კონფლიქტურ რეგიონებში ახალი უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება, (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საერთაშორი-

სო სადამკვირვებლო მისიების დაშვება, მათთვის საერთაშორისო პოლიციური მანდატის მინიჭება);

- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფა;
- საქართველოს ოფიციალური განცხადების მსგავსად, რუსეთისა-გან საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღდება;
- აფხაზეთში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტების აღკვეთა;
- აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის გენოციდის დაუშვებლობა და ა.შ.

რუსეთის ფედერაციის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო უენევის მოლაპარაკებებზე საგრძნობი პროგრესის მიღწევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ეს მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს. ხოლო რამდენად სასარგებლოა დისკუსიები უენევაში, ამაზე მიუთითებს, თუნდაც, მეოცე რაუნდის წინადლეს, 2012 წ. 7 ივნისს, გამართული საინფორმაციო სესია, რომელიც ოუპაციის სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებულ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს მიეძღვნა. მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა სამართლის დარღში – პროფესორებმა ლუის დოსვალდ-ბეკმა და ჰანს პიტერ გასერმა – ოკუპაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროები, რელივანტური კონცეფციები და ფაქტები გამოკვეთეს. ექსპერტთა პრეზენტაციამ უფრო მყაფიო გახდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის სამხედრო ყოფნის არალეგალური ბუნება. ასევე, ცხადყო, რამდენად აუცილებელია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების – გაეროს, ეუთოსა და ევროკავშირის ეგიდითა და ხელმძღვანელობით მიმდინარე უენევის პროცესის გაგრძელება. კერძოდ, ამ ტრიბუნიდან შესაძლებელია რუსეთზე მუდმივი ზემოქმედება, მისი მხილება, ნიადაგის თანდათანობით შემზადება აფხაზეთის დეოუპაციისა და კონფლიქტის დარეგულირების ახალი საერთაშორისო მექანიზმის შესამუშავებლად.

გარდა ამისა, აფხაზეთის მთავრობა აქტიურად მონაწილეობს უენევის ფორმატის ფარგლებში შექმნილ „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავების ჯგუფში“, რომელიც შეხვედრებს ქ. გალში აწყობს. იგი პერიოდულად იხილავს ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორებიცაა რეგიონში მომხდარი ინციდენტები, საოკუპაციო რეჟიმის მიერ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევები, კერძოდ: თავისუფალი გადაადგილებისა და სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების ფაქტობრივი აკრძალვა, ეთნიკური ქართველების კერძო საკუთრების ხელყოფა, იძულებითი პასპორტიზაცია და იძულებითი წესით მოსახლეობის ჯარში გაწვევა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა; აგრეთვე, საოკუპაციო კონტინგენტის გაზ-

რდა, საქართველოს საპარკო სივრცეში რუსი სამხედროების შემოჭრა და ა.შ.

ამ და სხვა თემებზე დიალოგის მიმდინარეობის მიუხედავად, რუსეთი ყოველნაირად ეწინააღმდეგება კონკრეტული შეთანხმების მიღწევას. სეპარატისტული აფხაზეთის დე-ფაქტო მმართველებთან პირდაპირი დიალოგის გამართვა კი, ოკუპაციის პირობებში, შეუძლებელია. დიალოგის წარმოების ერთადერთ საშუალებად რჩება უენევის ფორმატი და მის ფარგლებში მოქმედი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფი. შეხვედრები გალსა და მით უფრო, უენევაში საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია, რაც, არსებითად, ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული რეალური ვითარების წარმოჩენას გულისხმობს. ეს კი, თავის მხრივ, გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მეგობარ ქვეყნებს სერიოზულ მოტივაციასა და იმპულსს აძლევს, რათა კიდევ უფრო გააძტიურონ საქართველოს დეოკუპაციისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მიმართული ქმედებები.

აფხაზეთის ა/რ მთავრობა ყურადღებით აკვირდება ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს და ოპერატიულად რეაგირებს მათზე და ამგვარ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით აკეთებს განცხადებებს, კომენტარებსა და შეფასებებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სერიოზული საფრთხის შემცველ ისეთ პროცესებზე, როგორებიცაა: რუსეთის მიერ რეგიონის ფართომასშტაბიანი მილიტარიზაცია, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შელახვა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ეკონომიკური ექსპანსია, ეკოლოგიური ძალადობა და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას ადეკვატური რეაგირებისაკენ.

აფხაზეთის მთავრობა, აფხაზეთსა და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო არენაზე დგამს ქმედით ნაბიჯებს, რომელთა მიზანია რუსული სპეცსამსახურებისგან მართული მასმედიის მიერ შექმნილი საინფორმაციო ვაკუუმის დაძლევა და ცივილიზაციული სამყაროსთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება. დასახული მიზნის მისაღწევად სისტემატურ შეხვედრებს მართავს საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და მსოფლიოს გავლენიანი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან, ასევე, უცხოურ მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან, კავკასიოთ და კონკრეტულად, აფხაზეთის პრობლემატიკით დაინტერესებულ მეცნიერებთან და ა.შ.

ზემოაღნიშნულ ჭრილში ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი შეხვედრა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ დანის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ სტიგ მოლერთან გამართა. შეხვედრა ამ უკანასკნელის ინიციატივით 2009 წ. 7 ოქტომბერს შედგა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ამ და სხვა ორმხრივ და



**შეხვედრა დანის საგარეო საქმეთა
მინისტრთან სტიგ მოლერთან.**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით;

- საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის მნიშვნელობა (არალიარების პოლიტიკის გაგრძელება);
- საერთაშორისო საზოგადოების მიერ ქართველებსა და აფხაზებს შორის პირდაპირი დიალოგის გაძლიერება და ნდობის აღდგენის პროცესის წახალისება;
- რუსული მასშტაბის საშუალებებით შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა; ;
- სამშვიდობო მანდატით აღჭურვილი საერთაშორისო საპოლიციო ძალების განთავსება კონფლიქტურ რეგიონებში;
- ჰუმანიტარული პროექტების ამოქმედება იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

აფხაზეთის პრობლემატიკის ირგვლივ დეტალური ინფორმაცია მიენოდა, აგრეთვე, გერმანიის ბუნდესტაგის წევრს ქალბატონ ვიოლა ფონ კრამონ-ტაუბადენს, საუბარი

მრავალმხრივ შეხვედრებზე ძირითადი ყურადღება მახვილდება იმ მიმართულებებზე, რომელთა უზრუნველყოფამ ხელი უნდა შეუწყოს აფხაზეთის საკითხის მოგვარებას. მათ შორის, ალბათ, ხაზგასმით აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

- საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის გააქტიურება



შეხვედრა გერმანიის ბუნდესტაგის წევრთან ვიოლა ფონ კრამონ ტაუბადენთან

შექმნილი აფხაზეთის არსებული ვითარების, ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარების გზებს, ამ საქმეში სახალხო დიპლომატიის როლსა და ადგილს. აგრეთვე, აფხაზეთის კონფლიქტის მიმართებით სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის საკითხებს.



შეხვედრა საფრანგეთის
სენატორებთან და
ეროვნული ასამბლეის
დეპუტატებთან,

ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ვითარების გაცნობის მიზნით 2010 წ. 15 აპრილს შედგა შეხვედრა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საფრანგეთის სენატისა და ეროვნული ასამბლეის წევრებთან.

2011 წ. 5 მაისს შედგა შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩითან საქართველოში ორთვინ ჰენიგთან. ელჩის ვრცელი ინფორმაცია მიეწოდა ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე, აფხაზეთის მთავრობის მიერ განხორციელებულ პროექტებზე. ასევე, გაზიარებულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხედვა კონფლიქტის დარეგულირების სამ ძირითად მიმართულებაზე: სახალხო დიპლომატია, უსაფრთხოების ახალი მექანიზმების შემუშავება და ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა. გერმანიის ელჩმა, გამოხატა რა მისი ქვეყნის მხარდაჭერა საქართველოსადმი, განაცხადა: „საქართველოსა და გერმანიას შორის შეიძლება პარალელების გავლება. ქვეყანა არ შეიძლე-

შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩითან საქართველოში ორთვინ ჰენიგთან.



ბა ხელოვნურად იყოს გაყოფილი. ჩემი სურვილია კონფლიქტი სწრაფად დარეგულირდეს და ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა კვლავ შეძლონ თანაცხოვრება".

კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შედგა შეხვედრები, ევროსაბჭოს წარმომადგენელ ოლენა



შეხვედრა ევროსაბჭოს წრმომადგენელთან ოლენა პეცუნთან და საქართველოში ევროსაბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელთნ ბორის ვოძთან.

პეცუნსა და საქართველოში ევროსაბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელს ბორის ვოძთან (2010 წ. 2 აგვისტო), ასევე საქართველოში ევროკავშირის ელჩ ფილიპ დიმიტროვთან (2011 წ. 26 ოქტომბერი).




შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის ელჩთან ფილიპ დიმიტროვთან.

ასევე, საქართველოში ამერიკის, საბერძნეთის, უნგრეთის, უკრაინის, ლიტვის, იაპონიის, ირანის, ელჩებთან ან საელჩოების წარმომადგენლებთან; საზღვარგარეთ ვიზიტების დროს მთავრობის თავმჯდომარე შეხვდა საბერძნეთის რესპუბლიკის, ჩრდილოეთ საბერძნეთის, მაკედონია-თრაკიის სამინისტროს გენერალურ მდივანს, ქ. სალონიკის მერს, სალონიკის ოლქის პრეფექტს, ბერძენ პარლამენტარებს, ესპანეთის სამეფოს, მადრიდის ოლქის, დაბა ტრესკანტოსის, დაბა კოლმენარ ბიეხოს და იტალიის რესპუბლიკის, ქ. პიზის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს,

აფხაზეთის ა/რ მთავრობის ანგარიში

ამერიკის შეერთებული შტატების ნებრასკის შტატის ვიცე-გუბერნატორს, უკრაინის რადას წევრებს და ა.შ.



შეხვედრა საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩითან მსამართი კამოჰარასთან.



შეხვედრა საქართველოში უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩითან შაგი გაბორთან.



შეხვედრა ქალაქ სალონიკის მერთან ვასილიოს პაპაგეორგოპულოსთნ.



შეხვედრა საქართველოში ირანის ისლ-
ამური რესპუბლიკის ელჩითან მავიდ
სამადზადე საბერთან.

შეხვედრა საქართველოში ლიტვის
ელჩითან იონას ბასლაუსკასთან.



შეხვედრა იტალიის
ქალაქ პიზის მუნიცი-
პალიტეტის წარმომად-
გენელთან კლაუდიო
ჩერაისთან



შეხვედრა მადრიდის
ოლქის, კოლმენარ
ბიეხოს მუნიციპალიტე-
ტის ხელმძღვანელ
მიგელ ანხელ სანტამა-
რიასთან



**შეხვედრა მადრიდის ოლქის, ტრეს-კანტო-სის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთან
ხესუს მორენა გარსიასთან**

ვექტორს ეხება. მთავრობის თავმჯდომარე ამ კონფერენციებზე გამოდიოდა სიტყვით და ფართო საზოგადოებას, ახალი გამოწვევების ქრილში, აფხაზეთის მთავრობის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ ხედვასა და ნაბიჯებს აცნობდა (გ. ბარამიას გამოსვლის ტექსტები იხ. დანართი 1 - 1.1 და 1.2).

საქმიანდ დიდი რეზონანსი გამოიწვია 2011 წ. 15 აპრილს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ მთავრობის თავმჯდომარის მიერ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გამართულმა პრეზენტაციამ თემაზე: „ოკუპირებული აფხაზეთი/საქართველო: წარსული და არსებული მდგომარეობა“. პრეზენტაციაზე ყურადღება გამახვილდა აფხაზეთში ეთნოკური წმენდის შედეგად შექმნილ რთულ დემოგრაფიულ ვითარებაზე, რეგიონის მილიტარიზაციაზე, ადამიანის უფლებების დარღვევებზე, კრიმინოგენულ სიტუაციასა და მძიმე სოციალურ-ეკონომი-

კის ვრცლად და ყოველმხრივ გაშუქების, უცხოელი მეგობრებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, აფხაზეთის მთავრობა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში, რომელთა დღის წესრიგში დგას აფხაზეთის საკითხი. ამ კონტექსტში აღსანიშნავია საქართველოში გამართული საერთაშორისო კონფერენციები საერთო თემაზე „საქართველოს ევროპული გზა“, რომელიც ზოგადად „ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა“ და მის აღმოსავლურ



პრეზენტაცია „ოკუპირებული აფხაზეთი/საქართველო, წარსული და არსებული მდგომარეობა“.

კურ მდგომარეობაზე. აგრეთვე, აფხაზეთში ეკოლოგიური მდგომარების მკვეთრად გაუარესებაზე, რაც რეგიონიდან ინერტული მასალისა და უნიკალური ჯიშის ხე-ტყის უკანონო გატანით არის გამოწვეული.

უცხოელ პარტნიორებთან შეხვედრებისას დიდი ყურადღება ეთმობოდა დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს. აფხაზეთის მთავრობა, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად მუშაობდა და მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან. სწორედ ამ მიზნით შედგა არაერთი შეხვედრა ბერძნულ არასამთავრობო ორგანიზაცია „წმინდა პავლეს“, „სოჭორის“, ესპანურ არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდის“, იტალიის ქ. პიზის მუნიციპალიტეტის, სხვადასხვა ქვეყნის საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.



**შეხვედრა ქალაქ სალონიკის სავაჭრო-სამრეწველო
პალატის ვიცე-პრეზიდენტთან
ემანუელ ვლახოიანისთან**

აფხაზეთის მთავრობა ცდილობდა ქართულ დიასპორასთან (განსაკუთრებით უცხოეთში მცხოვრებ და ვიზუალურ მქოდრო კავშირის დამყარებას და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მათ ჩართვას. ამ მიზნით გაიმართა შეხვედრები დიასპორებთან საბერძნეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2010 წ. 26 ნოემბერს ნიუ-იორკში

საქართველოს გენერალურ საკონსულოში მთავრობის თავმჯდომარებრევნილებთან ერთად ხელი მოაწერა „გრაგნილს“, ანუ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილების მიმართვას ცივილიზებული სამყაროსადმი. დოკუმენტზე 12 ათასი დევნილის ხელმოწერაა. ეს აქცია სახელწოდებით „მიმართვა ცივილიზებულ მსოფლიოს“ 2008 წ. აგვისტოს რუსული აგრესიის ორი წლისთავზე დაიწყო და 2011 წ. იანვრისათვის დასრულდა.

2011 წ. 19 იანვარს „გრაგნილი“ გაეროს გენერალური მდივნის ოფისს ჩაბარდა. ამ აქციით დევნილები ცივილიზებულ სამყაროს მოუწოდებდნენ, რომ დამთავრდეს რუსეთის ოკუპაცია საქართველოში. გაეროს გენერ-



შეხვედრა ფონდ
„FINSOL“ -ის პრეზი-
დენტ ხულიო გარსია
კარპიოსთან.



შეხვედრა ჩრდილოეთ
საბერძნეთის სავაჭრო
პალატის ხელმძღვან-
ელობასა და პალატის
წევრებთან.



შეხვედრა გერმანელ
ბანკირებთან

ალური მდივნის ოფისის ხელმძღვანელი გაგებით მოეკიდა დევნილთა ინიციატივას და თავის მხრივ აღნიშნა, რომ „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური ნორმა არის სწორედ დაბრუნების უფლება იქ, საიდანაც მშვიდობისანი მოსახლეობა ძალით გამოაძვეს“. აფხაზეთის მთავრობა ყოველთვის ხელს უწყობდა დევნილთა ფართო მასების ჩაბმას საქართველოს დეოკუპაციის მხარდამჭერ მსგავს საერთაშორისო აქციებში.

აფხაზეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მიაწოდოს საერთაშორისო აკადემიური წრების წარმომადგენლებს იპიექტური ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარებისა და ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ. ამ მიზნით მთავრობის თავმჯდომარე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო მიგრაციისა და ეთნოსთა შორის ურთიერთობათა დარგში პროფესორ კარინა ვალინგს, ირლანდიის ქ. დუბლინის საერთაშორისო სწავლების ცენტრის სამართლისა და საჯარო მოხელეთა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა ლექტორს დონარა ო'ბერინს, საბერძნეთის რესპუბლიკის ქ. სალონიკის არისტოტელეს საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორს ანასტასიოს მანთოსს, კიევის მსოფლიო ინსტიტუტის თანამშრომლებს, სადაც 2011 წ. მაისში გაიმართა პრეზენტაცია თემაზე: „ოკუპირებული აფხაზეთი, საქართველო: წარსული და არსებული მდგომარეობა“.



შეხვედრ პერლინის უნივერსიტეტის
მკავლევარ ულრიკე გრაალფსთან.

ასევე, საინტერესო იყო 2010 წ. 10 სექტემბრის შეხვედრა თბილისში სტუმრად მყოფ ბერლინის უნივერსიტეტის მეცნიერულრიკე გრაალფსთან, რომელიც არის კონფლიქტოლოგი და დაინტერესებულია ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებული მოვლენებით. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდო-

მარემ სტუმარს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროპის, როგორც პოლიტიკურ, ისე სამეცნიერო წრეებში გავრცელდეს ის ოპიექტური ინფორმაცია, რომელსაც რუსეთის მასმედიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამწუხაროდ, არ ახმაურებენ“. აკადემიური წრების საერთაშორისო მასშტაბით სწორად ინფორმირებას ისახავს მიზნად აფხაზეთის მთავრო-



შეხვედრა იტალიელ უურნალისტ
ალესანდრო გორისთან.



კონფერენცია „კავკასიელი უურნალისტები
მშვიდობისათვის“



შეხვედრა „Tokio Newspaper“-ის უურნალისტ
კაზუ საკაისთან

ბის დაფინანსებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული გამოკვლევა „ნარკევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“. რომლის ავტორები არიან წამყვანი მეცნიერები აფხაზეთიდან და თბილისის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან. ამ გამოკვლევის რუსული და ინგლისური ვარიანტები უკვე გავრცელებულია ევროპის, ამერიკის, დსთ-ს ქვეყნების 300-ზე მეტ ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტში. მუშაობა ამ მიმართულებით კვლავაც გრძელდება.

აფხაზეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უცხოელ უურნალისტებთან ურთიერთობებსა და შეხვედრებს. მთავრობის თავმჯდომარე აფხაზეთის პრობლემატიკაზე ესაუბრა იაპონური გამოცემის „Tokio Newspaper“- ის უურნალისტს კაზუ საკაის (2009 წ. 23 აგვისტო), იტალიელ უურნალისტს ალესანდრო გორს (2009 წ. 3

სექტემბერი); 2009 წ. 6 ოქტომბერს ის მონაწილეობდა და მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის მედიაცენტრის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „უურნალისტები მშვიდობისათვის“. კონფერენციის მიზანი იყო კავკასიის რეგიონის უურნალისტებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების პროცესში მედიის როლის გაძლიერება.

აფხაზეთის მთავრობა ახორციელებს დაბალანსებულ, მიზანმიმართულ და შედეგზე ორიენტირებულ პოლიტიკას სახალხო დიალოგის კუთხით, რომელიც საქმაოდ სენსიტიური თემაა და სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოლიტიკაში ყოველთვის იყო აღიარებული სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობა კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, სხვადასხვა მიზეზთა გამო მან სისტემური და დინამიური ხასიათი ვერ მიიღო. ამის მიუხედავად, აფხაზეთის მთავრობამ ამ საკითხისადმი მიდგომა იმთავითვე რადიკალურად შეცვალა. ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობისა და ჩატეხილი ხიდის აღდგენის იდეა, სახალხო დიპლომატიის გააქტიურების გზით, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი.

აღსანიშნავია აფხაზეთის მთავრობის მიერ, სახალხო დიალოგის ფარგლებში, თემთაშორისი ურთიერთობების კუთხით გადადგმული ნაბიჯები.

აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით, აფხაზებისა და ქართველების ერთობლივი ძალისხმევით ათონის წმინდა მთაზე, ვატობედის მონასტერში, დაინტერა ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ქართველთა და აფხაზთა შერიგების სახელზე ეკურთხა და როგორც მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ბრძანა: „აფხაზეთში ჩვენი დაბრუნება ამ ხატის წინამძღობით უნდა მოხდეს.“ ღვთისმშობლის ხატმა სამების საკათედრო ტაძარში დაივანა.

ჯანდაცვის განხრით 2009-2010 წლებში აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და ორგანიზებით, ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსებით, აფხაზეთიდან დევნილი ექიმების ჯგუფის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე 2009 წელს გაკეთდა – 96 ოპერაცია.

საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმოყვანით (ქუთაისის ინტერვენციული კვლევების (ცენტრში) გაკეთდა – 57 ოპერაცია.

2009 წელს კონსულტაცია და გამოკვლევები ჩაუტარდა:

აფხაზეთის ტერიტორიაზე – 807 პაციენტს.

საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (ქუთაისი) – 227 პაციენტს.

თბილისი – დაახლოებით 100 პაციენტს.

2010 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გაკეთდა – 75 ოპერაცია.

საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმოყვანით (ქუთაისის ინ-

ტერვენციული კვლევების (ცენტრში) გაკეთდა – 48 ოპერაცია.

2010 წელს კონსულტაცია და გამოკვლევები ჩაუტარდა:

აფხაზეთის ტერიტორიაზე – 1414 პაციენტს.

საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (ქუთაისი) – 258 პაციენტს.

თბილისი – დაახლოებით 120 პაციენტს.

ჯამში წლების (2009 -2010) მიხედვით ოპერაცია გაუკეთდა:

აფხაზეთის ტერიტორიაზე – 171 პაციენტს.

საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმოყვანით – 105 პაციენტს. სულ 276 პაციენტს.

კონსულტაცია და გამოკვლევები ჩაუტარდა:

აფხაზეთის ტერიტორიაზე – 2221 პაციენტს.

საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმოყვანით – 705 პაციენტს. სულ – 2926 პაციენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დიალოგისადმი ასეთი მიდგომა გახდა აფხაზეთის მთავრობის თავისებური ნოუ-ჰაუ, რომელმაც ყურადღება მიიპყრო როგორც ენგურს გალმა-გამოლმა, ისე – საერთაშორისო მასშტაბით.

ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი სახელმწიფოებრივმა და ამას-თანავე, გულწრფელმა მიდგომამ ხსენებული იდეის პირველი წარმატებები განაპირობა, რასაც წინ უძლოდა მთავრობის მიზანმიმართული მუშაობა. მთავრობის თავმჯდომარემ არაერთი მიმართვა, სამშვიდობო მესიჯი გაუგზავნა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამემამულეებს.



მიმართვა აფხაზ თანამემამულეებს ენგურის ხიდიდან

2009 წ. 14 აგვისტოს, ძმათამკვლელი ომის მე-17 წლისთავთან დაკავშირებით, მთავრობის თავმჯდომარემ ენგურის ხიდიდან მიმართა აფხაზთანამემამულებს (მიმართვის ტექსტი იხილეთ დანართი 2).

ემოციურად დატვირთულ, ამასთანავე, ძალიან მკაფიო და კონკრეტულ პირები მიმართვას, როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზური საზოგადოებისა და დე-ფაქტო მმართველების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. რაც მთავარია, მას გულგრილი არ დაუტოვებია აფხაზური საზოგადოების არც ერთი ნაწილი. 2009 წ. 26 აგვისტოს, რადიო „აფხაზეთის ხმის“ წლისთავთან დაკავშირებით, ბათუმში გამართულ ზემზე, რომელიც რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის ოფიციალური გაფორმების (არალეგიტიმური ალიარების) წლისთავს დაემთხვა, აფხაზ ხალხს მორიგი მიმართვა გაეგზავნა. „აფხაზეთის დამოუკიდებლობის ალიარება არის ფიქცია და მხოლოდ და მხოლოდ მესამე მხარის ინტერესებს ემსახურება“, – ნათქვამია მთავრობის თავმჯდომარის მიმართვაში. აფხაზურ მხარეს იგი ახსენებს მნარე ისტორიულ წარსულს – მუჰაჯირობის მძიმე დღებს; ქართველებთან ნათესაობის, ტრადიციებისა და ადათ-წესების ერთობას, რომელთა მოშლასაც ცდილობს რუსეთი; ასევე, დღიდი წინაპრების ღვაწლს, ისტორიული ერთობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. გიორგი ბარამიამ აფხაზ ხალხს ძველი მეგობრული და ნათესაური ურთიერთობების აღდგენისაკენ მოუწოდა.

ასეთივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 27 სექტემბრის მიმართვა აფხაზი ხალხისადმი. ეს მიმართვა ძმათამკვლელ ომში საბრძოლო მოქმედებების დასრულების მე-17 წლისთავთან დაკავშირებით დადიანების სასახლიდან გახმიანდა. 27 სექტემბერი მასში შეფასებულია როგორც ტრაგიკული დღე ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების ისტორიაში, რადგანაც რეალური გამარჯვება ამ დანაშაულებრივი ომის ინსპირატორმა – რუსეთმა მოიპოვა. გიორგი ბარამიამ აფხაზ ხალხს კვლავაც ნდობის აღდგენისა და შერიგებისაკენ მოუწოდა; გამოთქვა რწმენა, რომ „ისტორიული სამართლიანობა აღდგება. აფხაზები და ქართველები კვლავ ერთად - მეგობრულად იცხოვრებენ.“



დადგება უმი შეცდომების ალიარების, ჩვენი ერთობლივი მტრის მხილებისა და მომხდარის დაგმობისა“. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს ზუგდიდის დადიანის სასახლის კარის ღვთისმშობლის

ქართველი და აფხაზი ბავშვების ნათლობა



შეხვედრა მის უწმინდესობასა და
უნეტარესობასთან, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქთან ილია
მეორესთან.



შეხვედრა ათონის წმინდა მთის
ვატოპედის მონასტრის სასულიერო
პირებთან.



ათონის წმინდა მთიდან, ვატოპედის
მონასტერში დაწერილი, ივერიის
ღვთისმშობლის ხატის
ჩამოპრძანება.



მიმართვა ლევილიდან

სახელობის ეკლესიაში 32 აფხაზი ახალგაზრდა მოინათლა.

საყურადღებოა მთავრობის თავმჯდომარის მიერ 2010 წლის 3 მარტს, საფრანგეთში ვიზიტად ყოფილისას, ლევილში, ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის სიმბოლოდ წოდებული – დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის საფლავთან გაკეთებული მიმართვა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისადმი. (მიმართვის ტექსტი დანართი 3).

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს და სხვა მიმართვები აფხაზი ხალხისადმი გამოხატავდნენ საქართველოს ხელისუფლების, მთელი ქართველი ხალხის, მათ შორის ასეულ ათასობით დევნილისა და იძულებით გადაადგილებული პირის ურყევ ნებასა და გულწრფელ სურვილს აფხაზ ძმებთან შერიგებისა, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისა და ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების აღდგენის დაჩქარებისა. დღევანდელი გადასახედიდან სრულიად აშკარაა, რომ ქართველები და აფხაზები ამ ომის მსვერპლი არიან. ალბათ, ამიტომაც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მიმართვებს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელებულ ჰუმანიტარულ სამედიცინო აქციებს, რომლებმაც ათასობით ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა, აგრეთვე, სახალხო დიპლომატიის ხაზით გადადგმულ სხვა ნაბიჯებს აფხაზური საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან გარკვეული დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. კონკრეტულად კი 2009-2010 წლებში რუსეთის მიერ „აღიარებული“ აფხაზეთიდან 8 აფხაზური ოჯახი გამოიქცა და ყველასთვის მოულოდნელად მათ თბილისში დამკვიდრების სურვილი გამოთქვეს. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ეს თანამედროვე ქართულ-აფხაზური ურთიერთობისთვის რიგითი მოვლენა არ არის. უფრო მეტიც, ამ აქტის ნამდვილი მნიშვნელობა ახლო მომავალში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუმცა მან თავისი შედეგები უკვე გამოილო. თბილისში დამკვიდრებულმა აფხაზურმა ოჯახებმა, აფხაზეთის მთავრობის ხელშეწყობით, საქართველოს მოქალაქეობა აღიდგინეს და დაიწყეს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება. მათ მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებული პირების სტატუსი. საგულისხმოა, რომ აფხაზური ოჯახების ინტეგრაცია ქარ-

თულ საზოგადოებაში უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. აფხაზი ბავშვები სწავლას ქართულ სკოლაში აგრძელებენ, მაგრამ მშობლიური აფხაზური ენის სწავლის საშუალებაც აქვთ. თბილისის № 168 სკოლაში 2010 წ. 25 იანვარს აფხაზი ბავშვების მიღების ცერემონიალი საქართველოს სახ-ელმწიფო ჰიმნის შესრულებით დაიწყო. სკოლის შენობაზე საქართველოს დროშა აფხაზმა ბავშვებმა აღმართეს.

დაწყებული პროცესი სულ უფრო და უფრო ღრმავდება. ნელა, მაგრამ ყინული მაინც ლღვება, მიმდინარეობს ფასეულობათა გადაფასება, შე-საბამისად, იცვლება აფხაზების საქართველოსადმი დამოკიდებულებაც. ამის დასტურია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ათასზე მეტი აფ-ხაზის მიერ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა. აფხაზური საზოგა-დოების ნაწილმა შეიგნო, რომ „აღიარება“ რუსული გაგებით სხვა არაფე-რია, თუ არა ოკუპაცია, მისგან გამომდინარე ძალიან მძიმე შედეგებით. „აფხაზური საზოგადოება იმაშიც დარწმუნდა, – განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანო-ბის აღდგენის დროებითი კომისიის 2009 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე, – რომ ქართველები აფხაზთა მიმართ მართლა მტრულად განწყობილი არ არიან და ენგურს აქეთ გადმოსვლის შემთხვევაში მათ სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება“. უფრო მეტიც, ქართველები და ახ-ლახან დევნილებად ქცეული აფხაზები დღეს ერთად იღვნიან აფხაზეთის დეოკუპაციისა და მშობლიურ კერაზე დაბრუნებისთვის.

2010 წ. 11 იანვარს დევნილი აფხაზები, ქართველებთან ერთად შეხ-ვდნენ ამერიკელ სენატორ ჯონ მაკეინს, რომელიც, ოფიციალური ვიზ-იტის ფარგლებში, ზუგდიდში ჩავიდა და ევროკავშირის წარმომადგენ-ლობაში აფხაზეთიდან დევნილებს (ქართველებსა და აფხაზებს) ესაუბრა. „რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ოკუპაცია, გაიყვანოს ჯარები და შეაჩეროს მუქარა. კრემლი არ ასრულებს მსოფლიოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს და უხეშად არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ სამართლის ნორმებს“, – განაცხადა ამერიკელმა სენატორმა და დასძინა: „საქართველოს ტერი-



შეხვდრა ამერიკელ
სენატორ ჯონ
მაკეინთან



ქართველთა და აფხაზთა ფორუმი ბათუმში



ქართულ-აფხაზური ქორწილი

ფორუმი, რომლის ფარგლებში მთავრობის თავმჯდომარე ხელვაჩაურის რაიონის ს. ფერიაში მცხოვრებ აფხაზებს, მუჰაჯირთა შთამომავლებს ეწვია, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და კონფლიქტის დარეგულირების საქმეში მათი ჩართულობის აუცილებლობაზე ესაუბრა, სწორედ ეს საკითხი განიხილებოდა იმავე დღეს ბათუმში გახსნილ ფორუმზე, სადაც ბევრი აფხაზი, მათ შორის თბილისში დამკვიდრებული დევნილი აფხაზი, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების გზებზე ქართველებთან ერთად ბჭობდა. მისივე შეფასებით, სახალხო ფორუმი დასტურია იმისა, რომ ქართველებს აფხაზებთან ერთად ერთ სახელწიფოში მშვიდობიანი თანაცხოვრება სურთ.

მიუხედავად კონფლიქტისა და არსებული პოლიტიკური რეალიებისა, ქართველები და აფხაზები არა თუ ერთ სახელმწიფოში, ერთ ოჯახშიც თავს ბედნიერად გრძნობენ. ამის თვალსაჩინო დემონსტრაცია იყო, ასევე,

ტორიული მთლიანობა ეჭვგარეშეა.

აფხაზი დევნილების თბილისში დამკვიდრებით ნამდვილად დაიმსხვრა რუსულ-სეპარატისტული მითი იმის შესახებ, რომ 1992-1993 წლების ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ქართველთა და აფხაზთა მშვიდობიანი თანაცხოვრება თითქოს შეუძლებელია. ამ ორი ხალხის თანაცხოვრების პრეცინვალე მაგალითია აჭარაც, სადაც მუჰაჯირობას გადარჩენილი აფხაზები 130 წელიწადზე მეტია რაც ქართველებთან ერთად სრულ თანხმობაში ცხოვრობენ. 2010 წ. 26 დეკემბერს, როდესაც ბათუმში ჩატარდა აფხაზთა და ქართველთა პირველი სახალხო

2010 წ. ნოემბერში თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სახალხო ზეიმის „აფხაზეთობის“ ფარგლებში გამართული ქართულ-აფხაზური ქორნილი.

მსგავსი ფაქტები, თუნდაც ჯერ კიდევ ეპიზოდური, მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთის მთავრობის მიერ სახალხო დიპლომატიის წახალისებამ, მისი სხვადასხვა ფორმების აქტიურად გამოყენებამ, მოკრძალებული, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი პირველი შედეგები გამოიღო. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ქართველთა და აფხაზთა მშვიდობიანი თანაარსებობა ერთიან სახელმწიფოში შესაძლებელია, მაგრამ ამისი მთავარი ხელისშემლელი ფაქტორი რუსული საოკუპაციო ძალაა. ასეთი დასკვნის გაკეთება თამამად შეიძლება, თუმცა აფხაზეთის მთავრობა კარგად აცნობიერებს აფხაზეთის დეოკუპაციასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებს; სინამდვილეში ისინი დროებითია და დაიძლევა სწორი პოლიტიკური კურსის თანმიმდევრული გატარებით, აფხაზური სინამდვილის თავისებურებების გათვალისწინებით და ყოველივე ამისადმი შემოქმედებითი მიდგომით.

როდესაც საუბარია აფხაზეთის მთავრობის მიერ სახალხო დიპლომატიის საზით განეულ მრავალმხრივ საქმიანობაზე, არ შეიძლება არ ალინიშნოს, რომ ისინი დროში უსწრებდნენ საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო სტრატეგიის („სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, დამტკიცებულია 2010 წ. 27 იანვარს) და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის“ (დამტკიცებულია 2010 წ. 3 ივლისს) შემუშავებას. ყოველივე ამან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ამ პროგრამული ხასიათის დოკუმენტების პრაქტიკულ ნიადაგზე დაფუძნებას; მეორე მხრივ, მეტად თვალსაჩინო გახადა აფხაზეთის მთავრობის როლი ქვეყნის გაერთიანების საქმეში.

დანართი 1:

1.1

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გიორგი ბარამიას
მოხსენება მე-7 საერთაშორისო კონფერენციაზე
„საქართველოს ევროპული გზა, თანამშრომლობა
აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში“

ქალბატონებო და ბატონებო!

მოგესალმებით!

მოხარული ვარ, რომ ასეთი სახის კონფერენციებმა, რომელიც არის ევროპელ მეგობრებთან გულლია დიალოგის წარმოების კარგი საშუალება, სისტემატური ხასიათი მიიღო. დღეს, როდესაც საქართველო მიზან-მიმართულად მიიწევს და ეტაპობრივად უახლოვდება ევროპულ ოჯახს, დიალოგი, კონსულტაცია და პოზიციათა დაახლოება სწორედ რომ ინტენ-სიურ შეხვედრებსა და აზრთა მუდმივ გაცვლა-გამოცვლას საჭიროებს, რათა ერთობლივი ძალისხმევით გავუმკლავდეთ იმ გამოწვევებს, რომ-ლებიც ძველი თუ ახალი რეალიების გათვალისწინებით ჩვენ წინაშე დგას.

ნიშანდობლივია, რომ ეს კონფერენცია ტარდება აჭარაში, საქა-რთველოს იმ რეგიონში, რომელიც თავისი მდგრადი განვითარებითა და მიღწევებით ნათელი მაგალითია ქვეყნის ხელისუფლების მიერ ავ-ტონომიის განვითარების კუთხით გატარებული წარმატებული სახელმ-წიფო პოლიტიკისა, რაც დანარჩენი ავტონომიური ერთეულებისთვის მაგალითის მიმცემი შეიძლება იყოს. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება კონკრეტულად აფხაზეთისთვის ფართო ავტონომიის სტატუსის და მასთან დაკავშირებული სხვა მრავალი პრივი-ლეგიის მინიჭებაზე მზადყოფნას აცხადებს, რისი შესრულების გარანტად თვით საქართველოს პრეზიდენტი გამოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთს ობიექტურად გააჩნია საქართველოს სახელმწიფოს სივრცეში ავტონომიური განვითარების უნიკალური პო-ტენციალი და გამოცდილებაც. საქართველო კი მას ამ პოტენციალის ათვისებასა და ზემოხსენებული სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოში სრუ-ლყოფილ მხარდაჭერას სთავაზობს. ამით აფხაზეთს მიეცემა საშუალება არა მარტო რეგიონის, არამედ საერთაშორისო მასშტაბით განვითარები-სა და სტაბილურობის ნიმუში გახდეს და საქართველოს ფარგლებში კონ-სტიტუციური გარანტიებით მყოფმა, ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ერთიან ევროპულ ოჯახში. მაგრამ ამის განხორციელებას ხელს უშლის კრემლის დესტრუქციული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით, რომლის მიზანი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინ-ტეგრაციისკენ სწრაფვის შეფერხება და მისი კვლავ რუსეთის გავლენის სფეროში მოქცევაა. სწორედ ამ მიზნების მიღწევას ემსახურებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელიც იყო „კარგად ორგანიზებული“ სამხედრო კამპანია სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ და, მიუხედავად საერთაშორ-

ისო თანამეგობრობის მცდელობისა აღადგინოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესრიგი, ფაქტია, რომ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი კვლავ ოკუპირებულია.

დღეს აფხაზეთში არსებული რეალობა უკიდურესად მძიმეა:

- გარესამყაროსგან მოწყვეტილ აფხაზეთში მიმდინარეობს ტოტალური რუსიფიკაციის პროცესი.
- შექმნილია არასტაბილური პოლიტიკური ფონი. წებისმიერი გადაწყვეტილების მიღება კრემლის პიდაპირი დირექტივით ხდება.
- აფხაზეთი იქცა მილიტარისტულ ზონად, სადაც არ არსებობს არანაირი საერთაშორისო კონტროლისა და უსაფრთხოების დამცავი მექანიზმები. ამაზე ნათლად მეტყველებს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე განთავსებული რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურა. სოფლებში – ფიჩორში, მეორე ოფობააში, ლეკუხონასა და საბერიოში განთავსებულია საოკუპაციო ძალების ე.ნ. სასაზღვრო ქვეითი ნაწილები. სოფელ თაგილონში განთავსებულია ქვეითი და სატანკო ნაწილები, ხოლო სოფელი ოქუმი წარმოადგენს საარტილერიო და ქვეითი ნაწილების მთავარ დისლოკაციის ბაზას. ასევე, აღსანიშნავია ოჩამჩირისა და გუდაუთის ბაზები. აფხაზეთში ასეთი მასშტაბის სამხედრო ინფრასტრუქტურის არსებობა ადასტურებს რუსეთის სწრაფვას ეს ტერიტორია აქციოს სამხედრო პლაცდარმად შავი ზღვის რეგიონში.
- უხეშად ირლვევა საყოველთაოდ ალიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლება, როგორიცაა: საკუთრების უფლება, სიტყვის თავისუფლება, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება, თავისუფალი გადადგილების უფლება, უსაფრთხოების უზრუნველყოფის უფლება, თავისუფალი არჩევანის უფლება, სიცოცხლის უფლება და სხვა.
- ხდება ეთნიკურად ქართველთა სახლების ექსპროპრიაცია.
- გალის რაიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისათვის უკიდურესად შეზღუდულია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, საოკუპაციო ხაზზე დაბრკოლების გარეშე გადაადგილება.
- გალის რაიონის ქართულ სკოლებში ბავშვებს უკრძალავენ ქართულ ენაზე სწავლას.
- საგანგაშო მდგომარეობაა კრიმინოგენული კუთხით, რაც დაუცველობის სინდრომს ნერგავს მოსახლეობაში და მათ მუდმივ ფსიქოლოგიურ ტერორში ამყოფებს.
- აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების დარღვევები ფიქსირდება, როგორც ქართველების, ისე, ეთნიკური აფხაზების მიმართაც, რომლებიც თავშესაფარს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ეძებენ.
- ოკუპირებულ აფხაზეთში ეკონომიკური ექსპანსია რუსული კაპი-

ტალით ხორციელდება.

- მიმდინარეობს ხე-ტყის მასიური ჭრა და ინერტული მასალების ველური მოპოვება. ამას ემატება ნავთობის საძიებო სამუშაოები, რაც ეკოლოგიურ კატასტროფას უქადის შავი ზღვის აუზს.
- აფხაზეთი, როგორც უკანონტროლო ტერიტორია, მიმზიდველი ადგილია უკანონო ფინანსური მაქინაციების განხორციელებისთვის, ნაკონტრანზიტისა და იარაღით ვაჭრობისთვის და ნოენი ნიადაგია ყოველგვარი უკანონო საქმიანობის საწარმოებლად.

ზემოთ აღნიშნული ნეგატივები სერიოზულ საფრთხეს უქმნის, როგორც შავი ზღვის რეგიონის, ასევე – საერთაშორისო უსაფრთხოებას.

საქართველოს ხელისუფლებამ, კრემლის რეუიმის აგრესიული პოლიტიკის საპასუხოდ, შეიმუშავა სამშვიდობო ინიციატივებზე ორიენტირებული თანამშრომლობის მოდელი, რომელმაც ასახვა ჰპოვა მთავრობის სტრატეგიაში ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – “ჩართულობა თანამშრომლობის გზით”. დოკუმენტში მყაფიოდ არის ჩამოყალიბებული ის ძირითადი პრიორიტეტები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს, უპირველეს ყოვლისა, ნდობის აღდგენას და დამაახლოვებელი ფაქტორების გაძლიერებას. მთავარი აქცენტები კეთდება ოთხ მიმართულებაზე: ჰუმანიტარულ, ადამიანურ, სოციალურ და ეკონომიკურზე. ამ მიმართულებების ეფექტური ამოქმედება პირდაპირ კავშირშია ავტორიტეტული საერთაშორისო სტრუქტურების აქტიურობასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით აფხაზეთის რეგიონი განიცდის აბსოლუტურ სამართლებრივ ვაკუუმს და უსაფრთხოების ელემენტარული ნორმების არარსებობას, სავსებით ნათელია, რომ ზემოხსენებული სტრატეგიის იმპლემენტაცია შეუძლებელია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მონიტორინგის გარეშე.

ამ კუთხით ევროკავშირს, თავისი რესურსების გათვალისწინებით, შეუძლია ითამაშოს ძალზე მნიშვნელოვანი როლი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი და სამშვიდობო იდეალებისა და პრინციპების ერთ-ერთი მთავარი ქომაგი მსოფლიო არენაზე, გააძლიერებს თავის პოლიტიკას და გადადგამს ქმედით ნაბიჯებს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისა და ამ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად. ამას უდავოდ ხელს შეუწყობს ის სამართლებრივი შეფასება, რომელიც საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის სუბიექტებმა უკვე გააკეთეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ რეალობას მათ „ოკუპაცია“ უწოდეს.

საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობილი ასეთი პრინციპული პოზიცია, ვფიქრობ, პრობლემის მოგვარებას ახალ დინამიკას შესძენს, რომლის გათვალისწინება და აღებული ვალდებულებების შესრულება კრემლის მესვეურებს აუცილებლად მოუწევთ. •

ამ კონტექსტში მეტად აქტუალურად უღერს ჯორჯ მარშალის სი-

ტყვები, რომელიც მან წარმოთქვა მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაზარალებული ევროპის აღმშენებლობისათვის დროული და ეფექტური დახმარების გაწევის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. იგი ამბობს: „პაციენტი არ უნდა გარდაიცვალოს ექიმების გაჭიანურებული კონსილიუმის გამო“. ეს მეტაფორა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ყურადსალებია და მჯერა, რომ ევროპის აქტიურობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში ოპერატიული, ქმედითი და გამოწვევების ადეკვატური იქნება.

დასასრულ, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებს შეხვედრის მაღალ დონეზე მომზადებისათვის. ვიმედოვნებ, რომ დისკუსიის შედეგად გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები თავიანთ პრაქტიკულ განხორციელებას ჰქოვებენ და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საქმეში.

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის.

**აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გიორგი ბარამიას
მოხსენება მე-8 საერთაშორისო კონფერენციაზე
„საქართველოს ევროპული გზა, თანამშრომლობა
აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში“**

21-23 ივლისი ბათუმი, საქართველო.

**ბატონი თავმჯდომარევ,
ქალბატონებო და ბატონებო,**

დღევანდელ კონფერენციას, მისი წარმომადგენლობითი და შინაარ-სობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭე-ბა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განვითარებაში, რომელიც, თავის მხრივ, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის განზომილებას წარმოადგენს.

მისასალმებელია, რომ ბათუმის კონფერენცია რეგულარულ ხასიათს იღებს, ვინაიდან ეს არის კარგი შესაძლებლობა იმ წინადაღებების გე-ნერირებისათვის, რომელთა განხორციელება ჩვენ წინაშე არსებული აქ-ტუალური საკითხების გადაჭრას მოემსახურება.

როგორც ცნობილია, 2008 წ. აგვისტოში საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ და ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციამ აღმოსავლეთ პარტნიორობის ვექტორის ხარისხობრივი გააქტიურების აუცილებლობა მოიტანა. ამ კონტექსტში მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციასა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების თავიანთ სახლებში დაბრუნებას.

კარგად მოგეხსენებათ, რომ, როდესაც საკითხი ეხება ქვეყნის სუ-ვერენიტეტის ფუნდამენტალურ ნორმებს, საერთო მიდგომა უნდა იყოს პრინციპული და ურყევი. ჩვენ მეტად მადლიერნი ვართ იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოსადმი მკაფიოდ გამოხატავს.

სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკა-ვშირებით რუსეთის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციების სრული იგნორირება მათი იმპლემენტაციის ეფექტურობას საეჭვოდ ხდის.

რუსეთის აშკარა აგრესიული პოლიტიკის სავალალო შედეგებმა უკვე მიაღწიეს თავის აპოგეას აფხაზეთში, სადაც მასიურად ირღვევა ადა-მიანის უფლებები, მიმდინარეობს ტოტალური მილიტარიზაცია და ეკო-ნომიკური ექსპანსია, ირღვევა ეკოლოგიური ბალანსი და ნადგურდება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა. ყოველივე ეს, საერთო ჯამში, საფრთხეს უქმნის მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებას.

სად ვეძიოთ გამოსავალი? გამოსავალი, ვფიქრობთ, შემდეგშია: რუ-სეთმა რეალურად უნდა დაინახოს, რომ ცივილიზებულ მსოფლიოს და, კერძოდ, ევროპას გააჩნია საკმაოდ ეფექტური ბერკეტები, რომელთა მეშვეობით ის არ დაუშვებს კრემლის ჰეგემონისტური პოლიტიკის განხორციელებას სუვერენული საზღვრების რევიზიასთან დაკავშირებით. ნება მომეცით, ამ კონტექსტში თქვენი ყურადღება გავამახვილო სამ მიმართულებაზე:

პირველი. იმ შემთხვევაში, თუ კრემლი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით აგრძესიულ პოლიტიკას გააგრძელებს და საერთაშორისო რეზოლუციებს არ შეასრულებს, მან პრაქტიკულად უნდა იგრძნოს, რომ ის მოკლებული იქნება და სრულფასოვნად ვერ ისარგებლებს იმ უპირატესობებითა და შეღავათებით, რომლებსაც საგარეო ურთიერთობები როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ჭრილში იძლევა.

მეორე. რეგიონის უსაფრთხოების დღევანდელი გამოწვევები საქართველოს კარნახობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისეთი ეფექტური საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების დაფუძნებას, რომელთა ამოქმედება ნაკლებად იქნება დამოკიდებული რუსეთის მიერ მათ ცალმხრივ დაბლოკვაზე. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში ვერ ნახავთ ვერც ერთ მაგალითს, როდესაც რამე კონფლიქტი ეფექტურად მოგვარებულ იქნა რუსეთის შუამდგომლობით. პირიქით, სიტუაცია უფრო მძიმდება, ხოლო ჩვენს შემთხვევაში კონფლიქტის უშუალო მონაბილე მხარედ რუსეთი გვევლინება, რომელიც ოკუპირებულ რეგიონებში დესტრუქციულ პოლიტიკას აგრძელებს.

მესამე. იმპერატიული ხდება ყველა აპრობირებული საერთაშორისო ინსტრუმენტის დროული სიმბიოზი და მკვეთრი გააქტიურება, რათა დაძლეულ იქნას რუსეთის ნეო-იმპერიალისტური პოლიტიკის რენესანსის მცდელობა ჩვენს რეგიონში. წინააღმდეგ შემთხვევაში კრემლისათვის დამახასიათებელი დიქტატისა და ძალის პოლიტიკა მიიღებს ჯაჭვურ და მულტიპლიკატურ ეფექტს ევროპის მთელ სივრცეში. ხოლო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ჩვენ ვერ გავცემთ სათანადო პასუხს, თუ რატომ ვერ ხერხდება რეალური წინსვლა მათ დაბრუნებასთან დაკავშირებით.

დღესაც მეტად აქტუალურია სერ უინსტონ ჩერჩილის ცნობილი გამოსვლა ფულტონში, სადაც ის რუსეთისათვის დამახასიათებელ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას უსაფრთხოების „საერთო სტრატეგიის კონცეფციის“ ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ ასახელებდა. ის გვაფრთხილებდა, რომ „რუსეთის სურვილია თავისი ჰეგემონიისა და დოქტრინის უსაზღვრო გავრცელება“. ხოლო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც იქნება „რეალური და არა ფიქტიური, რომლებსაც გააჩნიათ ქმედითუნარიანობა და არა უშედეგო ჰაერის რყევის მცდელობა“.

მინდა გამოვთქვა ლრმა რწმენა, რომ ევროპა მაქსიმალურად გამოიყენებს არსებულ პოტენციალს, რათა ღირსეულად შეასრულოს თავისი მისია საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისა და ამ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების საქმეში. ამის აუცილებლობა სრულ თანხვედრაშია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კონცეფციის ძირითად დებულებებთან.

ამით ევროპა ნათლად დაადასტურებს, რომ მას გააჩნია სათანადო რესურსები, რათა მოახდინოს არა მარტო ევროპული კატეგორიების დაკლარირება, არამედ მათი პრაქტიკული დაცვაც.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, იმედი გამოვხატო, რომ კონფერენციაზე გაუღერებული წინადადებები ჰპოვებს პროდუქტიულ განვითარებას და დაფიქსირდება როგორც მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დაგეგმილი ალმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის სამიტის საბოლოო დოკუმენტში, ისე სხვა საერთაშორისო ფორუმების გადაწყვეტილებებში.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

**დანართი 2
მიმართვა აფხაზ ხალხს!**

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენ საუკუნეების განმავლობაში საერთო მიწა-წყალი, უღრუბლო ცა, იდენტური ტრადიციები და წეს-ჩვეულებები გვაერთიანებდა. აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი შერეული აფხაზურ-ქართული ოჯახებისგან შედგებოდა.

სამწერალოდ, უკვე მე-17 წლია, რაც სისხლით ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, თანაკლასელები, ერთმანეთს უცაბედად დაგვაშორა მესამე ძალამ, რომელიც ჩვენს ყოფიერებაში ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა.

ქართველი და აფხაზი ხალხები საუკუნეების განმავლობაში არა-სოდეს მდგარან პარიკადების სხვადსხვა მხარეს. არ უომიათ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საერთო ისტორიულ გზაზე ყოფილა უსამართლობა, გაუგებრობა, მაგრამ გონიერება ამარცხებდა შურსა და უნდობლობას!

გავიხსენოთ აფხაზების ყოველმხრივი ნაციონალური განვითარების დონე საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში 1992 წლის ტრაგიკულ მოვლენებამდე. აფხაზი ხალხი ამ პერიოდში საკუთარ კულტურასა და ეროვნულ თვითმყოფადობას ინარჩუნებდა. დღეს კი ისმის კითხვა, რა ელოდება აფხაზებს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში? აშკარაა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობის მთავარ მიზანს აფხაზეთის უნიკალური სიმდიდრეების ხელში ჩაგდება წარმოადგენს.

თუ 90-იანი წლების დასაანყისში საქართველოს წინააღმდეგ დიდ პოლიტიკურ თამაშებში აფხაზური გეგმა იყო პროვოცირებული, დღეს აფხაზეთი საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი გახდა.

აფხაზი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი პირდაპირაა დასმული, როგორ გადარჩეს იგი თავის ძირძველ მიწაზე?! მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ ერთმანეთის შენარჩუნებას.

დადგა უამი აფხაზი ხალხის სერიოზული დაფიქრებისა, რომელმაც არაერთხელ გამოიჩინა სიბრძნე თავისი ბედის გადაწყვეტისას. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა საერთო ძალისხმევა. უნდა განისაზღვროს მისაღები და მიუღებელი ფაქტორები, წარმოჩნდეს სიბრძნე და სიმამაცე.

ძვირფასო თანამემამულენო, მოგიწოდებთ უშუალო ორმხრივი დიალოგისკენ. ჩვენ არ უნდა დავანგრიოთ ჩვენი ხალხის გამაერთიანებელი ხიდები. მოდით, აღვადგინოთ დაკარგული ნდობა. ვალდებული ვართ გადავლახოთ ტკივილი და წყენა, დავივიწყოთ უთანხმოება, სიძულვილი, გავუნოდოთ ერთმანეთს ხელი მშვიდობისა და შერიგებისათვის.

ჩვენ ღვთისაგან გვაქვს განსაზღვრული მეგობრობითა და სიყვარულით თანაცხოვრება ერთ მიწაზე.

აღსრულდეს ჩვენი ბრძენი წინაპრების ანდერძი და სურვილი.

ლმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

სარა ბზია იზბოიტ აფხაზი! (მე შენ მიყვარხარ, აფხაზეთო!)

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მიმართვა ლევილიდან

მოგესალმებით საფრანგეთიდან! ლევილის იმ ისტორიული მიწიდან, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლის სიმბოლოა. აქ, სამშობლოს მოწყვეტილ პატრიოტებს, ერთი წუთითაც არ შეუნელებიათ საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია სუვერენული საქართველოს ანექსით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს თავად აღიარა, ეს ხელშეკრულება მანვე უხეშად დაარღვია.

დღეს ამ ისტორიული ადგილიდან მინდა მოგმართოთ – ჩემო ძვირფასო საქართველოს შვილებო. განსაკუთრებით მივმართავ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას.

ჩვენ ვდგავართ აფხაზი კაცის, საქართველოს ლირსეული მამულიშვილის არზაყან ემუხვარის საფლავთან, რომელიც დემოკრატიული აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის პირველი თავმჯდომარე იყო. ის არ შეეგუა საქართველოს ოკუპაციას და თავისუფლების დაკარგვას ემიგრაციაში სიკვდილი ამჯობინა. არზაყან ემუხვარი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, ნოე ჟორდანიას გვერდით განისვენებს.

ეს გმირები სამშობლოდან შორის დევნილობაშიც ქვეყნის გადარჩენისთვის იბრძოდნენ. ქართველს, აფხაზს, ოსს, ერთი მიზანი ამოძრავებდა–საქართველოს დამოუკიდებლობა!

მოგიწოდებთ აფხაზნო, ისევ ერთად დავდგეთ საერთო მტრის წინააღმდეგ, რომელსაც აფხაზთა და ქართველთა დაჩოქება და ჩვენი ერთმანეთისგან საბოლოო გახლეჩა და დაშორება აქვს განზრახული.

რუსეთის პოლიტიკის შედეგები თვალსაჩინოა – აფხაზის საკუთარ მიწაზე აღარ ეცხოვრება, ინტენსიურად მიმდინარეობს აფხაზეთის რუსიფიკაციის პროცესი. მიზანმიმართულად გრძელდება აფხაზური ენის, კულტურის, ტრადიციების, ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ ბრძოლა. აფხაზებს გენოციდს უწყობენ, იგნორირებულია აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის ინტერესები. ხალხის ძალას წინ ვერაფერი დაუდგება, ამიტომ კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ ყველას: ხმა ავიმაღლოთ იმ უკანონობის წინააღმდეგ, რაც აფხაზეთში ხდება, ჩვენი ხმა მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ და ერთად მოვითხოვოთ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

ლევილში მყოფმა მინდა გავიხსენო საფრანგეთის თანადგომა საქართველოს მიმართ, რომელიც ამ ქვეყანამ როგორც 20-იან წლებში, ასევე, 2008 წ. აგვისტოში აღმოგვიჩინა. საფრანგეთმა, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, დაგმო რუსეთის მიერ საქართველოს ტერ-

იტორიების ოკუპაცია და აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრესის შესაჩერებლად. ამჟამად, საფრანგეთში ვიზიტად მყოფ დიმიტრი მედვედევს პრეზიდენტმა სარკოზიმ კიდევ ერთხელ მოსთხოვა 2008 წ. აგვისტოში დადებული ექვსპუნქტიანი დოკუმენტის შესრულება.

მოგეხსენებათ, დღეს 3 მარტია და სრულიად საქართველო დედის დღეს აღნიშნავს, განსაკუთრებით მინდა მოვეფერო აფხაზ და ქართველ დედებს, რომელთა შვილები ძმათამკვლელ ომს შეეწირნენ. თქვენ, დედებს, შეგიძლიათ წვლილი შეიტანოთ იმ უდიდესი მისიის განხორციელებაში, რასაც ჩვენი ერთობა ჰქვია. რამეთუ მწუხარე დედის ნათქვაში სიტყვას უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ოკუპანტის მიერ ხალხის დასაშინებლად გასროლილ ტყვიას.

ახლა, როგორც არასდროს, სჭირდება ჩვენს სამშობლოს ისეთი მამულიშვილები, რომლებიც თავიანთი სახელოვანი წინაპრის, არზაყან ემუხვარის საქმეს გააგრძელებენ.

ჩვენო მამულიშვილებო, აფხაზო დებო და ძმებო, მტკიცედ და შეურყევლად დავდგეთ ჩვენი საერთო ინტერესებისა და მომავლის დასაცავად!

გვფარავდეს ღმერთი! – ანცა ჰაინიჰაიტ!

2.2 სოციალური მიმართულება

აფხაზეთის მთავრობა სტრატეგიულ პრიორიტეტებს შორის განსაკუთრებულ ფოკუსირებას სოციალურ მიმართულებაზე ახდენს. აღნიშნულ სფეროში თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მთავრობის სტრუქტურული ერთეულები: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; განათლებისა და კულტურის სამინისტრო; ეკონომიკის სამინისტრო, რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი; განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი; დევნილთა საქმეების დეპარტამენტი; აფხაზეთის მინისტრი ზემო აფხაზეთის საკითხებში; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი, იუსტიციის დეპარტამენტი.

2.2.1 ავხაზეთის მთავრობის ღონისძიებები სოციალურ სფეროში

აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საანგარიშო პერიოდში, ი.გ.პ.-თა სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ზრუნვა წარმოადგენდა. ამ მიმართულების ფარგლებში დასახული იქნა შემდეგი პრიორიტეტების განხორციელება:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარების გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- იგპ-თა დასაქმება და ადაპტაცია-ინტეგრაციაში ხელშეწყობა;
- უცხოეთიდან დაბრუნებულ აფხაზეთის მკვიდრთათვის დევნილის სტატუსის აღდგენა-მინიჭებაში ხელშეწყობა;
- ი.გ.პ.-თა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.
- იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების მონიტორინგი და ანალიზი;
- ი.გ.პ.-თა მიკრო და მცირებიზნესის ხელშეწყობა;

აფხაზეთის მთავრობა, კომპეტენციის ფარგლებში, რეაგირებდა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წინაშე შუამდგომლობას უწევდა ი.გ.პ.-ს, რომლებიც განცხადებით მომართავდნენ მას და საცხოვრებელი ფართის კერძო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის განვითარების ითხოვდნენ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, შუამდგომლობის საფუძველზე, ერთ შემთხვევაში 20 ოჯახს, მეორე შემთხვევაში – 12 ოჯახს დროებით საცხოვრებელი ფართი გამოუყო. მათ, ასევე, გაენიათ მატერიალური დახმარება ფულის, სურ-

სათისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების სახით.

მთავრობის მიმართვის საფუძველზე საერთაშორისო ჰუმანიტარულ-მა ორგანიზაციამ „World Vision საქართველომ“ განახორციელა რუსული ოკუპაციის შედეგად აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების (მათ შორის აფხაზების) სურსათით მომარაგება. მსგავსი სახის დახმარებებს პერმანენტული ხასიათი აქვს.

აფხაზეთის მთავრობა ცდილობდა შეემსუბუქებინა დევნილებისთვის კომუნალური გადასახადების გადაუხდელობის შედეგად(რაც გამოწვეული იყო ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო) შეემნილი მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები. მაგალითად, ელექტროენერგიით მომარაგების პერიოდულად შეწყვეტა საფასურის გადაუხდელობისა და სოლიდური დავალიანების დაგროვების გამო. მთავრობისა და სააქციო საზოგადოება „თელასის“ ხელმძღვანელობას შორის შემდგარი კონსულტაციების შედეგად ხდებოდა დავალიანებების გადავადება და დევნილთა ამა თუ იმ კოლექტიური ჩასახლებისთვის ელექტროენერგიით მომარაგების აღდგენა.

სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების კონტექსტში დევნილთა ერთ-ერთ ჩასახლებაში (ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №10) მცხოვრებ 4 ოჯახს გადაეცა ელექტროგენერატორი, საწვავი და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები. ანალოგიური დახმარება გაეწია თეთრინყაროს რაიონის სოფ. კოდაში ჩასახლებულ 22 ოჯახს.

მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს, ასევე, დევნილთა სამართლებრივი უზრუნველყოფა. იგი ხშირად არის მესამე პირად ჩართული სასამართლო პროცესებში, როდესაც დევნილთა უფლებების დარღვევის (ბინებიდან გამოსახლება და ა.შ.) საკითხები იხილება. გარდა ამისა, მთავრობა დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში ატარებს იურიდიულ კონსულტაციებს. ჩატარებულია 100-ზე მეტი ასეთი კონსულტაცია. ი.გ.პ.-თა სამართლებრივი ინტერესი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: კანონმდებლობა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, დაკავებული ფართის კერძო საკუთრებაში გადაცემა, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, კანონი „ომისა და საშედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, პენსიის დანიშნვა და ა.შ.

აფხაზეთის მთავრობა ცდილობს დევნილთა ხელშეწყობას მათი დასაქმების მიზნით. აღნიშნულის მისაღწევად მოწყობი შეხვედრები იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობასთან“, საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთთან“, დანიის ლტოლვილთა საბჭოს სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ წარმომადგენელ სვეინ ბეკსრუდთან, „ეკონომიკისა და სოციალური კვლევის კავკასიური ინსტიტუტის“ წარმომადგენელთან, წყნეთის სათემო ორგანიზაცია „თანამშრომლობის სახლთან“, ორგანიზაცია „პრემიერ ურჯენსთან“; კონტაქტები დამყარ-

და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან, ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდთან“ და ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოსთან“.

აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით მოეწყო განათლებისა და დასაქმების პირველი მასშტაბური ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების (მათ შორის საერთაშორისო), ბანკების, სოცეუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლისა და კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ფორუმზე წარმოდგენილი იქნა უმაღლესი და პროფესიული განათლების, სტაუირებისა და დასაქმების არაერთი შესაძლებლობა. უნივერსიტეტ რეჟიმში ჩატარდა სხვადასხვა სემინარ-ტრენინგი. ფორუმის მიზანი იყო დევნილთა მოტივაციისა და უნარიანობის ამაღლება მათი შემდგომი დასაქმების მიზნით.

მთავრობის ძალისხმევით, სპეციალური გადამზადების შემდეგ, „ვაგონშემკეთებელ ქარხანაში“ 50 დევნილის დასაქმება მოხერხდა. დევნილთა გარკვეული რაოდენობა დასაქმდა ანაკლიაში მშენებარე ობიექტებზე. კოლექტიურ ცენტრებში განსახლებულ დევნილებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია ქ. თბილისის წარმოება-დაწესებულებებში არსებული ვაკანსიების შესახებ, რის შედეგადაც გარკვეული რაოდენობა დასაქმდა კიდეც.

მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტაციისა და დასაქმებაზე ინფორმაციის ცენტრის“ თანამშრომლობით დასაქმდა 7 დევნილი.

აფხაზეთის მთავრობის ძალისხმევით 139 ი.გ.პ. ტრანსპორტის სფეროში დასაქმდა. ასევე, მთავრობის მხარდაჭერით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ დაფინანსებულ 5 პროექტში დასაქმდა 29 ი.გ.პ.

მთავრობის დახმარებით ი.გ.პ-თა მიერ შემუშავებული 25 ბიზნეს-პროექტი წარედგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ევროკავშირისა და გაეროს წარმომადგენლობებს, 23 საერთაშორისო დონორ ორგანიზაციას და საელჩოებს. 7 პროექტის დაფინანსებაზე უარი ითქვა. დანარჩენი 17 ბიზნეს-პროექტი განხილვის სტადიაშია, არსებობს მათი ფინანსური მხარდაჭერის პერსპექტივა.

აფხაზეთის მთავრობამ გამოსცა ცნობარი „პრაქტიკული რეკომენდაციები დამწყებ ფერმერებს“, რომელიც 100-მდე დასაქმებულ მეურნესა და ამ საქმიანობით დაინტერესებულ კიდევ 200-მდე დევნილს გადაეცა. ცნობარში მოყვანილია ის აუცილებელი ინფორმაცია, რომელსაც უნდა ფლობდეს დამწყები ფერმერი და რომელიც ხელს შეუწყობს მას კვალი-ფიკაციის ამაღლებაში, დაწყებული საქმიანობის გაუმჯობესებაში.

მთავრობის ინიციატივით შეიქმნა საინვესტიციო პროექტებისა და წინადადებების ელექტრონული ბაზა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც მუდმივად ივსება ახალი ინფორმაციით. ამ ეტაპზე ელექტრონულ ბაზაში შეტანილია 44 პროექტი. ასევე, შექმნილია სამუშ-

ამს მაძიებელ პირთა ელექტრონული ბაზა, სადაც ამ ეტაპზე შეყვანილია 106 ი.გ.პ-ს მონაცემები.

ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში დევნილებს, მათ შორის აფხაზებს, პერიოდულად სხვადასხვა სახის სასურსათო და საყოფაცხოვრებო ნივთები გადაეცემათ; საჩუქრები ურიგდება ათასობით ბავშვს, მათვის ეწყობა კულტურულ-გასართობი ღონისძიებები; სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვების გარკვეულმა რაოდენობამ საზაფხულო ბანაკებში დაისვენა. ჰუმანიტარული აქციები ტარდება ისეთი კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით, როგორებიცაა „მითანა“ „კოდა“, „ბარამბო“, „იფქლი“, „ტკბილი ქვეყანა“, სს „ლომისი“, „გუდვილი“, „ვეჯინი – 50“, „კეთილი სამარინელი საერთოველოში“, „ქართულ-აფხაზური საერთო სახლი“, „ხსნის არმია“ და სხვა. საანგარიშო პერიოდში 8000-ზე მეტი ი.გ.პ.-სა და 5390 ბავშვი დაურიგდა ჰუმანიტარული დახმარება. მოცულ იქნა 180 კომპაქტური ჩასახლების ობიექტი. საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ მეშვეობით მიღებული 3602 კგ პროდუქტი დაურიგდა 1191 ოჯახს. ჰუმანიტარული დახმარება (რომელიც მოიცავდა სურსათს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ტანისამოსს) გადაეცა რაჭის რეგიონში განსახლებულ 162 დევნილ ოჯახსა და იმერეთში განსახლებულ 250-ზე მეტი ოჯახს, კახეთის რეგიონში განსახლებულ 350-მდე დევნილ ოჯახს, აგრეთვე, თბილისში განსახლებულ 58 სოციალურად დაუცველ ოჯახს, ბაგა-ბალ „იმედის“ აღსაზდელებს, ბაგა-ბალ „სინათლის“ აღსაზრდელს. აფხაზეთის ყრუ-მუნჯთა და სმენადაქვეითებულთა საზოგადოებას, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებს, მეორე მსოფლიო ომის 100-მდე ვეტერანს, 81 ინვალიდ დევნილს გადაეცა სპეციალური ეტლი, სამს – კომპიუტერი და ა.შ. წლიდან წლამდე მტკიცდება და ფართოვდება ურთიერთობა ამ და სხვა ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც სულ უფრო მეტი დევნილი, უფრო მეტი ბავშვი, ინვალიდი იღებს ჰუმანიტარულ დახმარებას.

მთავრობის მიერ დიდი სამუშაო იქნა განეული საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით დასასვენებელ და მულტიკულტურულ ბანაკებში დევნილ ბავშვთა მივლინების ორგანიზებასა და მათვის სხვადასხვა ექსკურსიების, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ესპანური „ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ „ჭიშტუ“-ს შორის თანამშრომლობის შედეგად აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები ყოველწლიურად საზაფხულო არდადეგების განმავლობაში მიემგზავრებიან ესპანეთის სამეფოში მოხალისე იჯახებში დასასვენებლად. საანგარიშო პერიოდში ესპანეთში დაისვენა 48 დევნილმა ბავშვმა.

აღნიშნულ ფონდთან თანამშრომლობის შედეგად იგეგმება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალის რაიონი) არსებული ქართული სკოლების შენობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატ-

არება.

აფხაზეთის მთავრობისა და საბერძნეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ქ. ათენის მერიის, ქ. ირაკლიონის მერიის, „წმინდა პავლეს“ სახელობის მართლმადიდებელთა კავშირთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დასვენება საბერძნეთის ბავშვთა საერთაშორისო დასასვენებელ ბანაკებში. სულ ამ წლებში დასასვენებლად გაიგზავნა 140 ბავშვი.

მთავრობისა და უკრაინის, არტევის ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის ხელმძღვანელობის თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა 30 ბავშვის აღნიშნულ ბანაკში დასვენების ორგანიზება.

ასევე, აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და საქართველოს სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურების ხელშეწყობით სხვადასხვა რეგიონის (აჭარა, კახეთი, ქვემო ქართლი) დასასვენებელ ბანაკებში, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე მდებარე ბავშვთა ბანაკში, ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში, დაბა კვარიათში, დაბა გონიოში, დაბა ბაკურიანში, სოფ. კეჩობში, დაბა კოჯორში გაიგზავნა 278 აფხაზეთიდან დევნილი ბავშვი.

შპს „მრავალეროვან საქართველოსთან“ შეთანხმებით უზრუნველყოფილ იქნა 160-ზე მეტი სოციალურად დაუცველი მოზარდის შერჩევა ინგლისური ენის უფასო კურსებზე. ასევე, მათთან შეთანხმებით, აშშ-ს ნებრასკის შტატის ლინკოლნის სამხრეთ-აღმოსავლეთის სახალხო კოლეჯის, ლინკოლნის სამხრეთ-როტაციის კლუბისა და ნებრასკის უნივერსიტეტის მიერ ქართულ-ამერიკული კულტურულ-საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამა განხორციელდა. პროგრამაში შვიდი ბავშვი და ორი მონიტორი მონაწილეობდა.

მთავრობის ხელშეწყობით ხორციელდება დევნილი მოზარდებისთვის სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელიც მოიცავს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და სხვადასხვა კინოთეატრებში წარმოდგენებსა და მხატვრული ფილმებზე, ასევე, კონცერტებზე დასწრებას. საკუთარი ისტორიის უკეთესად გაცნობის მიზნით მთავრობა დევნილი ბავშვებისთვის ხშირად აწყობს ექსკურსიებს ისტორიულ-კულტურული ძეგლების დასათვალიერებლად.

ამ და მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა დევნილმა ბავშვმა, მათ შორის ოკუპირებული აფხაზეთიდანაც.

- დევნილი ბავშვების დასწრება აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე;
- დედის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე;
- ბავშვების დასწრება ფილარმონიაში გამართულ საახალწლო გასართობ კონცერტზე;
- ბავშვებისთვის საფეხბურთო ტურნირების მოწყობა;
- ბავშვთა ექსკურსიები მთაწმინდის პარკში, ქუთაისში (სათაფლია, პრომეთეს გამოქვაბული, მონამეთა მონასტერი, გელათის მონას-

- ტერი); კახეთში (ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, იყალ-თოს მონასტერი, ალავერდი, გრემი, ნეკრესის მონასტერი, ყვა-რელი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, ბოდბე, მცხეთა).
- ბავშვთა დასწრება ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტ „ერ-უდიტზე“;
 - დედაენის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მოსწავლეების მონაწილეობა და სხვა;

აფხაზეთის მთავრობა აქტიურად მუშაობს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ი.გ.პ.-თა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებისა და სემინარების ჩატარების კუთხით. მთავრობის ინიციატივით არასამ-თავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდთან“ ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „მოხალისეობა – გზა ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ“. მისი მიზანი იყო იძულე-ბით გადაადგილებულ პირთა, ძირითადად, ახალგაზრდების დასაქმებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და სამუშაო გამოცდილების შეძენა. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა დაწესებულებაში სამთვიანი ტრენინგ-კურსები და სტაჟირება გაიარა 30 დევნილმა. ტრენინგ-კურსები მათ დასაქმების ბაზარზე სამ-სახურის მოძიებაში დაეხმარა.

მთავრობასა და იმავე არასამთავრობო ორგანიზაციას შორის არ-სებული თანამშრომლობის შედეგად 30 დევნილი ჩაერთო 10-დღიან ტრენინგ-კურსებში, რომელიც მოიცავდა გუნდის მართვას, სამსახურის მოძიების ტექნიკის საფუძვლებს, შრომითი და ადამიანთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესწავლას. წარმატებულმა მონაწილეებმა გაიარეს სამთვიანი სტაჟირება „ვესტელის“ ქსელის მაღაზიებსა და საქართველოს რკინიგზაში. წარჩინებული ახალგაზრდები ხსენებულ დაწესებულებებში დასაქმდნენ.

აფხაზეთის მთავრობასა და ორგანიზაციას „მრავალფეროვანი საქა-რთველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისთვის“ შო-რის არსებული თანამშრომლობის საფუძველზე დევნილ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა გაევლო კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული განვითარების პროგრამების ფარგლებში: რეზიუმეს წერის ტექნიკის, უნარ-ჩვევების გამომუშავების, საბანკო საქმის, ბუღალტრული აღრიცხ-ვის, კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.

აფხაზეთის მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების „სამო-ქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი – ქალთა ფონდი საქართ-ველოში“ და „ჰელფინგ ჰენდი“ თანამშრომლობის შედეგად რამდენჯერმე გადმოიყანეს გალის რაიონიდან 35 მოზარდი, რომლებიც თბილისში მასპინძელ ოჯახებში განთავსდნენ. ჩამოყვანილ მოზარდებს ჩაუტარდათ სემინარები სხვადასხვა თემებზე. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალ-გაზრდული კლუბი „ჩვენ მშვიდობის ელჩები ვართ“, რომლის მიზანია

სამომავლოდ გალის რაიონის სკოლებში ლიდერობის, გუნდური მუშაობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის თემებზე პრეზენტაციების გამართვა.

აფხაზეთის მთავრობამ გამოსცა სტატისტიკური პუბლიკაცია “აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილნაცვალი სტრუქტურები და მოსახლეობა 1993-2009 წ.წ.” (ტირაჟი – 100 ეგზემპლარი), რომელიც გადაეგზიავნა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ცნობილ მეცნიერებს. მომზადდა მასალა საქართველოში საინვესტიციო გარემოს შეფასების შესახებ, სადაც ასახულია აფხაზეთის ეკონომიკის სტრუქტურა დევნილობაში, სტატისტიკური და ექსპერტული შეფასებები აფხაზეთიდან იგპ-თა დასაქმებისა და უმუშევრობის თაობაზე. მასალა შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო-საიმიჯო კატალოგის გამოცემასთან დაკავშირებით შეიქმნა საინვესტიციო პროექტები. მომზადდა ანალიტიკური და საინფორმაციო მასალები, კერძოდ, კონფლიქტამდელ პერიოდში აფხაზეთის ეკონომიკის დარგების განვითარება და ამჟამად არსებული მდგომარეობა; 1992-1993 წლების საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოსათვის მიყენებული ეკონომიკური ზარალის შესახებ; აფხაზეთის ტერიტორიაზე 1993 წლამდე არსებული სახელმწიფო ორგანიზაციებისა და საწარმოთა ნუსხა; მასალა ტრანსპორტის იმ 4 ძირითად სახეობაზე, რომელიც ფუნქციონირებდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992-1993 წლების საომარ მოქმედებამდე; პერიოდულად მზადდება დაიჯესტი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესების შესახებ.

სოციალური მხარდაჭერის ფარგლებში აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სოფლის მეურნეობა იყო. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობა ის დარგია, რომელშიდაც ი.გ.პ-თა საკმაოდ დიდი რაოდენობაა დასაქმებული. ამ მიმართულებით მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

სოფლის მეურნეობით დაკავებული იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობისთვის მატერიალურ-ტექნიკური და სხვა სახის დახმარების აღმოჩენა;

- ი.გ.პ.-თა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გასაღებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში მცირებიზნების განვითარების ხელშეწყობა; ამ მიზნით სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება;
- ი.გ.პ.-თა საკუთრებაში მყოფი შინაური ცხოველების ვეტერინარული მომსახურება;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარება ოკუპირებულ აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

აფხაზეთის მთავრობამ განახორციელა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ, სოფლის მეურნეობის კუთხით მცირე ბიზნესსა და გადამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულ დევნილთა აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა. აღნიშნული ბაზის მეშვეობით მიმდინარეობს მცირე ბიზნესში ჩართულ დევნილთა საქმიანობის შესწავლა, კვალიფიციური კონსულტაციების განხევა, ბიზნეს-წინადადებების შემუშავებაში დახმარება საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან მათი წარმოების გაფართოებაში ხელშეწყობის მიზნით.

აფხაზეთის მთავრობა აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობით დაკავებული ყოველი ოჯახისთვის 50 კგ აზოტოვანი სასუქის (ამონიუმის გვარჯილა) უსასყიდლო გადაცემას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 17 785 დევნილ ოჯახს, მათ შორის ოკუპირებულ გალის რაიონში მცხოვრებთ, დაურიგდათ 890 ტონა სასუქი.

აფხაზეთის მთავრობის შესაბამისი ქვეუწყების მეშვეობით გალის რაიონში „თურქულის“, „ჯილეხისა“ და „ცოფის“ წინააღმდეგ აიცრა 43 375 სული პირუტყვი, გარდა ამისა, ოკუპირებული რაიონის მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის მედიკამენტოზური მეურნალობისთვის აფხაზეთის ა/რ მთავრობის პროგრამული დაფინანსების ფარგლებში შეძენილ იქნა 32 000ლარის ლირებულების 64 დასახელების ვეტმედიკამენტი და პრეპარატი.

მთავრობის შესაბამისმა ქვეუწყებამ ვეტერინარული დახმარება გაუწია, აგრეთვე, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში მცხოვრები ოჯახების საკუთრებაში მყოფ პირუტყვს. ამასთანავე, საქონლის მეპატრონებებს გადაეცა 3000 ლარის ლირებულების ვეტპრეპარატები. აღნიშნული ლონისძიებების მნიშვნელობა განპირობებული იყო იმით, რომ არცთუ ისე იშვიათ შემთხვევებში მესაქონლეობა ი.გ.პ.-თა ოჯახების არსებობის თითქმის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია მცენარეთა დაცვითი ლონისძიებების ჩატარება, განსაკუთრებით საშიში საკარანტინო მავნებლის „ამერიკული თეთრი პეპელას“ წინააღმდეგ. მთავრობის შესაბამისი ქვეუწყების სპეციალისტები გალის რაიონის ტერიტორიაზე ყოველწლიურად აწარმოებდნენ კვლევებს, საკონტროლო ფიტო-სანიტარულ მონიტორინგს მრავალწლიან და ერთწლიან კულტურებზე საკარანტინო მავნებლებისა და სარეველების გავრცელების არეალისა და ინტენსივობის დასადგენად, რის შედეგადაც ქმედითი ლონისძიებები ტარდებოდა პრობლემის პრევენციისთვის.

2.2.2 მთავრობის სოციალური ხასიათის ღონისძიებები რეგიონალური მართვის სფეროში

რეგიონალური მართვის სფეროში აფხაზეთის მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- თანამშრომლობა ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო დონორ ორგანიზაციებთან, კერძო კომპანიებთან და საქველმოქმედო ფონდებთან აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით;
- საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლის“ ფარგლებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შიდა მიგრაციაზე ამონწურავი ინფორმაციის მოძიება და მონაცემთა სრული კომპიუტერიზაცია;
- სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შექმნილი კომისიების მუშაობის მონიტორინგი;
- დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგი.

აფხაზეთის მთავრობის 2010 წ. 5 თებერვლის №2 დადგენილებით გამარტივდა მთავრობის წარმომადგენლობებში სხვადასხვა ცნობის გაცემის პროცედურა;

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და/ან ფოტოიდენტურობის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მინისტრის 2010 წლის 19 მარტის ბრძანების საფუძველზე მთავრობის წარმომადგენლობებში შეიქმნა კომისიები. მათ დევნილთა საცხოვრებელი ადგილისა და ფოტოიდენტურობის დადგენის მიზნით დაიწყეს ერთიანი საინფორმაციო ბაზის გამოყენება.

2012 წლის 03 თებერვლის №4 ბრძანებით დამტკიცდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესი“. შესაბამისად, შეიქმნა გასაცემი დასკვნების ერთიანი კომპიუტერული პროგრამა, რაც საშუალებას მისცემს ი.გ.პ.-ებს აღიდგინონ საქართველოს მოქალაქეება და ისარგებლონ საქართველოს მოქალაქეების ყველა უფლებით,

შეღავათითა და პრივილეგიებით.

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობამ საანგარიშო პერიოდში გასცა 5478 ცნობა, რომელიც ეხებოდა დევნილის სტატუსის მიღება-აღდგენას, შრომითი სტაჟის აღდგენას, გარდაცვალების, ქორწინების მოწმობების აღებას, ქონებრივი დეკლარაციის შევსებასა და სხვა საკითხებს. წარმომადგენლობასთან არსებულმა „იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და ფოტოიდენტურობის დამდგენმა კომისიამ“ გასცა 1476 დასკვნა.

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობამ იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გასცა 794 სხვადასხვა ცნობა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და ფოტოიდენტურობის დამადასტურებელმა კომისიამ – 310 დასკვნა.

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობამ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გასცა 7758 სხვადასხვა სახის ცნობა და 2470 დასკვნა.

მოცემული მიმართულებით აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა წარმოადგენს. „კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლისა და ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2009 წლის 19 ნოემბრის №93 განკარგულებით მოხდა ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციების დაზუსტება. შეჯერებული ინფორმაციები შევიდა ერთიან საინფორმაციო ბაზაში. ამ ბაზის შექმნის პროცესში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საერთო ბაზასთან ონლაინ რეუიმში მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტების რაოდენობისა და მათი იურიდიული მისამართების დაზუსტება.

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის შედეგად შექმნილმა ერთიანმა საინფორმაციო ბაზამ ხელი შეუწყო ერთჯერადი მატერიალური დახმარებისთვის განკუთვნილი თანხების სწორად განაწილებას.

მთავრობა სისტემატურად სწავლობს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ და საყოფაცხოვრებო პირობებს და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, რომლებიც კონკრეტული ვითარების ადეკვატურადა გათვალისწინებული და უკიდურესად შეჭირვებული ადამიანებისთვის (გარდაცვალება, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, მძიმე ეკონომიკური პირობები და ა.შ.) გასცემს მატერიალურ დახმარებებს.

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სოციალურად დაუცველ პირებზე საანგარიშო პერიოდში გაიცა 365 555ლარი.

მთავრობის წარმომადგენლობებში სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემ კომისიებში შემოსულ 8060 დაკმაყოფილებულ განცხადებაზე გაიცა 842 340ლარი. დახმარება გაიცემა ისეთი სოციალური კატეგორიის დევნილებზე, როგორებიც არიან:

- მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები;
- 1 ჯგუფის ინვალიდები;
- მარჩენალდაკარგულები;
- ომში დაღუპულთა ოჯახები;
- დედ-მამით ობოლი არასრულწლოვნები;
- ოჯახები სამი და მეტი არასრულწლოვნანი შვილით;
- 100 წელს გადაცილებული მოქალაქეები;
- უნარშეზღუდული ბავშვები;
- მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები.

ასევე, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა შემდეგ სოციალურ კატეგორიებზე:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე;
- სანდაზმულ მარტოხელა პენსიონერებზე;
- მარტოხელა დედებზე;
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დაკრძალვის ნაწილობრივ ხარჯებზე;
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებზე;

აფხაზეთის მთავრობა 2009 წლიდან მუშაობს საპრეზიდენტო პროგრამის „ჩემი სახლის“ ფარგლებში გალისა და ოჩამჩირის გეო-მონაცემთა ბაზაში დევნილთა ქონებრივი მონაცემების ინტეგრირების საკითხზე. ამ მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატს გადასცა დევნილთა სიების ელექტრონული ვერსია და ქ. ოჩამჩირის ტოპოგრაფიული რუკა. პროგრამის შესასრულებლად მინისტრის აპარატს მიღებული აქვს, აგრეთვე, ქალაქების – ოჩამჩირისა და გალის კოსმოსური და საკადასტრო რუკები. მიმდინარეობს დევნილი მოსახლეობის მიერ დეკლარირებული უძრავი ქონების იდენტიფიკაცია ტოპოგრაფიულ რუკაზე, რაც „ჩემი სახლის“ პროგრამაზე ონლაინ რეჟიმში მუშაობის საშუალებას იძლევა. ამჟამად დასრულების ეტაპზეა გალისა და ოჩამჩირის საკადასტრო რუკებზე დევნილთა ქონებრივი მონაცემების შეტანა. პარალელურად მიმდინარეობს ქ. სოხუმის ქუჩებისა და დასახლებების მონაცემთა მონიტორინგი. ანალოგიური სამუშაოები დაგეგმილია აფხაზეთის დანარჩენი რაიონებისა და ქალაქებისათვის.

აფხაზეთის მთავრობა, 2009 წლიდან ახორციელებდა კომპაქტურ ჩასახლებებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგს, ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში სამშენებლო ფირმებს ეძლეოდათ სათანადო რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად. მთავრობის აქტიური ჩარევის შედეგად უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დროს დაშვებული ხარვეზები გასწორდა თელავში, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში. ასევე, აფხაზეთის მთავრობა დევნილთა რეაბილიტირებული კომპაქტური ობიექტების ტექნიკური მაჩვენებლების (ე.წ. პასპორტიზაციის) შექმნასთან დაკავშირებულ სამუშაოებს აწარმოებს. რომელიც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდება.

აფხაზეთის მთავრობისა და სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ კერძო კომპანიების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში განთავსებულ მთელ რიგ დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მოხდა შენობა-ნაგებობების გადახურვა, ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაცია, გამოსწორდა ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას დაშვებული სამშენებლო დაფიქტები. რიგ კომპაქტურ ჩასახლებებში მოგვარდა ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი. სოფელ წინწყაროში ჩასახლებული 10 ოჯახის სახლების კაპიტალური რემონტი ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა. ყველა ჩასახლებულ ოჯახს გადაეცა სრული საოჯახო ინვენტარისაგან შემდგარი პაკეტი და საყოფაცხოვრებო ნივთები (ავეჯი, მაცივარი, ტელევიზორი, სასოფლო-სამეურნეო სამუშაო იარაღები და ა.შ.), აგრეთვე, ფულადი დახმარება, საკვები პროდუქტები და ა.შ. ასევე, დევნილი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით:

- ქ. თბილისში ვაზისუბნის 165-ე ბაგა-ბაღში ჩასახლებული დევნილებისთვის გარემონტდა კანალიზაციის სისტემა;
- აღმოსავლეთ საქართველოში – ბოლნისის რაიონის სოფელ ქვემო ბოლნისში, აბელიანში, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ირაგაში, ალექსეევკაში, ნავთიანში, წინწყაროში, მარაბდაში, ტანძიასა და თბილისში ჩასახლებულთათვის წყალმომარაგების მიზნით, სოციალური პროგრამის ფარგლებში, 146 ოჯახისთვის 1 ტონა ტევადობის 83 ცალი ნელის ავზი, ნელის მილები, მავთულბადი და სამშენებლო მასალა შეისყიდა;
- ქ. ქუთაისში ჩასახლებული 98 ოჯახისთვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა გაზიფიცირების სამუშაოები;
- 103 ოჯახი, რომლებიც ვერ მოხვდნენ გაზიფიცირების სახელმწიფო პროგრამაში, უზრუნველყოფილ იქნა შეშით;
- 175 ოჯახს გაზის გამათბობელი გადაეცა;

ცენტრალური ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო დონორ ორგანიზაციებთან, კერძო კომპანიებთან და საქველმოქმედო ფონდებთან აქტიური თანამშრომლობით ხდება დევნილთა წინაშე მდგარი სხვადასხვა პრობლემის სრულად თუ ნაწილობრივ მოგვარება. ამ კუთხით აღსანიშნავია იმერეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტის“ თანამშრომლობა. განხორციელდა დევნილთა დასაქმების პროგრამა, რომლის შედეგად რეგიონში განსახლებული ასობით დევნილი დაეუფლა სხვადასხვა პროფესიას (მეცუტყრეობა, ბეჭდვითი-საგამომცემლო საქმე, სამშენებლო ფილების წარმოება, ავეჯის დამზადება) და მათი უმეტესობა დასაქმდა. ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობს თბილისა და ქვეყნის სხვა რეგიონებში.

აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სამხედრო-სავალდებულო და სამხედრო-სარეზერვო სამსახურში დევნილი მოქალაქეების განვევის ორგანიზება, რასაც იგი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი სამსახურების მეშვეობით ახორციელებს. საანგარიშო პერიოდში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში 813 ვადიან საკონტრაქტო სამსახურში კი 656 მოქალაქე იქნა განვევული. სამხედრო-სარეზერვო სამსახურში – 31, ალტერნატიულ სამსახურში – 6, სამხედრო აღრიცხვაზე იქნა აყვანილი – 714, სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი (2000 ლარი) გადაიხადა 12 მოქალაქემ.

აღნიშნული მიმართულების ფარგლებში აფხაზეთის მთავრობას დაგეგმილი აქვს შემდეგი პრიორიტეტების განხორციელება:

- ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის განმტკიცება, რაც უზრუნველყოფს დევნილთა შესახებ მიღებული კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების ცხოვრებაში რეალურად გატარებას;
- დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამის სრულყოფისათვის დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია;
- შრომისუნარიანი დევნილი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა;
- დევნილ ახალგაზრდობასთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, აფხაზეთის თემატიკით დაინტერესებული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ურთიერთობების გაღრმავება და

მათთან ერთად დევნილი მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების დაცვა;

- საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლის“ ფარგლებში მუშაობის გაგრძელება, ქ. სოხუმიდან დევნილთა უძრავი ქონების სამისამართო ბაზისა და 1992 წლამდე არსებული ქ. სოხუმის სატელეფონო სადგურის აბონენტთა სიის ელექტრონული ვერსიის შექმნა;
- სამხედრო-სავალდებულო და სარეზერვო სამსახურებში გაწვევის მონიტორინგი და მიღებული გეგმა-დავალებების შესრულება;
- აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის, ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების მიერ გასაცემი დასკვნების ერთიანი კომპიუტერული პროგრამის სრულყოფა.
- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ანკეტების შექმნა, სადაც დაფიქსირებული იქნება დემოგრაფიული და სხვა სახის ინფორმაციული მონაცემები.

2.2.3 აფხაზეთის მთავრობის ღონისძიებები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებებით

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებებით მთავრობამ გამოკვეთა შემდეგი პრიორიტეტები:

- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო ჯანდაცვის პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა; ინტენსიური თანამშრომლობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან;
- ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარების ხელშეწყობა (პირველადი ჯანდაცვის რეალი);
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა;
- დაავადებათა ადრეული გამოვლენა, დიაგნოსტიკა და დაავადებათა პროფილაქტიკა;
- დევნილი მოსახლეობის სამედიცინო აქტივობის (სამედიცინო ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მიმართვები) ამაღლებაზე ზრუნვა;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, მათი ოჯახის წევრების სადიაგნოსტიკო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- დევნილთა სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის ერთიანი საინფორმაციო (მონაცემთა) ბაზის შექმნა;
- დევნილთა სამედიცინო და სოციალური დახმარების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ოკუპირებულ გალის რაიონში სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის განვითარებისა და მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო-სარეაბილიტაციო დახმარება.

ამ პრიორიტეტების ფარგლებში, აფხაზეთის მთავრობის დაფინანსებით, საანგარიშო პერიოდში მოქმედებდა შემდეგი ჯანდაცვითი პროგრამები (რომელთა საერთო ლირებულებამ 979 200 ლარი შეადგინა და მოიცვა 60 000-ზე მეტი ბენეფიციარი).

სტაციონარული დახმარების, დევნილ ბავშვთა და მოზარდთა დამატებითი სადიაგნოსტიკო გამოკვლევების, ქალებში კიბოსწინარე დაავადებათა დიაგნოსტიკის, კატარაქტის ოპერაციული მკურნალობის, იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, შაქრიანი დიაბეტითა და მეტაბოლური სინდრომით დაავადებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა მულტიფაქტორული ინტერვენციის,

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო ინტე-გრირებული ბანაკის, დევნილთა სამედიცინო-სოციალური მდგომარეობის ანალიზის, გასვლითი პროფილაქტიკური გასინჯვების, სასკოლო ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სადიაგნოსტიკო გამოკვლევების, ბავშვთა და მოზარდთა ტონზილექტომიის, პუბერტატული პერიოდის დაავადებათა გამოვლენა და პრევენცია დევნილ გოგონებში, ი.გ.პ.-თა დამატებითი ამბულატორიული დახმარების - ლაბორატორიული და სადიაგნოსტიკო გამოკვლევების კომპონენტი, ომის ვეტერანთა პროთეზირების კომპონენტი, მშობიარობის ხელშეწყობის კომპონენტი, ბავშვთა სტაციონარული მკურნალობისა და რეაბილიტაციის, ქალებში HPV გენოტიპირებისა და დაავადებების დიაგნოსტირების, ი.გ.პ.-თა ერთიანი ელექტროონული ბაზის შექმნის, ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოყვანილი ავადმყოფების დახმარების, ადენოიდექტომიის კომპონენტი, ონკოპათოლოგიების ქიმიოთერაპიული მკურნალობის კომპონენტი, კორონალური ანგიოგრაფიითა და ანგიოპლასტიკით მომსახურების კომპონენტი, მაგნიტო-რეზონანსული გამოკვლევების კომპონენტი, სარეაბილიტაციო მკურნალობის კომპონენტი, ადამიანის პაპილომა ვირუსზე გენოტიპირებისა და ვაქცინაციის კომპონენტი, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, დევნილი სამედიცინო პერსონალის გადამზადების, კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევების კომპონენტი და სამედიცინო დახმარების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობის პილოტური პროგრამა.

ჯანდაცვითი პროგრამების გარდა, აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და შუამდგომლობის საფუძველზე ი.გ.პ.-თვის არაერთი დამატებითი სამედიცინო ხასიათის ღონისძიება განხორციელდა. მაგ: „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრ-თან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში თბილისში განხორციელდა „მამოგრაფიული სკრინინგისა და გინეკოლოგიური ონკოპრევენციის პროგრამა“, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს პირველი ლედის ქალბატონ სანდრა ელისაბედ რულოვსის პატრონაჟით, გაერო-ს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) კოორდინაციითა და თბილისის მერიის დაფინანსებით. სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 3465 დევნილმა ქალმა.

აფხაზეთის მთავრობამ შვედეთის სამეფო აკადემიასა და სტოკოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციასთან ერთად ჩაატარა სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ღონისძიება სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში, ასევე, თბილისში; დიაგნოსტირებულ იქნა 290 სმენადაქვეითებული დევნილი. მათთვის შვედეთში სპეციალურად დამზადდა თანამედროვე ძვირადლირებული სმენის აპარატები.

დევნილი სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამით მოხერხდა გალის რაიონის სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის (სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების ექიმები და მედიდები) გადამზადება აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ბაზაზე. პროგრამის განხორციელებისას აქცენტები გადატანილი იყო გადაუდებელი მდგომარეობის დროს სამედიცინო დახმარების ოპერატორი, კვალიფიციური დახმარების განვის თეორიულ და პრაქტიკულ (ალგორითმული ქმედებები) ასპექტებზე. სულ გადამზადდა 23 ექიმი და 24 ექთანი.

აფხაზეთის მთავრობა აკადემიკოს 6. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკისათან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პერსონალის გადამზადების პროგრამას, რომლის მიზანია გადაუდებელი მედიცინის თანამედროვე მიდგომების თეორიული და პრაქტიკული უნარჩვევების სწავლება. ციკლის ხანგრძლივობა ექიმებისთვის შეადგენს 49 დღეს. საანგარიშო პერიოდში გადამზადდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სასწრაფო დახმარების სამსახურის 8 მედიკოსი.

გრძელდება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის პროგრამა, რომლის ფარგლებში განხორციელდა იმერეთის რეგიონში (ხონი, სამტრედია, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, ბალდათი) კომპაქტური ჩასახლების 57 ობიექტის აღწერა, ანკეტირებულია 771 ოჯახი. აღსანიშნავია, რომ ბაზაში დარეგისტრირებულ პირებს საშუალება ექნებათ ერთიორად სწრაფად მიიღონ სამედიცინო მომსახურება.

აფხაზეთის მთავრობის მონაწილეობით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელიც აფხაზეთიდან გადმოყვანილი პაციენტების სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პროცედურული სირთულეების მნიშვნელოვნად გაიოლებასა და ოპერატიულად მოგვარებაზე მუშაობდა. რის შედეგად მაქსიმალურად გამარტივდა საქართველოს მოქალაქის პირადობის ან ნეიტრალური მოწმობის აღების პროცედურები.

აფხაზეთის მთავრობასა და საქართველოში იაპონიის საელჩოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მიღებული გრანტით (100 ათასი ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში) შესაძლებელი გახდა ავარიული პოლიკლინიკის (კალოუბნის ქ.№16) საძირკვლის გამაგრებითი, მზიდი კედლების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლის, აგრეთვე, პირველადი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. რის შედეგადაც ი.გ.პ.-ებს საშუალება მიეცათ ნორმალურ პირობებში მიიღონ სამედიცინო მომსახურება.

ჯანდაცვის სფეროში აფხაზეთის მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანი სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობის ხელშეწყობაა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაწესებულებების ქსელი დღეს მდგომარეობით ასეთია:

ქ. თბილისში ფუნქციონირებს:

- შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი – „დიოსკურია“;
- შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი – აფხაზეთი;
- შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი;
- შპს დევნილთა წყნეთის პოლიკლინიკა;
- შპს დევნილ ქალთა კონსულტაცია;
- შპს დევნილთა ფსიქონევროლოგიური კლინიკა;
- შპს იგპ-თა ოფთალმოლოგიური კლინიკა;
- სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულება – ზემო აფხაზეთის საავადმყოფო.

იმერეთის რეგიონში დევნილებს ემსახურება:

- შპს დევნილთა ქუთაისის პოლიკლინიკა;
- შპს დევნილთა წყალტუბოს პოლიკლინიკა.

სამეგრელოს რეგიონში ფუნქციონირებს:

- შპს დევნილთა სენაკის პოლიკლინიკა;
- შპს დევნილთა ფოთის პოლიკლინიკა;
- შპს დევნილთა ხობის პოლიკლინიკა;
- შპს დევნილთა ზუგდიდის პოლიკლინიკა;
- შპს დევნილთა ჯვარის საექიმო ამბულატორია.

თეთრიწყაროს რაიონის სოფ. კოდაში – ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულია 274 ექიმი, 177 მედდა, 55 სხვა პერსონალი, სულ – 506 ადამიანი.

საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში – „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ ჩაიწერა, რომ ჯანდაცვის მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტია და საქართველოს მოქალაქეებისთვის არსებული შეღავათები განკუთვნილია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვისაც; შესაბამისად, პირადობის დამადასტურებელი ნეიტრალური მონმობის მქონე პირებს შეეძლებათ სამედიცინო მომსახურებით მთელი ქვეყნის მასშტაბით ისარგებლონ.

საქართველოს მთავრობის მიერ ამ დოკუმენტების დამტკიცებამდე და მისი ამოქმედების შემდეგ აფხაზეთის მთავრობამ ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობისთვის ისევე, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ღონისძიებათა მთელი კომპლექსი განახორციელა; მათ შორის ადგილზე სამედიცინო დაწესებულებების ქსელის განვითარება და გაფართოება, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ადგილზე დამატებითი სამედიცინო დახმარების აქციების ჩატარება. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის მიზნით რეგიონში გაიგზავნა ექიმთა ჯგუფი, რომელმაც ასობით პაციენტს, მათ შორის, ეთნიკურ აფხაზს, გაუწია კონსულტაცია, აგრეთვე, ჩაუტარა ოპერაციული მკურნალობა.

აფხაზეთის მთავრობის სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამედიცინო მომსახურების არეალი ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

კერძოდ, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამედიცინო დაწესებულებები:

1. გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფო;
2. გალის საექიმო ამბულატორია;
3. გალის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური;
4. ოტობაიის საექიმო ამბულატორია;
5. ოტობაიის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური;
6. ნაბაკევის საექიმო ამბულატორია;
7. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური;
8. ოქუმის საექიმო ამბულატორია;
9. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური;
10. მზიურის საექიმო ამბულატორია;
11. საბერიოს საექიმო ლაბორატორია;
12. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური;
13. ზემო-ბარლების საექიმო ამბულატორია;
14. ქვემო-ბარლების საექიმო ამბულატორია;
15. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური;
16. აჩიგვარის საექიმო ამბულატორია;
17. თაგილონის საექიმო ამბულატორია;
18. დიხაზურგის სამედიცინო პუნქტი;
19. რეფის საექიმო უბანი(სოფლის ექიმის პროგრამა).

გალის რაიონში გაიხსნა ახალი სამედიცინო დაწესებულებები: ოქუმისა და ქვემო ბარლების სასწრაფო სამედიცინო დახმარებების სამსახურები, რეფის საექიმო ამბულატორია, ხოლო გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს სასწრაფო სამედიცინო სამსახურს დაემატა მეორე ბრიგადა. ამით მნიშვნელოვნად გაიზარდა გალის ჯანდაცვის ქსელის ოპ-

ერატიულობა, შესაძლებელი გახდა რაიონის სიღრმეში მოსახლეობისთვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენა. იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის სამედიცინო დაწესებულება, რაიონის ჯანდაცვის ძალებით ტარდება გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო ლონისძიებები. მიმდინარეობს მუშაობა გალში თანამედროვე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის შექმნის თაობაზე.

გალის რაიონის სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული საექიმო და საშუალო სამედიცინო პერსონალის საერთო რაოდენობა 360 ადამიანს შეადგენს. მთავრობამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა გალის ახალი სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან სამედიცინო-საკადრო რესურსების ოპტიმალურ განლაგებასთან დაკავშირებით. ამრიგად, არაორდინალურ ვითარებაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულებისთვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მოქნილი სისტემა შეიქმნა.

აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის № 181 დადგენილებით „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 დეკემბრის № 385 დადგენილებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ გამარტივდა კანონით განსაზღვრული სალიცენზიო პირობები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისთვის. შესაბამისად, მოიხსნა მოსახლეობის გადაუდებელი პრეპარატალური სამედიცინო დახმარების მოშლის შესაძლებლობა.

აფხაზეთის მთავრობას საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთიდან მეურნალობის მიზნით 335-მა აფხაზმა მომართა, რომელთაც უშუალოდ მთავრობას დაქვემდებარებულ კლინიკებში ან შუამდგომლობის საფუძველზე სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო კლინიკებში შესაბამისი სამედიცინო დახმარება თბილისისა და რეგიონების კლინიკებში გაეწიათ.

თბილისისა და რეგიონების კლინიკებში მაღალტექნოლოგიური სადიაგნოსტიკური გამოკვლევები ჩაუტარდა კიდევ ასობით აფხაზს, ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა აფხაზეთიდან გადმოყვანილი პაციენტის რეანომობილით ტრანსპორტირება ენგურის ხიდიდან თბილისამდე ან ქუთაისამდე, რაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანადგომით ხორციელდებოდა. ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაში მყოფმა ქართულმა სარეანიმაციო ბრიგადამ 2012

წლის პირველ ნახევარში მძიმე ავადმყოფის ტრანსპორტირება ორჯერ სოხუმიდანაც უზრუნველყო.

აფხაზეთის მთავრობა იძულებით გადაადგილებული, აგრეთვე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის სისტემატური ანალიზის საფუძველზე, ახორციელებს თავისი საქმიანობის ყოველნლიურ კორექტირებას, აგრეთვე, ქვეყნის სამედიცინო პოლიტიკასთან თავისი სტრატეგიული ხედვების შეჯერებას და მის რეალიზაციაში აქტიურად მონაწილეობს.

2.2.4 მთავრობის ღონისძიებები განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში

აფხაზეთის მთავრობა აღნიშნულ სფეროში თავის საქმიანობას რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით წარმართავს. ეს მიმართულებებია:

- დევნილი ახალგაზრდების გააქტიურება სამშვიდობო ინიციატივების მეშვეობით განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში, როგორც ოკუპირებული გალის რაიონის, ასევე, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე;
- საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სასკოლო ბიბლიოთეკების თანამედროვე სახელმძღვანელოებითა და სხვა მასალით უზრუნველყოფა, ლაბორატორიებისა და სპორტული ინვენტარის განახლება;
- აფხაზეთის ახალგაზრდების სამშვიდობო ხედვებით აღზრდა;
- აფხაზეთის ა/რ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აფხაზური ენის პოპულარიზაცია, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულის ენის სწავლების ხელშეწყობა და განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია; სამშვიდობო კულტურის დანერგვა; მსოფლიო გლობალურ სამშვიდობო ქსელში ჩართვა, ქვეყნის სამშვიდობო იმიჯის განმტკიცება; აფხაზეთის ახალგაზრდების „მომავლის რესურსად“ გაზრდა – კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი და თანამედროვე განათლებით;
- აფხაზეთის სამეცნიერო წრეების მიერ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის აფხაზეთის თემატიკაზე ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მხარდაჭერა; სპორტისა და სპორტული ცხოვრების განვითარება;
- კონფლიქტის ზონის პედაგოგებისთვის საგნობრივი ტრენინგების პროგრამების განხორციელება და ა.შ.

აფხაზეთის ა/რ მთავრობა ხელს უწყობდა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დანერგვას მის დაქვემდებარებაში მყოფ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში. ცდილობდა დევნილი ახალგაზრდებისათვის შეექმნა ხარისხიანი განათლების მიღებისათვის საჭირო სათანადო სასწავლო პირობები და გარემო, რისთვისაც განახორციელა „განათლების ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის ძირითად მიმართულებასა და მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთის საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების ხარისხისა და მათი კონკურენცუნარიანობის გაზრდის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება (მათ შორის ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის).

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული პრიორიტეტები იყო:

- სამშვიდობო კულტურის დანერგვისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება აფხაზეთის საჯარო სკოლებში;
- სახელობო სწავლების პროგრამებისა და მის ფარგლებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება/ გაუმჯობესების მიმართულებით სასკოლო ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- ოკუპირებული ტერიტორიის აბიტურიენტთა კონკურენცუნარიანობის გაზრდის მიზნით მოსამზადებელი ცენტრის გახსნა;
- დევნილი პედაგოგების პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით სამუშაო შეხვერდების ორგანიზება განათლების პოლიტიკის შექმნელებთან;
- იგპ-თა განათლების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალური კვლევების განხორციელება;
- სკოლების მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების გათვალისწინებით ინვენტარის შეძენა;
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით პედაგოგების სათანადო ცოდნითა და მიდგომებით აღჭურვა/მომზადება;
- პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციის, კარიერის დაგეგმვის მიმართულებით უფროსკლასელთათვის ტრენინგების ჩატარება.

აფხაზეთის მთავრობის მიერ „განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული ქვეპროგრამები იყო:

1. წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის მიზანი აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა კონკურსსა თუ ფორუმში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მათი სწავლების ხარჯების ანაზღაურება იყო. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 285-მა ახალგაზრდამ.

2. „მწიგნობართა კლუბი“

პროგრამის მიზანი იყო აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის წიგნის კითხვის კულტურის დანერგვა და პოპულარიზაცია.

სკოლებში ეწყობოდა წიგნების კითხვის საღამოები და იმართებოდა დისკუსიები წაკითხული ნაწარმოებების ირგვლივ. მწიგნობართა კლუბების მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით უზრუნველყოფა ისევე, როგორც ფონდის განახლება, სკოლებისა და მობილური ბიბლიოთეკების მეშვეობით ხდებოდა. მოეწყო არაერთი შეხვედრა საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებთან, მწერლებთან, მეცნიერებთან.

3. „წლის მოსწავლე“

პროგრამის მიზანი აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეთა წახალისება და მოტივაციის გაზრდა იყო, მოსწავლეთა თვითორეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სასწავლო-შემოქმედებით და შემეცნებით-ანალიტიკურ საქმიანობაში აქტიური ჩართვა იყო. ქვეპროგრამის ფარგლებში აფხაზეთის საჯარო სკოლებში ტარდებოდა კონკურსი „წლის მოსწავლე“. კონკურსის ფინალისტებს სამახსოვრო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცემოდათ.

4. „ოკუპირებული ტერიტორიის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის გახსნა“

აფხაზეთის მთავრობის მიერ გათვალისწინებულ იქნა კონფლიქტის ზონის მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მზადყოფნა და სურვილი, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქცეულიყვნენ, სწავლა გაეგრძელებინათ და პროფესიას დაუფლებოდნენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, შემუშავდა სამოქმედო გეგმა და პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა კონფლიქტის ზონის აბიტურიენტთა მომზადებას ძირითად სასწავლო დისციპლინებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო-ენა (რუსული) და ზოგადი უნარ-ჩვევები. პროექტის შინაარსი შემუშავდა აბიტურიენტთა საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 225-მა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა აბიტურიენტმა.

5. „აფხაზეთის საჯარო სკოლებისა და ოკუპირებული ზონის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური დახმარება“

პროგრამის მიზანი, სკოლების საჭიროებებიდან გამომდინარე, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით დახმარება იყო. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის 15 სკოლას გადაეცა სასკოლო ინვენტარი.

აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დახმარების პროგრამით განხორციელდა აფხაზეთის 5 საჯარო სკოლის ახალი სასწავლო ინვენტარით აღჭურვა.

გალის რაიონში მოქმედ 31 სკოლის პედაგოგებს დაურიგდათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოები „განვითარებისა და სწავლის თეორიები“, „სწავლების შეფასება“, „ეფექტური სწავლება სკოლაში“, „მასწავლებელთა კომპეტენციის ჩარჩო“.

აფხაზეთის საჯარო და გალის რაიონში მოქმედ სკოლებს დაურიგდათ სასწავლო გეგმები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მათ შორის „ისტორიის სწავლება სხვადასხვა ხედვის გამოყენებით – სახელმძღვანელო მასწავლებლისთვის“.

აფხაზეთის მთავრობამ „ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში უზრუნველყო აფხაზეთის საჯარო, ოკუპირებული გალის რაიონისა და ზემო აფხაზეთის 1171 პედაგოგის და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დაზღვევა.

6. „კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლებისა და სკოლებში სახელობო-შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობა“

პროექტის მიზანი უფროსკლასელ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის არჩევასა და კარიერის სწორად დაგეგმვაში დახმარება, სკოლებში არსებული სახელობო პროგრამების განხორციელება-განვითარება და სასკოლო ინიციატივების წახალისება იყო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება მიეცათ განათლების მიღების პროცესში დაუფლებოდნენ მათთვის სასურველ სპეციალობებს, შეეძინათ და განევითარებინათ მცირე ბიზნესისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. სახელობო სპეციალობებს შორის შეირჩა კერვის, კომპიუტერული ოპერატორ-დამკაბადონებლის, გობელენის

ქსოვის, გალვანიკისა და ტიხრული მინანქრის მიმართულებები. მოეწყო სკოლების მოსწავლეების მიერ შესრულებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. პროგრამის დასრულების შემდეგ მათზე გაიცა სახელობო სპეციალობების სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

აფხაზეთის მთავრობასა და პროფესიული სწავლების ცენტრ „სპექტრის“ თანამშრომლობის ფარგლებში თბილისში მცხოვრები ეთნიკური აფხაზებისთვის განხორციელდა კომპიუტერის შემსწავლელი კურსები.

მთავრობისა და გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის თანამშრომლობის შედეგად აღნიშნულ ბაზაზე აფხაზეთის საჯარო სკოლებისთვის ფუნქციონირებდა „შაბათის სკოლა“, სადაც 80-მდე მოსწავლე (მათ შორის 5 ეთნიკური აფხაზი) 20-ზე მეტ თემატურ კლასში მეცადინებდა.

7. ონკლუზიური განათლება. ტრენინგები და საგანმანათლებლო პროგრამები

პროექტის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის პროცესის წახალისება, მათი გონიერი და ფიზიკური აქტივობის გაზრდა იყო. მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის წმინდა ადგილების მოსალოცად არაერთხელ მოეწყო ექსკურსია. ასევე, პედაგოგები სისტემატურად მონაწილეობდნენ სპეციალურ ტრენინგ-პროგრამებში, სადაც მოსწავლეებთან და მოზარდებთან მუშაობისა და ურთიერთობისთვის აუცილებელ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეუფლებოდნენ. მომზადდა და დაიბეჭდა სათანადო ლიტერატურა - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და სასწავლო სტრატეგიები“. ბროშურა დაურიგდა ტრენინგის ყველა მონაწილეს და გადაეცა აფხაზეთის სკოლების ბიბლიოთეკებს, გალისა და ზემო აფხაზეთის რესურს-ცენტრებს.

აფხაზეთის საჯარო, აგრეთვე ოკუპირებული რეგიონის სკოლებს დაურიგდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმა – 2009“, კრებული „ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2009“, „როგორ მოვემზადოთ ეროვნული გამოცდებისთვის“, სპეციალური ლიტერატურა „რელიგიური მრავალფეროვნება და ინტერკულტურული განათლება – სახელმძღვანელო სკოლებისთვის“, დებულება სასწავლო – შემოქმედებითი კონფერენციისა „მე მიყვარს ჩემი ანბანი“.

აფხაზეთის საჯარო სკოლებში განხორციელდა სამშვიდობო განა-

თლების ნოვატორული კონცეფცია. 400 ბავშვის მონაწილეობით ჩატარდა მარათონი „მშვიდობისათვის“. მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აფხაზეთის საჯარო სკოლებში მშვიდობის გაკვეთილები გაიმართა. ჩატარდა ტრენინგი მშვიდობის თემაზე, მოსწავლეებს დაურიგდათ წიგნები „გზა უფლებებისაკენ“.

აფხაზეთის მთავრობამ უზრუნველყო ევროპის საბჭოს მეთოდური სახელმძღვანელოს, „კომპასიტოს“ მიხედვით ადამიანის უფლებათა სფეროში აფხაზეთის საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგების გადამზადება.

მთავრობის ინიციატივითა და მალოპოლსკას საგანმანათლებლო საზოგადოების (MTO) ორგანიზებით ქალაქ ზუგდიდში, აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის ბაზაზე, ჩატარდა ერთკვირიანი ტრენინგი, რომელშიც აფხაზეთის საჯარო სკოლების პედაგოგები და ამავე სკოლების სამეცურვეო საბჭოს წევრი მშობლები მონაწილეობდნენ. ტრენინგი გაიარა 16 პედაგოგმა და მშობელმა. ტრენინგი პროექტის „მშობელი – მასწავლებელი ასოციაციები მოქმედებაში“ ფარგლებში ჩატარდა, რომლის მთავარი თემა სოფლის მშენებლობა და თემის განვითარება იყო.

აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეებს ჩაუტარდათ სამოქალაქო განათლების ტრენინგები.

8. ინოვაციური პედაგოგი

პროგრამის მიზანი აფხაზეთის საჯარო სკოლების პედაგოგების წახალისება და მათი პროფესიული პოტენციალის განვითარება იყო. სკოლის დირექცია ნომინაციაზე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის საგნობრივი კათედრების მიერ გამოვლენილ კანდიდატებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმის მიხედვით წარადგენდა, სპეციალური კომისია კი გამარჯვებულებს წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად გამოავლენდა. ჯამში დაჯილდოვდა 14 პედაგოგი.

9. სამშვიდობო ბანაკი

ქვეპროგრამა წარმოადგენდა აფხაზეთის მთავრობის სამშვიდობო სტრატეგიის ნაწილს, რომელიც, თავის მხრივ, აშშ-ის, კოლუმბიის უნივერსიტეტის განათლების სკოლის მეცნიერების მიერ ჩამოაყალიბებულ სამშვიდობო განათლების კონცეფციიდან გამომდინარეობდა და სამშვიდობო განათლების, ტრენინგ-სემინარების ფორმატში სწავლებას გულისხმობდა; პროგრამა მიზნად ისახავდა ბენეფიციარებში ტოლერანტო-

ბის განვითარებასა და მათ საზოგადოებაში ინტევრიორების ხელშეწყობას; გონიერივად და ინტელექტუალურად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდას; დევნილი მოსწავლეების დასვენებასა და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. პროგრამით ისარგებლა 110-მა ბენეფიციარმა.

აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების ოქროსა და ვერცხლის 18-მა მედალოსანმა მთავრობის ხელშეწყობით ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა; სამშვიდობო სტრატეგიის ფარგლებში მოეწყო სამშვიდობო განათლების სკოლა – ბანაკი მშვიდობიანი და ჯან-საღი მომავლისათვის.

10. სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოებით დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 2 600 ლარის სახელმძღვანელოები.

11. აფხაზური ენის შესწავლისა და ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მიზანი მსურველთათვის აფხაზური ენის სწავლების ხელშეწყობა იყო. შეიქმნა აფხაზური ენის შესასწავლი ელექტრონული ვერსია. პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის რამდენიმე საჯარო სკოლაში შემოღებულ იქნა აფხაზური ენის სწავლება. სამშვიდობო განათლების სტრატეგიის ფარგლებში აფხაზეთის № 1 საჯარო სკოლაში არჩევით საგნად დაიწყო აფხაზური ენის სწავლება. აფხაზურ ენას 56 მოსწავლე ეუფლება.

12. აფხაზეთის საჯარო სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია. შეხვედრა-დიალოგი პედაგოგებთან და განათლების სისტემის მუშაკებთან

ვინაიდან განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები პედაგოგებში მრავალ კითხვას ბადებდა, პროგრამის მიზანი იყო შექმნილიყო საუკეთესო პირობები თითოეული პედაგოგისათვის საკუთარი თავის რეალიზებისა და ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარებისათვის, რაც ერთიორად გაუადვილებდა მათ განათლების სისტემაში დანერგილი ახალი სტანდარტების აპრობირებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაიმართა აფხაზეთის მასწავლებელთა მე-3 კონფერენცია, რომელშიც აფხაზეთის საჯარო სკოლების, ოკუპირებული ტერიტორიისა და ზემო აფხაზეთის პედაგოგები მონაწილეობდნენ. საჯარო სკოლის პედაგოგებმა წარმოადგინეს მოხსენებები, რომლებიც სხვადასხვა საგნის სწავლის მიზანის და მას განვითარების მიზანის დამატებითი მიზანის განვითარების მიზანის და მათ საზოგადოებაში ინტევრიორების ხელშეწყობას; გონიერივად და ინტელექტუალურად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდას; დევნილი მოსწავლეების დასვენებასა და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. პროგრამით ისარგებლა 110-მა ბენეფიციარმა.

ლეპისას, განათლების რეფორმის ფარგლებში, სწავლების ინოვაციური მეთოდ-ხერხების დანერგვასა და პრატაქტიკულ გამოყენებას ეხებოდა.

პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლებს დაურიგდათ „მასწავლებლის სტანდარტი“, აფხაზეთის საჯარო სკოლების პედაგოგები ჩაერთნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულ „მასწავლებელთა პოფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამაში“. პირველ ეტაპზე დაფინანსდა პროგრამები საბაზო და საშუალო სკოლის ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენების მასწავლებელთათვის. ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გადამზადდა აფხაზეთის საჯარო სკოლის 191 და ოკუპირებული ტერიტორიის 445 პედაგოგი.

აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და ნორვეგის ლტოლვილთა საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს ტრენერ-პედაგოგთა კავშირმა „ლამპარმა“ ქ. ზუგდიდში გალის რაიონის ინგლისური ენის პედაგოგებისთვის ტრენინგი ჩაატარა. ასევე ყველა საგანში კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები განხორციელდა თბილისში არსებული აფხაზეთის №2, №3 და №8 საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის.

ზემოხსენებული პროგრამების განხორციელებამ ხელი შეუწყო აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების ინტელექტუალურ წარმოჩენას, რაზეც სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობენ:

2009 წელს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან ოქროსა და ვერცხლის მედალზე სკოლა დაამთავრა 37-მა მოსწავლემ: 3 - ოქრო, 34 - ვერცხლი.

2010 წელს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან ოქროსა და ვერცხლის მედალზე სკოლა დაამთავრა 23 – მა მოსწავლემ: 4 – ოქრო, 19 – ვერცხლი.

2011 წელს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან ოქროსა და ვერცხლის მედალზე სკოლა დაამთავრა 10-მა მოსწავლემ: 3 – ოქრო, 7 – ვერცხლი.

2012 წელს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან ოქროსა და ვერცხლის მედალზე სკოლა დაამთავრა 9-მა მოსწავლემ: 1 – ოქრო, 8 – ვერცხლი.

აფხაზეთის მთავრობის ინიციატივით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ჩარიცხული სტუდენტებისთვის, სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისათვის, გამოიყო კვოტა – 100 სტუდენტი.

აფხაზეთის მთავრობა ახორციელებდა ოკუპირებულ რეგიონში სკოლადამთავრებულთა საშუალო განათლების აღიარებას, რისთვისაც შექმნილი იყო სპეციალური კომისია. საანგარიშო პერიოდში, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, აღიარებულ იქნა 405 პირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული სრული ზოგადი განათლება, 17 პირის საბაზო განათლება და 26 მოსწავლის მიერ სხვადახვა კლასში მიღებული განათლება.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საფუძველს მისი მოქალაქეების ღირებულებები წარმოადგენს, რომლებიც ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით არის განპირობებული. შესაბამისად, ახალგაზრდების განვითარება და დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბება სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ პრიორიტეტის ფარგლებში აფხაზეთის მთავრობის მიერ შემდეგი ქვეპროგრამები განხორციელდა:

1. ქვეპროგრამა „შეიცანი სამშობლო“

საბავშვო არქეოლოგია: აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები მცხეთაში – სამთავროს ველზე გაეცნენ არქეოლოგიური გათხრების წარმოებისა და მოძიებული არქეოლოგიური მასალის დათარიღების მეთოდებს. ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ იმიტაციური გათხრების პროცესში, რაც მნიშვნელოვანია მათი ინფორმირებულობისა და მომავალი საქმიანობის სწორად დაგეგმვისთვის. მცხეთაში, კავკასიაში უდიდესი სამაროვანის ისტორიულ გათხრებში აფხაზეთის ა/რ №2 და №3 საჯარო სკოლების 45 მოსწავლე მონაწილეობდა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა დაათვალიერეს დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალიც.

ექსკურსია კახეთის რეგიონში: აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლებისა და ოკუპირებულ გალის რაიონში არსებული საშუალო სკოლების მედალოსანი კურსდამთავრებულები და წარმატებული ახალგაზრდები ექსკურსიით კახეთში იმყოფებოდნენ, ქვეპროგრამის მიზანი მათი წახალისება და საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა-დათვალიერება იყო.

გამწვანების აქცია: გამოხმაურება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურთხევაზე „დარგე 12 ხე წელი-წადში“. ლონისძიების მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლებისა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოზარდების მონაწილეობა ქ. თბილისის შემოგარენის გამწვანებასა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაში. მასში აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლებისა და

ადგილობრივი საჯარო სკოლების მოსწავლეები, აფხაზეთის ა/რ მთავრობის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

2. ქვეპროგრამა: „საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესის მიერ აღიარებული დღესასწაულებისადმი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები“

აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში 200-მდე მოზარდმა გორის რაიონის სოფ. ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი დაათვალიერა. მათ მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მუსიკალურ, საგანმანათლებლო (კალიგრაფიისა და ხატვის კონკურსები) და სპორტულ ღონისძიებებში.. კონკურსებში გამარჯვებულები სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების მოსწავლეებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. ღონისძიების მიზანი იყო მოზარდებში საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და პატრიოტული ცნობიერების ამაღლება.

მთავრობის ორგანიზებით აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების 50-მდე მოსწავლემ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, ეროვნული გალერეა და ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი დაათვალიერა. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოს ისტორიაზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე, ეთნოლოგიასა და პოლიტოლოგიაზე, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლებას საქართველოსა და სხვა ერების აწმყოსა და წარსულზე.

3. განსხვავებული სოციალური კატეგორიის ადამიანებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების ქვეპროგრამა:

აფხაზეთის მთავრობამ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანატოლებთან შეხვედრა უზრუნველყო. მოზარდებმა აფხაზეთში მცხოვრებ თანატოლებს საჩუქრად სუვენირები და მისალოცი ბარათები გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დახმარებით გაუგზავნეს.

4. „ინტელექტუალური განვითარების ხელშემწყობი ქვეპროგრამა”

აფხაზეთის მთავრობამ, ინტელექტუალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების გამოვლენისა და წახალისების მიზნით, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის დააწესა ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?“. კონკურსში მონაწილეობა მიღეს აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლებისა და ადგილობრივი სკოლების, ასევე, ოცუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების 400-მა დევნილმა მოსწავლემ. შეიქმნა „რა? სად? როდის?“ აფხაზეთის სასკოლო ლიგა.

მთავრობამ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან“ თანამშრომლობით, „მოზარდთა ლიდერობის პროგრამის“ ფარგლებში, 30 მოზარდს საზოგადოებრივი საკითხების, ლიდერობის, საპრეზენტაციო უნარ-ჩევევების მიმართულებით ტრენინგ-კურსები ჩაუტარა.

აფხაზეთის მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ამომრჩევლის“ თანამშრომლობით, „აფხაზეთის მოზარდთა ლიდერობის პროგრამის“ ფარგლებში, მოზარდებმა გაიარეს ტრენინგი თემაზე „პოლიტიკური და საარჩევნო ტექნოლოგიები“. ტრენინგ-პროგრამის მიზანი იყო ახალგაზრდების ინფორმირება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე არჩევნების როლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

5. „მოზარდებში წიგნიერებისა და მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშემწყობი ქვეპროგრამა“

ქვეპროგრამის მიზანი იყო ახალგაზრდებში მეცნიერული კვლევებისადმი ინტერესის გაღვივება და გამოჩენილი მოღვაწეების პოპულარიზაცია.

აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია: „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ზურაბ ანჩაბაძის სულისკვეთებით“.

აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკონფერენციო მასალები ზურაბ ანჩაბაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

კონკურსი: „წლის საუკეთესო თხზულება“.

მთავრობის ორგანიზებით აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისთვის ჩატარდა კონკურსი „წლის საუკეთესო თხზულება“ თემაზე – „ოკუპაციიდან დეოკუპაციამდე“. კონკურსში 230-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. გამოვლინდა საუკეთესო ნამუშევრები, რომლებიც დიპლომებითა და ფა-

სიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა.

აფხაზეთის მთავრობის ეგიდით გამოიცა სამეცნიერო კრებული „რუსიფიკატორული პოლიტიკა და ეთნოლინგვისტური ვითარება აფხაზეთში XIX-XXI სს.“, რომლის მიზანს წარმოადგენდა მეცნიერული შესწავლა იმ გარემოებისა, რამაც განაპირობა კონფლიქტი აფხაზეთში XX საუკუნის ბოლოს.

6. ქვეპროგრამა: „ავიმალლოთ კვალიფიკაცია“

აფხაზეთის მთავრობამ „საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე“ ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყო ქ. გორში 50 მოზარდისთვის თანამედროვე სტანდარტების მქონე საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და კრინიცის ეროვნული სასწავლო ცენტრის დათვალიერება. მოსწავლეები ადგილზე გაეცნენ აკადემიაში ჩაბარების შესაძლებლობებსა და საბაკალავრო პროგრამებს.

სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკისა და მათი ფუნქციების გაცნობის მიზნით აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლეებმა ქ. ზუგდიდში სასამართლოს შენობა დაათვალიერეს. მოსწავლეები სასამართლოში მიმდინარე სამუშაო პროცესსა და სასამართლო სფეროში განხორციელებულ რეფორმებს გაეცნენ.

აფხაზეთიდან დევნილი 40 მოსწავლე პოლიციის ეროვნულ აკადემიას ეწვია. მოზარდებმა აკადემიის სასწავლო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და პოლიციის სამშვიდობო ფუნქციებს ადა განხორციელებულ რეფორმებს გაეცნენ.

მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის განხორციელებული კულტურული ღონისძიებები

აფხაზეთის მთავრობისა და თბილისში მოქმედი თეატრებისა და კინოთეატრების თანამშრომლობით დევნილი მოზარდებისთვის არაერთი საქველმოქმედო სპექტაკლი და კინოჩენება გაიმართა, რომელთაც ათასობით მოსწავლე დაესწრო.

ქ. თბილისში განთავსებული აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლებისა და დევნილი მოზარდებისათვის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიმართა შემეცნებითი საუბარი თემაზე: „საქველმოქმედო საქმიანობა აფხაზეთში 1900-1917 წლებში“. შეხვედრაში მონაწილეობდა 50-მდე მოსწავლე. ისინი აფხაზეთში მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას გაეცნენ.

აფხაზეთის მთავრობამ თვითმართველობის პროგრამის „მიიღე ცოდნა შენი დასაქმებისათვის“ პროგრამის ფარგლებში კომპიუტერის პროგრამების შესწავლის მიმართულებით 520 დევნილის გადამზადება უზრუნველყო.

„აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“

აფხაზეთის მთავრობამ სამეცნიერო საქმიანობაში დახმარება გაუნია 17 მეცნიერს, რის შედეგადაც გამოიცა 12 წიგნი, დაფინანსდა ერთი კვლევა, გაიცა ერთი სამოგზაურო გრანტი, ორგანიზება გაუკეთდა 2 სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას.

„ხელოვნებისა და სპორტული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“

აფხაზეთის მთავრობამ დააფინანსა 320 აფხაზეთიდან დევნილი ბავშვის სწავლა სახელოვნებო და სპორტულ სკოლებში. „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების ფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში დახმარება გაუნია გალის რაიონის 6 საბავშვო ბალის, მუსიკალური და სამხტვრო სკოლების 90-მდე პედაგოგსა და ტექნიკურ მუშაკს.

„გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების ფინანსური დახმარების პროგრამა“

აფხაზეთის მთავრობის მიერ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების 88 პედაგოგი, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

კულტურისა და სპორტის მიმართულება

აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის, ასევე, ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას კულტურისა და სპორტის სფერო წარმოადგენდა. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული სფეროს უმთავრესი პრიორიტეტები იყო:

- ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვაზე ზრუნვა; ამ მემკვიდრეობის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი პოპულარიზაცია სპეციალური გამოცემებისა და ვებ-გვერდების შექმნის გზით; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მისი შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მეთოდოლოგიის შემუშავება.
- კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში სასწავლო აღ-

- მზრდელობითი პროცესების მიმდინარეობაზე კონტროლი;
- კონცერტების, გასტროლების, გამოფენების, ჩვენებებისა და სხვა სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება;
 - კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში დასაქმებულთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება;

აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა აფხაზეთის მთავრობის ზრუნვის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა, მაგრამ განსაკუთრებული დატვირთვა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგად, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ღია ოკუპაციის პირობებში, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების მიზანმიმართული განადგურების მცდელობების შედეგად შეიძინა.

დაზიანდა ცივილიზებული მსოფლიოს თვითმყოფად ნაწილად აღიარებული შეუასაუკუნების ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი უნიკალური ძეგლები, როგორებიცაა: ბედის (X ს.), ილორის (XI ს.), მოქვის (X ს.), დრანდის (VIII ს.), სვიმონ კანანელის (X ს.), გაგრის (VI ს.), ლიხნის (XI ს.), ბიჭვინთის (XI ს.) და სხვ. ტაძრები. იშლება ამ ძეგლების მეტ ნაწილში შემორჩენილი უნიკალური ფრესკები და უძველესი ქართული წარწერები, ნადგურდება არქეოლოგიური ძეგლები. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია ოკუპანტი „რესტავრატორების“ მიერ ილორის ტაძრისათვის არქიტექტურული იერსახის შეცვლისა (რუსულ სტილში) და XI საუკუნის ქართული წარწერების წაშლის თუ შეთეთრების, ბედიაში საქართველოს მეფის ბაგრატ III-ს (975-1014 წლები) ერთადერთი ფრესკის განადგურების ბარბაროსული აქტები. საფრთხის ქვეშ არის მოქვისა და ლიხნის ტაძრების უძველესი ქართული წარწერები და ფრესკები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების მიზნით, მთავრობამ შექმნა ვებ-გვერდი ნწნ. აბცულტურე-გე, რომელზეც განთავსდა აფხაზეთის ისტორიის, ენის, განათლების, კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ვრცელი ფოტო-ვიდეო და საინფორმაციო მასალა. ვებ-გვერდი, ასევე, წარმოაჩენს აფხაზეთის პრობლემატიკაზე მომუშავე მეცნიერების კვლევა-ძიების მასშტაბებს. ის ქართულ-ინგლისურენოვანია, რაც შესაძლებელს ხდის გაეცნოს საერთაშორისო საზოგადოება და შეექმნას სრული, მიუკერძოებელი წარმოდგენა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის წარმომავლობასა და მნიშვნელობაზე.

საანგარიშო პერიოდში მთავრობა, ასევე, ახორციელებდა აფხაზეთის კულტურული კოლექტივებისა და დაწესებულებების მხარდაჭერის პროგრამებს, რომელთა მიზანი ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია იყო.

აფხაზეთის მთავრობის ხელშეწყობით ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალურ საბავშვო თეატრში გაიმართა სოხუმის მოზარდმაყურე-

ბელთა თეატრისა და მისი დამაარსებლის, გიორგი რატიანის იუბილეებისადმი მიძღვნილი კვირეული. საიუბილეო კვირეულზე მაყურებელს შესთავაზეს თეატრის სპექტაკლები. მთავრობის თანადგომით გამოიცა თეატრის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გაზეთი და ფერადი ალბომი.

აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით ნ. დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ საპავშვო თეატრში საქართველოს სახალხო არტისტების, მიხეილ ჩუბინიძისა და ფლორა შედანის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. მიხეილ ჩუბინიძე და ფლორა შედანის წლების განმავლობაში სოხუმის ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ და აფხაზეთში ქართული კულტურის განვითარებას ემსახურებოდნენ.

მთავრობის მხარდაჭერით აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან არსებულმა აფხაზეთის სახელმწიფო კაპელამ ზედიზედ ორჯერ მოიპოვა უნგრეთის ქალაქ დებრეცენში გამართულ ბელა ბარტოკის სახელობის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო კონკურსის აღიარება. კაპელა მსოფლიო გუნდების ხუთეულში შევიდა და „თანამედროვე საგუნდო ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის“ სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. ასევე, აფხაზეთის მთავრობის თანამონაწილეობით ფესტივალ „ჩვენებურების“ ფარგლებში ორგანიზება გაეწია კაპელას ძველი (სოხუმში მოქმედი) და ახალი თაობის წარმომადგენლების გაერთიანებული გალა-კონცერტის ჩატარებას თბილისში, ქუთაისისა და ბათუმში. 28 მონაწილე სოხუმის თაობას წარმოადგენდა, მათ შორის 8 ამჟამადაც ოკუპირებული აფხაზეთის მცხოვრებია.

აფხაზეთის მთავრობის თანადგომით ნიუ-იორკში (აშშ), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ასევე, აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენები თბილისი „არტ-ჰოლსა“ და გალერეა „ჰობიში“ შედგა. გამოიცა აფხაზეთის ღვაწლმოსილი მხატვრების ზურაბ ჭედიას, ვალერი ჩარგაზიასა და ლერი ჭანტურიას პერსონალური კატალოგები. მათში განთავსებულია თითოეული მხატვრის 30-მდე ფერწერული ნამუშევარი. გერმანიის ქალაქ ბრემენში გაიმართა მხატვარ ზურაბ კოკაის ნამუშევრების გამოფენა. ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. მოეწყო მხატვარ დავით ბაძალუას ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა.

აფხაზეთის მთავრობის ინიციატივით ქ. თბილისში საფუძველი ჩაეყარა სახალხო ღონისძიება „აფხაზეთობის“ გამართვის ტრადიციას,

რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი კუთხის კულტურული თავისებურებების წარმოჩენას და სახალხო დიალოგის ფარგლებში, თემთაშორისი ურთიერთობების წახალისებას. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა არაერთი კულტურული ღონისძიება, მათ შორის აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას კონცერტი კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში, აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა საქართველოს მხატვართა კავშირში, გიორგი შარვაშიძის პრემიის ლაურეატთა დაჯილდოება, ალბომის – „სიმღერები აფხაზეთზე“ პრეზენტაცია, გალა-კონცერტი აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისა და ქართული ესტრადის მომღერლების მონაწილეობით და ქართულ-აფხაზური ქორნილი ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მოენც სილამაზის კონკურსი - „მის აფხაზეთი 2009“.

მთავრობის ორგანიზებით აფხაზეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვოვა ვეკუას ხსოვნის საღამო აღინიშნა. ზუგდიდსა და თბილისში მოენც აქცია დევნილი ბავშვებისათვის. მასში ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული ბავშვებიც მონაწილეობდნენ. ბავშვებმა მოილოცეს საქართველოს წმინდა ადგილები, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები. მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით დევნილი ბავშვებისათვის გაიმართა საახალწლო ზეიმი ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ქ. თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დევნილი ბავშვებისა და საპრეზიდენტო პროგრამა „პატრიოტში“ მონაწილე დევნილი ახალგაზრდებისთვის საახალწლო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა ჩატარდა.

მთავრობის ხელშეწყობით აფხაზეთში ტრაგიულად დაღუპული პოეტის ეთერ სამხარაძე-ჯლამაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო მოენც; სამების ახალგაზრდულ ცენტრში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა; ბავშვთა საუკეთესო სამშვიდობო ნაწარმოებების კრებულის „მე და მშვიდობა“ პრეზენტაცია მოენც; ასევე, გაიმართა მშვიდობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი სახელწოდებით „მშვიდობა ბავშვებს“; ჩატარდა აქცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის; დევნილი ბავშვებისთვის ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში ქართულ-აფხაზური საშობაო კონცერტები მოენც; გამოიცა კრებული „სიმღერები აფხაზეთზე“, (სიმღერები 1992-1993 წლების მოვლენების შემდეგაა დაწერილი, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს გოგი ცაბაძის სიმღერა ივანე თარბას ლექსზე, რომელიც ამ ორი შესანიშნავი ხელოვანის მეგობრობის ნიშნადაა შექმნილი); გმირთა მოედანზე აქცია „ჩვენ ერთი გული გვაქვს“ ჩატარდა;

სოხუმის დაცემის მე-18 წლისთავთან დაკავშირებით განმუშარ-

ში ხსოვნის საღამო გაიმართა. საღამოზე ქართველებმა და აფხაზებმა გაიხსენეს 18 წლის წინათ მომხდარი ტრაგედია. შედგა აფხაზეთისადმი მიძღვნილი სიმღერის პრემიერა. მოეწყო ომის შემდგომ დაბადებული ქართველი და აფხაზი მოზარდების მიერ შექმნილი ბანერების – „მე მიყვარს აფხაზეთი“ გამოფენა.

აფხაზეთის მთავრობის ხელშეწყობით ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1-ის“ და „აფხაზეთი №2-ის“ აღსაზრდელებმა არაერთი კონცერტი გამართეს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში; 300-ზე მეტმა მოზარდმა (მათ შორის ოკუპირებული გალის რაიონიდან) მონაწილეობა მიიღო „არტ-გენი“, „მომავლის ვარსკვლავი“, „მოცარტიანა“, „იპოვე შენი ვარსკვლავი“, „ჩემი ლამაზი ქვეყანა“, „მუზა -2012“, „ვაცოცხლებთ სიღნაღს“ ფესტივალებში.

მთავრობის მხარდაჭერით სსიპ კინოცენტრ „აფხაზეთში“ ნიჭიერი ბავშვებისთვის სამსახიობო ოსტატობის, რეჟისურისა და დრამატურგიის საფუძვლების შესწავლის კურსები მოქმედებდა, რაც აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

მთავრობის მხარდაჭერით შედგა ნატო მარშანიას ავტორობით გამოცემული წიგნის „ქედუხრელი რაინდი“ (ეძღვნება აფხაზეთის ა/რ მთავრობის პირველი თავმჯდომარის დიმიტრი ემუხვარის ცხოვრებასა და მოღვაწეობას) პრეზენტაცია. გამოიცა ნატო კორსანტიას კრებული „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“ და ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გენო კალანდიას ლექსები „ფესვები“.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის ორგანიზებით ქ. თბილისში „აფხაზური კულტურის საღამო“ გაიმართა, სადაც ნუგზარ ანთელავას ქართულ-აფხაზური წიგნის „აფხაზური მითები და რიტუალები“ პრეზენტაცია შედგა. ასევე, მოეწყო მხარგვარ ელდარ ქავშბაიას აფხაზური მითების თემაზე ექსკურსიურად შექმნილი ილუსტრაციების გამოფენა. აღნიშნული საღამო ახალგაზრდა აფხაზი დიზაინერის, თინა კიუტის მიერ აფხაზეთის ისტორიული ქალაქებისადმი მიძღვნილი საღამოს კაბებისა და აფხაზეთის ქალაქების ამსახველი სლაიდ-შოუს ჩვენებით დასრულდა.

მთავრობა ახორციელებდა ხელოვნებისა და სპორტული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამებს, რომელთა მიზანი სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა, დევნილ მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა და საქართველოს სახელით მოასპარეზე ნიჭიერი დევნილი სპორტსმენების დახმარება იყო.

აფხაზეთის მთავრობა ცდილობდა ყველანაირი პირობა შეექმნა თბილისში არსებულ, მისდამი დაქვემდებარებულ, სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრისთვის, რათა მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინა სპორტით დაკავებული მოზარდების მოთხოვნები. აღნიშნულ ცენტრში მოქმედებდა შემდეგი სახის სექციები: ფეხბურთის (375 ბავშვი), თავისუფალი ჭიდაობის (60 ბავშვი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობის (45 ბავშვი), ძიუდოს (35 ბავშვი), ჭადრაკის (30 ბავშვი), ძალოსნობის (15 ბავშვი).

აფხაზეთის მთავრობის ეგიდით არაერთი სპორტული ღონისძიება მოეწყო. ჩატარდა აფხაზეთის 11 ღია ჩემპიონატი და ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, როგორებიცაა: ხელჩართული ბრძოლა - კარატეში. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, მათ შორის ოკუპირებული აფხაზეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები; მინი-ფეხბურთში; თავისუფალ ჭიდაობაში (მონაწილეობდა 400 სპორტსმენი საქართველოს რეგიონებიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან); ჭადრაკში 10-16 წლამდე ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის (მონაწილეობდა 80 ნორჩი მოჭადრაკე, მათ შორის ოკუპირებული აფხაზეთიდან); აფხაზეთის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს რეგიონის (ოკუპირებული გალის რაიონის ჩათვლით), აზერბაიჯანისა და სომხეთის 220 სპორტსმენმა მიიღო. ჩემპიონატი ჩატარდა 14 წლით კატეგორიაში.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ნაკრები გუნდები წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებზე თავისუფალ ჭიდაობაში, ჭადრაკში, ძიუდოში, სამბოში, აღმოსავლურ ორთაბრძოლაში, კიკ-ბოქსინგში, ბეისბოლში, ძალოსნობაში, რაშიც აფხაზეთის მთავრობას თავისი წვლილი აქვს შეტანილი. ცნობისთვის, საქართველოს ჩემპიონები არიან: ლაშა კოპალიანი (ძალოსნობა), დავით ხარატიშვილი (ძალოსნობა), ევროპის ჩემპიონია დათო ბარამია (სამხო), სვეტლანა ფრუიძე (აღმოსავლური ორთაბრძოლა), ლევან გობეჯიშვილი (ბეისბოლი, ორგზის ჩემპიონი), დავით ბენიძე (ჭადრაკი); ევროპის პრიზიორია ირაკლი დგებუაძე (ძიუდო); მსოფლიო ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორია თამაზ გაგანაშვილი (აღმოსავლური ორთაბრძოლა), მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია, აგრეთვე, ზეპედა რესვიაშვილი (ძიუდო), ლევან ბერიანიძე (თავისუფალი ჭიდაობა). ერთ-ერთი გამორჩეული სპორტსმენია დავით ზარქუა, რომელმაც 2012 წლის 3-9 აპრილს გამართულ თურქეთის ღია საერთაშორისო ტურნირზე ჭადრაკში პირველი ადგილი დაიკავა და საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასულა.

სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მთავრობა აგრძელებს აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული სპორტსმენების ფინანსურ მხარდაჭერას.

2.2.5. მთავრობის საქმიანობა იუსტიციის სფეროში

აფხაზეთის მთავრობა სამართლის სფეროში თავის საქმიანობას რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით წარმართავდა:

- ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- სამართალშემოქმედებითი საქმიანობა;
- აფხაზეთის სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
- ი.გ.პ.-თვის იურიდიული კონსულტაციების გაწევა.

ასევე, ახორციელებდა აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შესწავლილ იქნა საქართველოსა და აფხაზეთის ნორმატიული აქტები და ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე მომზადდა შესაბამისი წინადადებები.

ამასთანავე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების რეესტრში დარეგისტრირდა და „აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა 25 ნორმატიული აქტი.

იურიდიულ-სამართლებრივი კუთხით ჩატარდა არაერთი ღონისძიება, კერძოდ:

კავკასიურ სახლში „კოლხური ცივილიზაციის ნიშნები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და შავი არქეოლოგიის პრევენციას“ ფარგლებში საზოგადოებისათვის აფხაზეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების გაცნობა მოეწყო;

გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფოტო-მასალებით დასურათებული ორწლიანი (2011-2012წწ.) სამაგიდო ცნობარ-კალენდარი სათაურით „დავიცვათ აფხაზეთის სულიერი მემკვიდრეობა“;

სამების საკათედრო ტაძარში გამართა გამოფენა თემაზე – „აფხაზეთის სულიერი მემკვიდრეობა – ქართული სალოცავები“;

ჩატარდა ფოტომასალების გამოფენა-აქცია „ძალადობისა და ოკუპაციის წინააღმდეგ“;

კავკასიური სახლის საგამოფენო დარბაზში გაიმართა პირველი აფხაზი იურისტის გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის თბილისის გუბერნატორად დანიშვნიდან 131-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება თემაზე „ორი გიორგი შარვაშიძე“.

დევნილ ბავშვთა საკვირაო სკოლაში ჩატარდა ლექცია თემაზე – „ნარკომანია, როგორც ავადმყოფობა და დანაშაული, მისი პრევენცია მოზარდებს შორის“;

ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწია სამართლებრივი კონსულტაციები.

შემუშავდა სხვადასხვა კანონპროექტები:

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი შემუშავდა;

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტო-დენტიფირობის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტი შემუშავდა;

შემუშავდა რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მატებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და ფოტოიდენტიფირობის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 29 ნორმატიული აქტი.

სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ნორმატიული აქტების პროექტებს:

„აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

„რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტს;

„აფხაზეთისავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2011 წლის მიზნობრივი პროგრამების, სტაციონალური მკურნალობისა და ამბულატორიული მომსახურების ვაუჩერის გამოყენების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის განკარგულების პროექტს;

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის № 11 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აფხა-

ზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სისტემაში სტაურების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2007 წლის 24 ივლისის №336/დ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს სათათბირო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და თანდართული დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის ბრძანების პროექტს;

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და ფოტოიდენტურობის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის 2010 წლის 15 მარტის №6 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტს;

„აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აფხაზეთის კანონის პროექტს;

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები-პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების საცხოვრებელი ადგილის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტს;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შესწავლილ იქნა საქართველოსა და აფხაზეთის ნორმატიული აქტები და ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე მომზადდა შესაბამისი წინადადებები (კერძოდ, შესწავლილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე აფხაზეთის მთავრობის დადგენილებები და და მინისტრის ბრძანებები).

2.2.6. საფინანსო სფერო

საფინანსო სფეროში აფხაზეთის ა/რ მთავრობის სტრატეგიული მიმართულებებს წარმოადგენდა:

- საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა და გამჭვირვალობა;
- საბიუჯეტო დაწესებულებებში საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის

- გამკაცრება;
- აღებული ვალდებულებების სრულყოფილად დაფინანსება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობა
- შემოსავლების დამატებითი წყაროების მოძიების მიზნით, რათა ბიუჯეტში
- გაზრდილიყო სოციალური პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი;
- კანონმდებლობის შესაბამისად ხაზინის მეშვეობით აფხაზეთის ბიუჯეტიდან სახსრების გაცემა, შემოსავლებისა და ხარჯების ოპერატორული კონტროლის დაწესება;
- დაწესებულებათა საფინანსო სამსახურებისათვის შესაბამისი მეთოდური მითითებებისა და ლიტერატურის მიწოდება, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება;
- კანონმდებლობის შესაბამისად მხარჯავი დაწესებულებების მიერ შესყიდვების განხორციელებისას მონიტორინგის დაწესება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 11 814,42 ათასი ლარით, მობილიზებულ იქნა 11 965,1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 101,28 %.

2009 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა სახსრებმა (ნაშთი) შეადგინა 602,58 ათ. ლარი, რაც მიიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში (ფინანსური აქტივები) ხარჯების უზრუნველსაყოფად.


აფხაზეთის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები:

დასახელება	2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სულ შემოსულობები	11814,42	11965,10	+150,67	101,28
შემოსავლები	11788,82	11938,94	+150,11	101,27
გადასახადები	4171,56	4313,91	+142,35	103,41
საშემოსავლო გადასახადი	4062,56	4096,29	+33,73	100,83

აფხაზეთის ა/რ მთავრობის ანგარიში

ქონების გადასახადი	109,00	203,95	+94,95	187,11
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი	0	13,67	+13,67	-
გრანტი (ფინანსური დახმარება)	7586,46	7586,46	0	100,00
სხვა შეოსავლები	30,80	38,57	+7,77	125,22
არაფინანსური აქტივების კლება	25,60	2 6,16	+0,56	102,19

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის შემოსულობების შედარება ფაქტიურ მაჩვენებლებთან დიაგრამის სახით.




აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები:

(ათ. ლარი)

დასახელება	2009 წელი
სულ გადასახდელები	12417,0
შრომის ანაზღაურება	7336,46
საქონელი და მომსახურება	2254,65
სუბსიდიები	2158,50
სოციალური უზრუნველყოფა	467,43
სხვა ხარჯები	0,14
არაფინანსური აქტივების ზრდა	199,82

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის გადასახდელები დიაგრამის სახით.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 11870.83 ათ. ლარით, მობილიზებულ იქნა 12179.83 ათ. ლარი, დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 102.6 %.

2010 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა სახსრებმა (ნაშთი) შეადგინა 157.8 ათ. ლარი, რაც მიმდინარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში (ფი-


აფხაზეთის ა/რ მთავრობის ანგარიში

ნანსური აქტივები) ხარჯების უზრუნველსაყოფად.

აფხაზეთის 2010 წლის რესპუბლკური ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები:

დასახელება	2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სულ შემოსულობები	11870,83	12179,83	+309,00	102,60
შემოსავლები	11863,83	12172,81	+308,97	102,60
გადასახადები	4025,93	4312,45	+286,52	107,12
საშემოსავლო გადასახადი	3940,93	4204,13	+263,2	106,68
ქონების გადასახადი	85,00	108,32	+23,32	127,44
გრანტი (ფინანსური დახ-მარება)	7520,00	7520,00	0,00	100,00
გამოთანაბრებითი ტრანს-ფერი	7500,00	7500,00	0,00	100,00
მიზნობრივი ტრანსფერი	20,00	20,00	0,00	100,00
სხვა შეოსავლები	317,90	340,35	+22,45	107,06
არაფინანსური აქტივების კლება	7,00	7,03	0,03	100.4

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის გეგმიური შემოსულობების შედარება ფაქტიურ მაჩვენებლებთან დიაგრამის სახით.




აფხაზეთის ა/რ მთავრობის ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:
(ათ. ლარი)

დასახელება	2010 წელი
სულ გადასახდელები	12028,6
შრომის ანაზღაურება	7351,08
საქონელი და მომსახურება	2010,68
სუბსიდიები	2028,32
სოციალური უზრუნველყოფა	478,49
სხვა ხარჯები	7,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	152,37

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის გადასახდელები დიაგრამის სახით.



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტი**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობებმა, ფაქტობრივად, შეადგინა 12661.86 ლარი, რაც გეგმის (12097.01 ათ. ლარი) 104.67% იყო.

საგადასახადო შემოსავლები გადასახადების სახეების მიხედვით:

საშემოსავლოგადასახადი – ამ გადასახადის სახით მობილიზებულ იქნა 4715.76 ათ. ლარი, გეგმა 4193.11 ათ. ლარი შესრულდა 112.46%-ით.

შემოსავალმა ფინანსური დახმარებიდან (სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან ნმიღებულმა გრანტმა), გამოთანაბრებითმა ტრანსფერმა შეადგინა 7500.0 ათ. ლარი, გეგმა 7500.0 ათ. ლარი შესრულდა 100.0 % -ით.

უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებულმა გრანტმა შეადგინა 183.9 ათ. ლარი, რაც გეგმის 183.9 ათ. ლარის 100.0% იყო;

სხვა შემოსავლების ანარიცხებმა ბიუჯეტში შეადგინა 235.13 ათ. ლარი, რაც გეგმის 200.0 ათ. ლარის 117.57% იყო.


აქედან შემოსავალმა დეპოზიტის, ვექსელისა და სხვა სახის პროცენტებიდან (სარგებელი) შეადგინა 209.30 ათ. ლარი, რაც გეგმის (190.0 ათ. ლარი) 110.15%-ია; მოსაკრებელმა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -16.80 ათ. ლარი, რაც გეგმის (10.0 ათ. ლარი) 168.0% იყო.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლებმა შეადგინა -1.20 ათ. ლარი; შერეულმა და სხვა არაკლასიფიცირებულმა შემოსავლებმა კი -7.20 ათ. ლარი; ჯარიმებმა, სანქციებმა და სხვა საურავებმა - 0.6 ათ. ლარი. ზემოთ ჩამოთვლილი მოსაკრებლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა- 27.07 ათ. ლარი, რაც გეგმის 20.0 ათ. ლარის 135.35% იყო.


ნაშთმა 01.01.12წ მდგომარეობით შეადგინა 916.58 ათ. ლარი; ფინანსური აქტივების (ნაშთის) მატებამ 414.96 ათ. ლარი შეადგინა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და საერთო საკასო შესრულება დიაგრამის სახით.



2011 წლის წლიურმა გადასახდელებმა შეადგინა 12246.94 ათ. ლარი, რაც გეგმის 12598.62 ათ. ლარის 97.21% იყო. მ. შ. შრომის ანაზღაურება – გეგმა 7759.26 ათ. ლარი. შესრულება 7715.10 ათ. ლარი, (გეგმის 99.43%); შეტატგარებები მომუშავეთა ანაზღაურება – გეგმა 564.66 ათ. ლარი, შესრულება 559.55 ათ. ლარი (გეგმის 99.09%); ოფისის ხარჯები – გეგმა 607.57 ათ. ლარი, შესრულება 494.31 ათ. ლარი (გეგმის 81.36%); წარმომადგენლობითი ხარჯები – გეგმა 29.69 ათ. ლარი, შესრულება 25.46 ათ. ლარი (გეგმა 85.75%); სამედიცინო ხარჯები - გეგმა 4.0 ათ. ლარი, შესრულება 4.0 ათ. ლარი (გეგმის 100%); ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – გეგმა 501.95 ათ. ლარი, შესრულება 448.95 ათ. ლარი (გეგმის 89.44%); სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – გეგმა 85.92 ათ. ლარი, შესრულება 74.58 ათ. ლარი (გეგმის 86.80%); სუბსიდია – გეგმა 1837.41 ათ. ლარი, შესრულება 1804.69 ათ. ლარი (გეგმის 98.22%); სოციალური უზრუნველყოფა - გეგმა 677.83 ათ. ლარი, შესრულება 625.40 ათ. ლარი (გეგმის 92.27%); სხვა ხარჯები - გეგმა 5.52 ათ. ლარი, (აქედან სარეზერვო ფონდი – 0.36 ათ. ლარი), შესრულება 3.20 ათ. ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - გეგმა 347.68 ათ. ლარი, შესრულება 343.61 ათ. ლარი (გეგმის 98.83% იყო).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულება დიაგრამის სახით.



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტი
(ივლისის მდგომარეობით)**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები განისაზღვრა 12122,93 ათ. ლარით.

2012 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა სახსრებმა (ნაშთი) შეადგინა 916,58 ათ. ლარი, საიდანაც 725,87 მიმდართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში (ფინანსური აქტივები) ხარჯების უზრუნველსაყოფად, ხოლო 190,71 წარმოადგენს თავისუფალ ფულად სახსრებს და მიმართული იქნება რესპუბლიკური ბიუჯეტის შემდგომი ცვლილებისას გადასახდელების უზრუნველსაყოფად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი.

დასახლება	2012 წლის გეგმა
I. შემოსავლები	11377,06
გადასახადები	3827,06
გრანტები	7500,00

აფხაზეთის ა/რ მთავრობის ანგარიში

სხვა შემოსავლები	50,00
II. ხარჯები	11869,2
შრომის ანაზღაურება	7414,50
საქონელი და მომსახურება	2069,64
სუბსიდიები	1646,17
სოციალური უზრუნველყოფა	530,51
სხვა ხარჯები	208,50
III. საოპერაციო სალდო	-492,27
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	233,60
ზრდა	253,60
კლება	20,00
V. მთლიანი სალდო	-725,87
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-725,87
კლება	725,87
ვალუტა და დეპოზიტები	725,87
ნაშთი წ/დ	916,58

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები.

დასახელება	2012 წლის გეგმა
სულ შემოსულობები	11397,06
შემოსავლები	11377,06
გადასახადები	3827,06
საშემოსავლო გადასახადი	3827,06
გრანტი (ფინანსური დახმარება)	7500,0
გამოთანაბრებითი ტრანსფერი	7500,0
სხვა შემოსავლები	50,0
არაფინანსური აქტივების კლება	20,0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით აღებული ვალდებულებები სრულად იქნება შესრულებული და ამავე დროს მიმდინარეობს მუშაობა დამატებითი შემოსავლების მობილიზებისათვის.

მიმდინარე პერიოდისათვის მიმდინარეობს მუშაობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე. 2013 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით უნდა მომზადდეს, პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ირიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში წათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციების შესრულების კუთხით საბიუჯეტო პროცესს ერთ-ერთი ძირითადი როლი აკისრია, ვინაიდან საბიუჯეტო პროცესი წარმოადგენს ბიუჯეტის მომზადების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულებისა და ანგარიშგების ერთან პროცესს, ხოლო თავად ბიუჯეტი არის წლის მთავარი ფისკალური დოკუმენტი, რომლიდანაც ფინანსდება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს კონკრეტული წლის განმავლობაში.

პროგრამული ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიუჯეტში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხს;

ბოლოსიტყვაობის მაგიერ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები 2013-2014 წლებისთვის.

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და დევნილთა საზოგადოების ინტელექტუალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის, ადამიანური რესურსების მობილიზება უმთავრესი მიზნის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნველსაყოფად.
2. თვითგამოცხადებული და რუსეთის ფედერაციის მიერ უკანონოდ აღიარებული აფხაზეთის სახალხო კრების -პარლამენტის მიერ მიღებული ე.წ. საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, რომლებიც სეპარატიზმის პოზიციიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ისტორიულ-პოლიტიკურ, სამართლებრივ და მორალურ ფსევდოდასაბუთებას შეიცავენ, შესწავლა, ანალიზი და მათთვის შესაბამისი შეფასებების მიცემა.
3. საინფორმაციო პოლიტიკის რადიკალურად გააქტიურება, მსოფლიო საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიზნოდება აფხაზეთში კონფლიქტის რეალური მიზეზების, მიზნებისა და გენეზისის, კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირებისა და ზოგადად, რუსეთის ფედერაციის მიერ გაჩაღებული ანტიქართული საინფორმაციო ომის ნეგატიური შედეგების განეიტრალების მიზნით.
4. ზემოთ მითითებულ თემატიკაზე ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო კონფერენციების, მედიაფორმუმების პერმანენტული ჩატარება და მათ მუშაობაში საერთაშორისო ორგანიზაციების, მეცნიერებისა და ექსპერტების ფართო ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფა.
5. აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი, პოლიტიკური დარეგულირების პროცესში დევნილთა სოციალური და ყოფითი საკითხების გადაჭრაში, ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკურ სისტემაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურების, როგორც საქართველოს ხელისუფლების ორგანული ნაწილის, ხელისუფლების მნიშვნელობისა და ამ პროცესში მონაწილეობის ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფა.

აქცია „საჩუქარი ყველა დევნილ ბავშვს“



პუმანიტარული დახმარება დევნილებს



დევნილი ბავშვები საერთაშორისო სამშვიდობო ბანაკებში



აქცია „მშვიდობის მარათონი“



შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დევნილებთან



შეხვედრა დევნილებთან იმერეთში



გამწვანების აქცია უნივერსიტეტში



**შეხვედრა ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ
გმირთა დედებთან**



**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული
გმირებისადმი პატივის მიგება**



აფხაზეთის ა/რ მთავრობის ანგარიში

სტუმრად 100 წლის დევნილ
ქალბატონ ფედოსია ხურცილავასთან



შეხვედრა აფხაზეთიდან დევნილ მეორე მსოფლიო
ომის ვეტერანებთან





„აფხაზეთობა“
2009



„აფხაზეთობა“
2010



„აფხაზეთობა“
2011

აფხაზეთის ა/რ მთავრობის ანგარიში

აქცია „მე მიყვარს აფხაზეთი“





ღონისძიება -
„სამშობლოსათ-
ვის მარადისო-
ბაში“



წიგნის -
„ქედუხრელი
რაინდი“
პრეზენტაცია



წიგნის „გალაქ-
ტიონი, ზღვა
და აფხაზეთი“
პრეზენტაცია

დეგნილთა სამედიცინო დიაგნოსტიკური გამოკვლევები





აქცია ჩვენ
ერთი „გული
გვაქვს“



განათლებისა
და დასაქმების
ფორუმი




ქართულ-აფხა-
ზური კულტუ-
რის საღამო

დევნილი ბავშვები კინოთეატრ „რუსთაველში“



საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის





სახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
АВХАЗИТІИ АВТОНОМИАТІИ АРЕСПУБЛИКА АИХАБЫРА
GOVERNMENT OF AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

ტელ: (+995 32) 2 37 61 44 tel: (+995 32) 2 37 61 44

ფაქსი: (+995 32) 2 37 46 22 FAX: (+995 32) 2 37 46 22

ელ.ფოსტა: info@abkhazia.gov.ge E-mail: info@abkhazia.gov.ge

მისამართი: ქ.თბილისი, Address: 42, Al.Kazbegi Ave.,

ალ. ყაზბეგის, 42 Tbilisi, Georgia

www.abkhazia.gov.ge

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47
 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com